

საქართველოს პერსპექტივები

A2

საფლავის ქვა, გასაღები მომავლისთვის

A5

"საგარეჯო" ევროპის მესამე კლუბია

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 23 ოქტომბერი, 2006 წელი. №235 (1387) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
(პროექტი)

## მასწავლებლის პროფესიული ეთიკა
(პროექტი)

A6-A7

# კონსტიტუციური ცვლილებების მოლოდინში

## პრო და კონტრა

*ადგილობრივი არჩევნების შემდეგ და რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების ფონზე, პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივას. როგორც მედიის საშუალებებით ვიგებთ, საქმე ეხება პრეზიდენტის არჩევნების ვადების გადმოწევას 2008 წლისათვის და, შესაბამისად, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულ ჩატარებას.*

დავით დარჩიაშვილი

ჟურნალისტებმა არ დააყოვნეს პოლიტიკური ოპოზიციის რეაქციის გარკვევა. თავად ოპოზიციის ლიდერებმაც თავისი ინიციატივით გამართეს პრეს-კონფერენციები და ბრიფინგები ამ საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მიმართ ნახმარი ეპითეტები განსხვავებული იყო, შეფასებებში ლეიბორისტები, მრეწველები, კონსერვატორები, რესპუბლიკელები და სხვები დიდად არ განირჩეოდნენ: მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლება მორიგ ნაბიჯებს დგამს ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის დასამკვიდრებლად.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს გადარჩენა დღეს, ისე როგორც არასდროსა, დამოკიდებულია შეერთებული შტატების და ევროკავშირის ერთობლივ ძალისხმევაზე, რუსული აგრესიის შეკავებასა და მოთვინიერებაზე. ამის განხორციელება კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ჩვენი ქვეყანა კვლავაც იქნება აღქმული "დემოკრატიის შუქურად", როგორადაც მას ზოგჯერ მოიხსენიებენ მტკვრისა და პოტომაკის ნაპირებზე. ეს კარგად ესმით თბილისში - თუნდაც იმიტომ, რომ ამას მოითხოვენ ბრიუსელსა და ვაშინგტონში.

ამავე დროს, დღეისათვის ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა იმდაგვარია, რომ საქართველოს და მმართველო პოლიტიკური რეჟიმის წარმატება პირდაპირპროპორციულია. სააკაშვილის მთავრობა ასოცირდება არა მარტო ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური განმტკიცების და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამოცანასთან, არამედ "დემოკრატიის შუქურის" მშენებლობასთან. მეორე ამოცანის წარმატებული დასრულების გარეშე პირველი არ მიიღწევა: ასეთია საერთაშორისო თანამეგობრობის შეკვეთა ან, თუნდაც, ნატო-სთან წარმატებული ინტეგრირების წინაპირობა. თუ ეს უკანასკნელი არ განხორციელდა, საქართველო აფხაზეთით თუ უაფხაზეთოდ, რუსეთის წინაშე სრულიად დაუცველი იქნება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# www kremlin ru

## ანუ ერთაშორის მეგობრობის ინსტიტუტი

*ამჟამად ჩრდილოელი მეზობლის მხრივ ძმური სიყვარული იგრძნობა ჩვენში. ჟირინოვსკის თქმის არ იყოს, სიამოვნებით დაგვაუთოვებდნენ და დაგვიპყრობდნენ. და, რაც მთავარია, ამ პროპაგანდის კერად გვევლინება თავად კრემლი. ჩანს, ხმის აწევითა და დერჟავნიკული მუქარით, ხალხიც კმაყოფილია და უფროსობაც.*

გოგი თუშმალიშვილი

ლიბერალი რუსი ჟურნალისტი ევგენია ალბაცი თავის ამასწინანდელ წერილში მსჯელობს რა კრემლისეული პროპაგანდის თავისებურებებზე, გვატყობინებს, რომ საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი გამოკითხვისას რესპონდენტთა 61 პროცენტი ეთანხმება თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის გამონათქვამს, რომ "საქართველო ბანდიტური სახელმწიფოა", 40 პროცენტი ეკონომიკური ბლოკადის მომხრეა, ხოლო 37 პროცენტი - "არალეგალური ემიგრანტების" გაძევებისა. ჟურნალისტი აქვე სვამს შეკითხვას, არის ეს ციფრები საზოგადოებრივი აზრის ზუსტი ანარეკლი, თუ ეს მხოლოდ შედეგია რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის (რომელიც ფარავს ქვეყნის ტერიტორიის 97 პროცენტს დროის ყველა სარტყელში) "აგიტპროპის" საქმიანობისა, როდესაც სახელმწიფოებრივი მედიასაშუალებები არასოდეს გადასცემენ კრემლისგან ალტერნატიულ მოსაზრებას საქართველოსთან კონფლიქტის მიმართებაში? ის რომ სააკაშვილმა მფშ-ის თვითმფრინავებს, რომლებითაც დეპორტირებული ქართველები მიჰყავთ და საქართველოდან უკან გამოძახებული რუსები ჩამოჰყავთ, "скотовозки" უწოდა, გადმოგვცეს ყველა სატელევიზიო არხით. მაგრამ ის, რომ ამ თვითმფრინავებით ჩამოსული რუსები ჩიოდნენ, თუ რა მძიმე იყო მათთვის უსავარძლო და უფანჯრო სატვირთო თვითმფრინავებში სამი საათი ფეხზე დგომა, მე მხოლოდ "Эхо Москвы"-ს ეთერში მოვისმინე. მაშ, ვიცით თუ არა ჩვენ, და სხვათა შორის კრემლმაც, როგორია სინამდვილეში საზოგადოებრივი აზრი საქართველოსთან კონფლიქტის მიმართებაში?

გაგრძელება A3 გვერდზე

თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?

გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

# ქართული ოქრო

## ბუნდოვანი და ძვირფასი სახელმწიფო ქონება

როგორ ივსება ბიუჯეტი ამ ძვირფასი ლითონის საშუალებით?

**B**

*საქართველოდან ექსპორტირებული ოქროს მოცულობა წელს, შარშანდელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ახლო მომავალში მოსალოდნელია ამ პროდუქტის ექსპორტის კიდევ უფრო ზრდა. ბუნებრივია, ამას საერთაშორისო ბაზარზე ქართულ ოქროზე გაზრდილი მოთხოვნა განაპირობებს. როგორია ამ ბუნებრივი რესურსის მოპოვება-წარმოების ტენდენცია უკანასკნელი წლების განმავლობაში და რას ღებულობს ბიუჯეტი აქედან? "24 საათი" ამ და სხვა საკითხებით დაინტერესდა.*



# აზიური ტურნეს რუსული დასასრული

## კონდოლიზა რაისი კრემლის მოქმედებებს აკრიტიკებს

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა აზიური ტურნე, რომლის ძირითადი მიზანი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებული სანქციების განხორციელების მიზნით, აზიურ ქვეყნებთან ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება იყო, მოსკოვში ვიზიტით დაასრულა.

ტურნეს რუსული დასასრული კი შთამბეჭდავი გამოდგა არამარტო ჩრდილოკორეული პრობლემის მოგვარების გზების ძიების თვალსაზრისით, არამედ სხვა არანაკლებ მტკივნეულ საკითხზე საუბრითაც. რუსული მხარე ოფიციალურ ვაშინგტონს გაერო-ს სანქციების მკაცრად შესრულებას დაპირდა. მხარეებმა ერაყის საკითხი, ირანის ბირთვული პროგრამა და კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა განიხილეს, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუციის შემდეგ შეიძინა.

მოსკოვში ვიზიტისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს შეხვდა. პუტინთან შეხვედრაზე, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა სეულში, ტოკიოსა და პეკინში ვიზიტის შედეგების შესახებ ისაუბრა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 23/10 | 24/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 20 |
| ბათუმი | 25 | 25 |
| სოხუმი | 22 | 23 |
| ქუთაისი | 24 | 25 |
| გორი | 18 | 18 |
| ონი | 17 | 16 |
| ზუგდიდი | 25 | 25 |
| ახმეტა | 20 | 19 |
| სამტრედია | 24 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7435 |
| ევრო | 2.2010 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2724 |
| რუბლი | 0.0649 |

# მზის, ვარდებისა და საპატიო მოქალაქეების ქალაქი

## კოტე ჩოლოყაშვილი და ერგუნ ათაბაი დედაქალაქის მერმა დააჯილდოვა

თუ ვინმეს ჰქგონია, რომ თბილისობის დღესასწაული მხოლოდ შამფურზე წამოცმული მწვადი, მთვრალი ადამიანები და მათ მიერ დატოვებული ნაგავია, ცდება. ბევრი თბილისელისთვის შემოდგომის ამ ორ დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს - ყოველ თბილისობაზე ქალაქის საპატიო მოქალაქეებს ირჩევენ. ბევრისთვის, განსაკუთრებით კი ძირძველი თბილისელებისთვის ამ წოდებას უდიდესი დატვირთვა აქვს. წელს თბილისმა ორი საპატიო მოქალაქე აირჩია: კოტე ჩოლოყაშვილი და ერგუნ ათაბაი, იგივე გურამ ქოქოლაძე.

კოტე ჩოლოყაშვილს წარდგენა არ სჭირდება. ეს სწორედ ის ადამიანია, რომელიც საკუთრივ აერთიანებს ყველა იმ თვისებას, რაც მას ამ ქალაქის კოლორიტის წოდებას ანიჭებს. კოტე ჩოლოყაშვილი 1922 წელს თბილისში დაიბადა. იგი საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წინამძღოლია. იყო თბილისის საკრებულოს წევრიც. წელს კი კავკასიის უხუცესთა წინამძღოლად აირჩიეს.

გაგრძელება A5 გვერდზე



# სასტიკად ნაცემი პატიმარი საპყრობილეში

## ომბუდსმენის მორიგი ანგარიშიც საკმაოდ კრიტიკული იქნება

*ცოტა ხანში ქვეყნის საკონონმდებლო ორგანოში სახალხო დამცველის მორიგ ანგარიშს მოისმენენ. წინასწარი ინფორმაციით, სოზარ სუბარის მოხსენება კვლავ საკმაოდ კრიტიკული იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, ომბუდსმენი დეპუტატებს სამართალდამცველ უწყებებში მომუშავე იმ მაღალჩინოსნების სახელებსაც დაუსახელებს, ვინც, მისი აზრით, მათ მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების გამო ამ უწყებებში არ უნდა მუშაობდნენ. სოზარ სუბარის ანგარიშში დიდი ადგილი დაეთმობა სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმეების სასამართლო გამოძიებისას დაშვებულ დარღვევებს. სავარაუდოდ, ანაგრიში, რომელსაც სოზარ სუბარი ამჟამად ამზადებს, ომბუდსმენისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალიას დაპირისპირების გამწვავების მიზეზი გახდება, რადგან სახალხო დამცველი პენიტენციალურ სისტემაში არსებული სერიოზული პრობლემების დეტალურ განხილვასაც გეგმავს.*

სხვათა შორის, ომბუდსმენის აპარატი გენერალურ პროკურატურაში შემდგომი რეაგირებისთვის სისტემატურად გზავნის მოძიებულ მასალებს, პატიმრების ცემა-წამებისა და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის თაობაზე. რამდენიმე ასეთ ფაქტზე გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება მართლაც დაიწყო, თუმცა ამა თუ იმ პატიმრის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, სასჯელაღსრულების სისტემის არც ერთი თანამშრომელი შესაბამისად არ დასჯილა.

ორი დღის წინ, გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ და გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა თამარ თომაშვილმა კიდევ ერთი პატიმრის ცემის ფაქტთან დაკავშირებით, ომბუდსმენის აპარატის მიერ მოპოვებული მორიგი მასალები მიიღეს. ომბუდსმენის აპარატი გენერალურ პროკურატურას მომხდარის სასწრაფოდ გამოძიებას და დამნაშავეთა გამოვლენას სთხოვს.

ჩვენი ინფორმაციით, მასალები იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს პავლე კოვზირიძესაც გადაეგზავნა.

გაგრძელება A4 გვერდზე

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| პროექტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

## საგარეო საქმეთა სამინისტრო დეზინფორმაციაზე საუბრობს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ევროკავშირის სამიტზე განხილვას მნიშვნელოვან მოვლენად და წარმატებად აფასებს. ამის შესახებ ბეჟუაშვილმა პარასკევს, გვიან ღამით გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა და იქვე დასძინა, რომ საქართველო მზად არის, ჩრდილოელ მეზობელთან კონსტრუქციული დიალოგი აღადგინოს.

**"დღეს საქართველო-რუსეთის საკითხი ევროკავშირის სამიტზე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ცალ კარში თამაშის დრო დასრულდა. დღეს დადასტურდა, რომ საქართველოს დაშინებას აზრი არ აქვს. ჩვენ ვიცით, რას ვაკეთებთ და მკაფიო ამოცანები გვაქვს. ბლოკადა, რომელიც რუსეთმა გამოგვიცხადა და ქართველების დევნა უნდა შეწყდეს,"** - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

მინისტრის თქმით, პუტინმა პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე ორ ქვეყანას შორის არსებულ დაძაბულობასთან, განსაკუთრებით კი საქართველოს ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, ფაქტები მიზანმიმართულად დაამახინჯა. "ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ დემოკრატიულ ღირებულებებზე, რომლებიც საქართველოში ყვავის, ხოლო რუსეთში ამ მხრივ პრობლემებია," - აღნიშნა მინისტრმა.

მანვე მსოფლიო თანამეგობრობას მიმართა და ყურადღება სამ ძირითად მიზანმიმართულ უზუსტობაზე გაამახვილა, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა დაუშვა.

**"სამხრეთ ოსეთში არ მომხდარა გენოციდი. რუსეთის ხელმძღვანელობა ახდენს ფაქტებისა და ისტორიის დამახინჯებას თავისი ვერსიებისა და ინტერესების სასარგებლოდ, რაც ჩვენს უკიდურეს აღშფოთებას იწვევს,"** - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

მეორე უზუსტობა აფხაზეთს ეხება. **"ამ შემთხვევაში ეთნიკური წმენდა 500 000 ადამიანის მიმართ, მათ შორის 280 000 ეთნიკური ქართველის წინააღმდეგ იმ ჯარის მიერ განხორციელდა, რომელიც რუსეთის ფედერაციის მიერ იყო დაფინანსებული და მხარდაჭერილი. არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება, საკუთარ სახლში დაბრუნდეს, რადგან იქ მყოფი რუსეთის ჯარი არ აძლევს მათ ამის საშუალებას. ბევრმა მათგანმა თავშესაფარი იპოვა რუსეთში და სწორედ ეს ხალხი დღეს ეთნიკურ სამიზნედ იქცა. მათ სვამენ თვითმფრინავებში და საქართველოში აგზავნიან,"** - განაცხადა მინისტრმა და აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის პრეზიდენტს არ აქვს თანაგრძნობის სიტყვები იმ ხალხის მიმართ, რომლებიც უკვე მეორეჯერ გაწირეს.

მესამე აქცენტი, რომელზეც ბეჟუაშვილმა ყურადღება გაამახვილა, ის არის, რომ საქართველოს მთავრობა და ხალხი არ გეგმავს ძალის გამოყენებას საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

**"რუსეთის პრეზიდენტმა იცის ეს, მაგრამ ფიქრობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ამასთან დაკავშირებით ინფორმირებული არ არის. არსებობს სამშვიდობო გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობამ შექმნა, რომელიც მოწონებულია ევროკავშირის, ეუთო-ს და მსოფლიოს მრავალი მთავრობის მიერ. ეს არის ჩვენი ხედვის მთავარი საფუძველი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეა დამყარებული,"** - მიიჩნევს ბეჟუაშვილი.

მინისტრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად, საქართველო კვლავ განიცდის საკუთარ თავზე პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მემკვიდრეობას. **"პრეზიდენტ პუტინის მიერ ნახსენები გაუარესება არ დაწყებულა რამდენიმე კვირის წინ, როდესაც ჩვენ რუსი ოფიცრები გავაძევეთ ქვეყნიდან. ურთიერთობა გაფუჭდა მაშინ, როდესაც დავიწყეთ დემოკრატიის განვითარება,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

მისივე თქმით, იგი მიესალმება რუსეთის პრეზიდენტის მზადყოფნას, განახლდეს დიალოგი საქართველოსა და რუსეთს შორის, თუმცა შიშობს, რომ რუსეთის სურვილია, საქართველოს კონფლიქტები სხვა მიზნებისთვის გამოიყენოს, როგორც პაიკი უფრო დიდ თამაშში. **"საქმე ეხება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკას, რომელსაც გლობალური შედეგები აქვს. ეს არის ევროკავშირის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი მეგობრები ევროპაში გაიგებენ ამას. მოდით, ნუ დავივიწყებთ სეპარატიზმის უპასუხისმგებლო და ცინიკურ წახალისებას რეგიონული, ძლიერი მოთამაშეების მიერ, რამაც სისხლის ზღვასთან და უბედურებებთან მიგვიყვანა. არც ჩვენ, არც ევროპას და არც მსოფლიოს ეს არ გვჭირდება,"** - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

*ინტერპრესნიუსი*

## სხეფერი განმარტავს

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება თავად მასზეა დამოკიდებული. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, თბილისში კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ნატო-ს პოტენციურ წევრებს საკმაოდ მძიმე ვალდებულებები ეკისრებათ და ისინი გარკვეულ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ. "მართალია, ბოლო დროს საქართველოსთან ნატო-ს დიალოგი უფრო ინტენსიური გახდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკვე გაწევრიანდა," - განაცხადა სხეფერმა და დასძინა, რომ "ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ისწრაფვის საქართველო საფუძვლიანი რეფორმირებისკენ". სხეფერმა ასევე აღნიშნა, რომ ალიანსი სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთანაც აპირებს ურთიერთობას. "თუ რომელიმე ქვეყანა ნატო-ს წევრობას გეგმავს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის "ანტირუსულ ალიანსში" წევრიანდება," - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა. **ინტერპრესნიუსი**

# აზიური ტურნეს რუსული დასასრული

პირველი გვერდიდან

**"ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის ჩიხიდან გამოსავლის ძიების გარდა, პუტინმა და რაისმა რუსულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებიც განიხილეს,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის მეთაურმა ალექსეი გრომოვმა.

თუმცა, რუსული წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის გარდა, თვალს უცხოურ პრესასაც თუ გადავავლებთ, საინტერესო დეტალებს გადავაწყდებით, რასაც რუსული ოფიციალური წყაროები თამამად არ აცხადებენ. პოპულარული ამერიკული გაზეთის "თაიმს"-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ოფიციალურმა მოსკოვმა აშშ-სგან გამაფრთხილებელი მესიჯებიც მიიღო. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე კონდოლიზა რაისმა რუსეთში მედიის თავისუფლების შევიწროებაზე, რუსეთში დაწყებული ქართული ქსენოფობიის, პოსტსაბჭოთა სივრცეში, კერძოდ კი, საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმების


რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ოფიციალური თბილისისთვის ამერიკელი მაღალჩინოსნის ვიზიტი მოსკოვში, ამას მომავალი აჩვენებს.

მხარდაჭერისა და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკის შესახებ ისაუბრა.

**"ჩვენ მოგიწოდებთ ორივე მხარეს - რუსულსა და ქართულსაც - მოძებნოთ ყველა საშუალება დაძაბულობის დეესკალაციისთვის,"** - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა ვიზიტის ბოლოს ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

დიპლომატიური ტონით ნათქვამი გზავნილი რუსეთისთვის ჯერჯერობით ერთადერთი გამაფრთხილებელი გზავნილია საქართველოს დასაცავად და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ოფიციალური თბილისისთვის ამერიკელი მაღალჩინოსნის ვიზიტი მოსკოვში, ამას მომავალი აჩვენებს.

რაც შეეხება მოსკოვში მიმდინარე არანაკლებ მტკივნეულ პროცესებს თუ ტენდენციებს, რაც დამოუკიდებელ ჟურნალისტებს განადგურებით ემუქრება და რისი არაერთი მაგალითიც უკვე არსებობს - იგი საკმაოდ აშფოთებს საერთაშორისო თანამეგობრობას, რასაც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის განცხადებებიც მოწმობს. მოსკოვში პუტინთან შეხვედრამდე კონდოლიზა რაისმა რუსეთში მოკლული ცნობილი ჟურნალისტის შვილი და "ნოვაია გაზეტას", სადაც ანა პოლიტკოვსკაია მუშაობდა, რედაქტორი მიიწვია და სამძიმარი გამოუცხადა.

**"ნოვაია გაზეტა" რუსეთში ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემაა, რაც ადასტურებს, რომ თავისუფალი პრესის სრულიად ჩახშობა შეუძლებელია. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ბეჭდვითი გამოცემაა, რომელიც მკაცრ პირობებში თავისუფალი მასმედიის სტატუსს ინარჩუნებს, რასაც ვერ ვიტყვი რუსეთში არსებულ სხვა გაზეთებსა თუ ტელევიზიებზე,"** - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

*24 საათი*

# უიმედო სიღნაღელები და ოპტიმისტი პრეზიდენტის დანაპირები

### სიღნაღი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე დგას

*მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სიღნაღის რაიონი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე დგას. გაჩეხილი ტყის მასივებისა და გახშირებული წვიმების გამო რაიონის ნაწილი დაიმეწყრა, რის გამოც 72 ოჯახს სერიოზული საფრთხე ემუქრება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

სიღნაღის რაიონში მცხოვრები 58 წლის ნანული გოშნიაშვილი უკვე მესამე წელია, რაც გამგებელს დახმარებისთვის მიმართავს. იგი ერეკლე II-ის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ჩამოწოლილი მეწყერის შედეგად მას სახლის აღმოსავლეთის მხარის კედელი მთლიანად ჩამოენგრა. **"სახლში რემონტი 10 წლის წინათ ჩავატარე. 53 წლიდან აქ ვცხოვრობ და ჩემთვის თითოეული კენჭიც კი ძვირფასია. 86 წლის დედა საკუთარ სახლში ვერ მომყავს. მეშინია დანგრეული კედლებისა და დეფორმირებული საძირკვლის დანახვაზე, უცებ ინფარქტით ან წნევით არ დაიღუპოს. ასე ამბობს, სახლს რომ ვაშენებდი, ფრჩხილებიდან სისხლი მდიოდაო,"** - ამბობს ნანული გოშნიაშვილი. ამ დროისთვის ქალბატონ ნანულის და მის დედას ნაქირავებ ბინაში უწევთ ცხოვრება. მათ ჯერ კიდევ არ იციან, როდემდე გაგრძელდება ასეთი გაუსაძლისი ყოფა. დახმარება, რომელიც სტიქიით დაზარალებულებზე გასულ წლებში რაიონში რამდენჯერმე გაიცა, გოშნიაშვილებს არ შეხვედრიათ. **"ასე მეუბნებოდნენ, დახმარება მხოლოდ სეტყვითა და ყინვით დაზარალებულებს ეკუთვნითო. მეწყერი სტიქიაში არ ჩათვალეს. არადა, სტიქიამ ყველაზე მეტად მე დამაზარალა. ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ მიწევს ცხოვრება,"** - ამბობს ქალბატონი ნანული.

გოშნიაშვილების მსგავსად, კრიტიკულ მდგომარეობაში ამავე ქუჩაზე მცხოვრები კიდევ 71 ოჯახი აღმოჩნდა. მოსახლეობა ამბობს, რომ მათთვის დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია. **"პირველად, როცა მეწყერი ჩამოწვა და ჩვენი უბნის გზა ჩაიტანა, კახეთის გუბერნატორიც იყო ჩამოსული და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელიც. დახმარებას დაგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არავის გავხსენებივართ. რამდენიმე დღის წინაც გავუგზავნეთ გუბერნატორს წერილი, 72 ოჯახის ხელმოწერით, თუმცა ჩვენამდე არც არავინ მოსულა და არც რაიმე სახის პასუხი მიგვიღია,"** - ამბობს სიღნაღელი ლეილა შაიშმელაშვილი.

პრობლემის შესასწავლად რაიონში გეოლოგები ჩავიდნენ და მოამზადეს სპეციალური დასკვნა, სადაც მითითებული იყო, რომ ერეკლე მეორის ქუჩა საცხოვრებლად საშიშია. იმის ნაცვლად, რომ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას დახმარებოდა, სიღნაღის რაიონის გამგეობისთვის ეს საბუთი იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა, რომ გეოლოგიური დასკვნა გამგეობაში ვერც კი მოძებნეს.

პრობლემის აქტუალურობაზე საუბრობს ქალაქ სიღნაღის მთავარი არქიტექტორიც. ზურაბ კახეთელიძე ამბობს, რომ, შესაძლოა, მეწყერმა მთლიანი უბანი ჩაიტანოს და მსხვერპლიც გამოიწვიოს. **"კომუნისტების პერიოდში, როდესაც აქ ინდივიდუალური სახლების მშენებლობა დაიწყო, მოსახლეობის მიერ მთლიანად ამოღებული და განადგურებული იქნა მიწისქვეშა სადრენაჟო სისტემა. ამის გამო, რამდენიმედღიანი გადაუღებელი წვიმების დროს, წყალი პირდაპირ თიხანარევ ნიადაგში მიედინება, რის შედეგადაც მთლიანად ქუჩა დაიმეწყრა,"** - აღნიშნავს ზურაბ კახეთელიძე. ქალაქის არქიტექტორი იმასაც დასძენს, რომ სასწრაფოდ ხიმინჯებია გასაკეთებელი და ადგილის გასამაგრებლად სპეციალური სამუშაოებია ჩასატარებელი. რაიონის ხელმძღვანელობა კი ამ პრობლემას ვერ გაუმკლავდება. სავალალო სიტუაციის თავიდან ასაცილებლად, ერთი მილიონი ლარია საჭირო, ადგილობრივ ბიუჯეტს კი ამის საშუალება არ გააჩნია. კულტურის მემკვიდრეობის ფონდი კი მხოლოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ კულტურული ძეგლების შეკეთებაზე ზრუნავს.

სპეციალისტების თქმით, აქ მეწყერული ზონების შექმნა ტყის მასობრივად კაფვამ გამოიწვია. საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოების ინფორმაციით, კახეთის რეგიონში ტყის დაცვის მუშაკების მიერ აღრიცხულია 8 ათას 965 კუბომეტრი ტყის მასივის უკანონო ჭრა. თუმცა, ორგანიზაცია არ გამორიცხავს, რომ რეალური სტატისტიკა უფრო მაღალი იყოს, რადგან, სიღნაღის მსგავსად, ახმეტის, ყვარლის და თელავის რაიონებშიც ტყის კაფვამ კატასტროფულ მაჩვენებელს მიაღწია. **"პირველ რიგში, სატყეო მეურნეობები და გარემოს დაცვის ინსპექცია არის პასუხისმგებელი მთელ ამ განუკითხაობაზე. საჭიროა, სწორი სატყეო მენეჯმენტი და კორუფციის შემცირება. ეს სენი სატყეო სექტორში ისევ ყვავის. ვფიქრობ, რომ სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს გარემოს დაცვას და ამ სექტორში გამეფებულ კორუფციას,"** - ამბობს საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე კარლო ამირგულაშვილი.

არსებულ ვითარებაში, როდის მოგვარდება სიღნაღელების პრობლემა - რთული საკითხია. თუმცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა "თბილისობაზე" განაცხადა, რომ სულ მალე ქიზიყის ეს ლამაზი ისტორიული ადგილი ტურისტულ ქალაქად გადაიქცევა.

## მოკლედ

### ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთს პირობას უყენებს

ნატო-ს წევრი-ქვეყნები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული შეთანხმების რატიფიცირებას მანამ არ მოახდენენ, ვიდრე რუსეთი საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიიდან ჯარებს არ გაიყვანს. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

"ვისურვებდი, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული შეთანხმება რაც შეიძლება სწრაფად შევიდეს ძალაში," - აღნიშნა სხეფერმა.

მანვე განმარტა, რომ შეთანხმების ძალაში შესასვლელად ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ადაპტირებული შეთანხმების რატიფიცირება 30-მა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს, რომელიც ამ შეთანხმებას შეუერთდა.

"ორმა მათგანმა - საქართველომ და მოლდოვამ - ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ ამას მანამ არ დათანხმდებიან, ვიდრე მათ ტერიტორიაზე, მათივე თანხმობის გარეშე, რუსული ჯარი იქნება განლაგებული," - აღნიშნა სხეფერმა. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთმა გარკვეული ვალდებულებები შეასრულა, თუმცა, მოლდოვასთან მიმართებაში ამ კუთხით ძვრები არ არის. **ინტერპრესნიუსი**

### ბაგაფში და კოკოითი მხოლოდ რუსეთთან ყოფნას აპირებენ

აფხაზური მხარე თბილისთან მოლაპარაკებების აღდგენის წინააღმდეგია და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და მოსკოვში 1994 წლის 14 მაისს "ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ" მიღებული შეთანხმების შესრულებას ითხოვს, - განაცხადა აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა სოხუმში სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის წარმომადგენელთან პიტერ სემნებთან გამართულ შეხვედრაზე.

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თუ საქართველო თავს არ დაანებებს მოსკოვში მიღებული დადგენილების დარღვევას და არ გაიყვანს შეიარაღებულ ფორმირებებს კოდორის ხეობიდან, აფხაზეთი იძულებული იქნება, ადეკვატური ზომები მიიღოს.

"აფხაზეთი განაგრძობს რუსეთთან ინტეგრაციას, რადგან მას არ შეუძლია საქართველოსთან ერთად არსებობა," - აცხადებს ბაგაფში.

ანალოგიური განცხადება გააკეთა "სამხრეთ ოსეთის" დე-ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმაც. "სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ გადაწყვეტილება მიიღო - ჩვენ შევალთ რუსეთის შემადგენლობაში," - აღნიშნა მან. **მედიანიუსი**

### რუსეთი საერთაშორისო შეთანხმებას შავ ზღვაშიც არღვევს

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია შავ ზღვაზე, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მიმდინარე წვრთნებს საერთაშორისო შეთანხმების დარღვევად აფასებს. როგორც ცნობილია, 30 სექტემბრიდან წვრთნებს აქ რუსეთის სამხედრო საზღვაო ძალები ატარებენ. რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი 25 ოქტომბრამდე გაგრძელდება. აღნიშნული გადაწყვეტილება მეზობელმა ქვეყანამ ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად მიიღო.

როგორც სასაზღვრო პოლიციაში აცხადებენ, სარაკეტო და საზენიტო სასწავლო სროლების ჩასატარებლად საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და მიმდებარე ზონაში საზღვაო რაიონი ნაოსნობისათვის დროებით ჩაიკეტა.

"არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, დახურულად გამოაცხადოს საქართველოს საზღვაო სივრცის ნებისმიერი რაიონი სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად, ხელყოს გაერო-ს წესდებით გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციის შესაბამისად დადგენილი საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმი. ეს რეჟიმი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სხვა სახელმწიფოთა მიერ სამხედრო წვრთნების სახელმწიფოთაშორის შეთანხმების გარეშე ჩატარებას არ ითვალისწინებს. ამგვარი ქმედებები საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში ძალის გამოყენების დემონსტრირებად ფასდება. ამგვარი ქმედებებით რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი საქართველოს საზღვაო სივრცეში არღვევს საერთაშორისო უსაფრთხოებას, მშვიდობასა და წესრიგს შავ ზღვაში," - მიაჩნიათ საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში.

სასაზღვრო პოლიციის განცხადებით, ეს წვრთნები აფერხებს მცურავი საშუალებების მიმოსვლას, საქართველოს ნავსადგურებში, საქართველოს საზღვაო სივრცის მიმდებარე ზონაში ზღუდავს საბაჟო, ფისკალური, იმიგრაციული და სანიტარული წეს-კანონების სახელმწიფო კონტროლს, სწავლების სპეციფიკა ასევე აბინძურებს საქართველოს საზღვაო სივრცეს, რაც მის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედებს. **მედიანიუსი**

უცხოური პრესა

# საქართველოს პერსპექტივები

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკური, პოლიტიკური და საიდუმლო ქმედებების ნაზავი ბალტიისპირეთის ქვეყნებში 90-იან წლებში არსებულ მშფოთვარე და საშინელ პერიოდს გვაგონებს. პერიოდს, რომელმაც ევროპის ისტორია მთლიანად შეცვალა.

90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც თქვენი მონა-მორჩილი კორესპონდენტი ბალტიისპირეთში ცხოვრობდა, ამ ქვეყნების ნატო-ში შესვლის პერსპექტივაზე საუბარი რაღაც აუხდენელ ოცნებას ჰგავდა. ისე ჩანდა, რომ ამ გზაზე გადაულახავი ბარიერები იყო აღმართული: ჯერ ერთი, არ გავიდოდნენ საბჭოთა საოკუპაციო ჯარები; მეორე - რუსეთთან მოუგვარებელი იყო სასაზღვრო საკითხები; მესამე - ამას დიდი ფული სჭირდებოდა; მეოთხე - ნატო-ს სტანდარტებსა და ბალტიის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის უდიდესი განსხვავება არსებობდა; მეხუთე და ყველაზე მთავარი - ამ პერსპექტივასთან დაკავშირებით დასავლეთი აბსოლუტურად არანაირ ენთუზიაზმს არ ამჟღავნებდა.

რუსეთმა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღო და მათ დასავლეთთან ვაჭრობა ჩაუკეტა, აგრეთვე განაცხადა, რომ ნატო-ში ბალტიელების შესვლა "მიუღებელია" (ეს, საერთოდ, კრემლის საყვარელი გამოთქმაა). ამით მოსკოვმა წარმოაჩინა საკმაოდ ძლიერი არგუმენტი იმისა, რომ ამ ქვეყნების ალიანსში შესვლა არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. ამ მოსაზრებას რუსეთი იმითაც ამყარებდა, რომ ყოველმხრივ აჭიანურებდა თავისი ჯარების გამოყვანას, განუწყვეტლივ წუწუნებდა ენისა და მოქალაქეობის შესახებ ადგილობრივ კანონებზე, უარს ამბობდა, ეცნო ბალტიისპირეთის ქვეყნები ომამდელი პერიოდის სახელმწიფოების სამართალმემკვიდრედ. ყოველივე ამის გამო, ადგილობრივმა მოსახლეობამ აქტიურად დაუჭირა მხარი ნატო-ში შესვლას და ეს გასაგებია: როდესაც ადამიანი შეშინებულია, ის, პირველ რიგში, თავის დაზღვევას ცდილობს.

გარკვეული დროის შემდეგ ამ აზრის სისწორე დასავლეთმაც ირწმუნა. ბალტიისპირეთის ქვეყნები დღემდე, პრაქტიკულად, დაუცველნი არიან. ორ მათგანს, ესტონეთსა და ლატვიას, სასაზღვრო ხელშეკრულებები რუსეთთან გაფორმებული არა აქვს. მიუხედავად ამისა, ისინი იქცნენ იმის სიმბოლოდ, რომ ბედის ანაბარად მათი დატოვება დაუშვებელია. ყოველ შემთხვევაში, თავად ისინი ასე ფიქრობენ.

ახლა კი, მოდით, წარმოვიდგინოთ, როგორი განსხვავებული იქნებოდა ისტორიული განვითარების გზა, კრემლს რომ ეთქვა: "ნატო-ში შესვლა გსურთ? კი ბატონო, როგორც გენებოთ. ჩვენ ხელს არ შეგიშლით - ნატო-სთან კარგი ურთიერთობებით თავად ვართ დაინტერესებულნი. რა თქმა უნდა, ჯარებს სასწრაფოდ გავიყვანთ... მოხარული ვიქნებით სასაზღვრო ხელშეკრულებების გაფორმებით და თქვენი ისტორიული უწყვეტობის აღიარებით".

მოსკოვიდან ასეთი სიგნალი რომ ყოფილიყო, ნატო-ს გაფართოების არგუმენტებიდან კვალიც კი აღარ დარჩებოდა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნატო მოისურვებდა, მის რიგებში ყოფილი კომუნისტური ბანაკის თუნდაც ერთი წევრი აღმოჩენილიყო.

დღეს რუსეთი, საქართველოსთან მიმართებაში, ანალოგიურ შეცდომას უშვებს. ნატო-ში


რუსეთის ზეწოლა კიდევ უფრო აჩქარებს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას.

ცოტა ვინმეს თუ უნდა შავი ზღვის ნაპირებამდე გაფართოება: ალიანსს ისედაც კატასტროფულად არ ჰყოფნის რესურსები და ასეთ დროს არავის აღაფრთოვანებს ისეთი გაჭირვებული ქვეყნის შემატება, რომლისთვისაც ბევრი რამის გაღებაა საჭირო და რომლისგანაც ძალიან ცოტას მიიღებ (გამონაკლისი მხოლოდ მილსადენებია). მაგრამ რუსეთის განზრახვა, რომ დატოვოს საქართველო თავის "ახლო საზღვარგარეთში", სადაც ის გეოპოლიტიკური ვეტოს უფლებას ერთპიროვნულად ფლობს, ქმნის განწყობას, რომელიც დღეს საქართველოში, ხოლო თუ ასევე გაგრძელდება, უკვე ხვალ ევროპაში საპირისპირო შედეგს გამოიღებს.

საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ "ზეწოლა პროტესტს იწვევს". რუსეთი არავის უხსნის, მისი მოკავშირეობა რა სარგებელს მოუტანს. რომელმა ქვეყანამაც არ უნდა მოინდომოს რუსეთთან ერთად ერთ გუნდში თამაში, მალე ეს სანანებლად უხდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრემლში არავინ ფიქრობს პატარა და ერთგულ სომხეთზე, რომელიც ანტიქართულმა სანქციებმა ძალიან დააზარალა. ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო ამტკიცებს, რომ მისი რუსი კოლეგა ვლადიმირ პუტინი "სტალინზე უარესია" და უკვე თავად ცდილობს ნიადაგის შემზადებას დასავლეთთან თანამშრომლობისათვის. იაფი გაზი მხოლოდ თავიდან იწვევს სიხარულს: შემდგომში მისთვის დიდი საფასურის გადახდაა საჭირო.

თავისთავად გასაოცარია ის, რომ "ევროატლანტიკური ორიენტაცია" ძალიან დიდხანს რჩება მოდაში, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ერაყის ოკუპაციით გამოწვეულ კატასტროფას და ევროატლანტიკური სოფლის მეურნეობის პროტექციონიზმის გამაოგნებელ ანგარებას. მათთვის, ვინც კრემლის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე მუშაობენ, სასარგებლო იქნებოდა, თუ დაფიქრდებოდნენ: რატომ ხდება, რომ შემდგარი ქვეყნები ნატო-ში შემსვლელთა რიგში ეწერებიან, უკუმიმართულებით კი მხოლოდ დნესტრისპირეთის მსგავსი მარიონეტული წარმონაქმნები მოძრაობენ?

*"ეკონომისტი" (დიდი ბრიტანეთი)*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კონსტიტუციური ცვლილებების მოლოდინში

## პრო და კონტრა

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, პროდასავლური, მაგრამ არადემოკრატი ხელისუფლება ისევე განწირულია, როგორც ნატო-ს დაცილებული საქართველო. ასეთია დღევანდელი მოვლენების ლოგიკა, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მოღალატეს ან სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკოსს თუ გადაადგმევინებს ნაბიჯებს ლუკაშენკოსეული თუ თურქმენბაშისეული რეჟიმის მშენებლობისაკენ. გვაქვს ლოგიკური საფუძველი, რომ დღევანდელ მმართველ ელიტას ან ერთი, ან მეორე გულწრფელად დავაბრალოთ?!

რა თქმა უნდა, სააკაშვილს ვერავინ დასწამებს ხელისუფლების განაწილების ალტრუისტულ სურვილს. იგი არ ეკუთვნის იმ ტიპის და ასაკის პოლიტიკოსებს, რომელნიც ქვეყნის საჭეთმპყრობლობაზე ნებაყოფლობით ამბობენ უარს და ბოსტნის მოვლას არჩევენ. სულ არ გამოვრიცხავ, რომ ძალაუფლების კონცენტრაციის მისეულ მოტივაციაში არა მხოლოდ რეფორმების სწრაფად გატარების ლოგიკა იყოს, არამედ საკუთარ სისწორეში თავდაჯერებულობისა და პირველობისაკენ სწრაფვის თანდაყოლილი სურვილიც. ამაში ისევეა რისკი დემოკრატიისათვის, როგორც ლამის საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის გადახუნძვლაში დემოკრატიული შეკავება-გაწონასწორების მექანიზმებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არა მხოლოდ რეფორმების, არამედ პოლიტიკური სისტემის პარალიზებაც შესაძლებელია, რისი მაგალითიც პოსტ-რევოლუციური უკრაინაა. მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ არა მხოლოდ მას, არამედ ნებისმიერს მისი გუნდიდან არ ესმოდეს, რომ სახელმწიფოს მოწყობის ბელორუსულ-თურქმენული, ან თუნდაც რუსული ნაირსახეობები ქვეყანასაც ემუქრება დაღუპვით და მის მმართველ ელიტასაც.

არის თუ არა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დამთხვევა ავტორიტარიზმის დამკვიდრების საწინდარი? ზემოთაღწერილი ლოგიკით, დღეს საქართველოში ასე არ უნდა იყოს, სხვა პოლიტიკურ გარემოებებში კი - არ ვიცი, გააჩნია ვითარებას. ერთი ცხადია, ასეთი დამთხვევით დაიზოგება არა მხოლოდ ფინანსები, არამედ პრეზიდენტის ენერგიაც, რომლის რეიტინგი საკმაოდ დიდი ფორის მიმცემია ნაციონალური მოძრაობისათვის. იიოლებს სააკაშვილი ამით საქმეს საპარლამენტო არჩევნებისათვის? უდავოდ, მაგრამ იგი ამით დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებს კი არ არღვევს, დემოკრატიული ტექნოლოგიების და საკონსტიტუციო უმრავლესობის თავისი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების მაგალითს გვთავაზობს.

მეორე არგუმენტი სააკაშვილის ამ ინციატივის წინააღმდეგ ისაა, რომ მას საპრეზიდენტო არჩევნების მოსწრება სტრატეგიული პარტნიორის, ბუშის პრეზიდენტობის დროს სურს. ლოგიკური არგუმენტია, მაგრამ არა მგონია, ამაში ვინმემ კრიმინალი დაინახოს, თუ არა იმან, ვისაც ამერიკა საქართველოს მტერი ჰგონია.

არის მესამე და ყველაზე საფუძვლიანი არგუმენტი, რომელიც ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ გააჟღერა: კონსტიტუციას ხელი მაშინ უნდა ახლო, როდესაც მისი ხელუხლებლობა მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე პირიქით. ეს არგუმენტი ეყრდნობა დემოკრატიულ ჭეშმარიტებას, რომ კონსტიტუცია ერთგვარი საერო წმინდა წიგნია, რომლის სტაბილურობა თავად სახელმწიფოს სტაბილურობის ტოლფასია. მაგრამ არის კი ჩვენი სახელმწიფო უკანმოუხედავად სტაბილური?

კონსტიტუციური შესწორება უდავოდ მოხდება. ამის ნება არსებობს მმართველ უმრავლესობაში, რომელიც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს. მაგრამ თუ ასეა, საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ჯერ არ გამოუხატავთ თავისი დამოკიდებულება შემოთავაზებული ცვლილებების მიმართ, სასურველი იქნება, კონსტიტუციის სხვა მუხლებიც იქნეს განხილული.

თუ 2004 წლიდან საპრეზიდენტო ძალაუფლების კონცენტრაცია პოსტრევოლუციური რეფორმების საჭიროებით აიხსნებოდა, დღეს ამ რეფორმების ნაწილი წარმატებით განხორციელდა თუ ხორციელდება. ვფიქრობ, მოვიდა დრო, როდესაც კონსტიტუციაში უკეთ უნდა იქნეს ასახული სასამართლო დამოუკიდებლობის საფუძვლები და პარლამენტის დათხოვნის თემაც რევიზიას უნდა დაექვემდებაროს. მითუმეტეს, რომ 2004 წელს, როდესაც კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შედიოდა, საკონსტიტუციო კომისიის წევრები აცხადებდნენ, რომ 2007 წლისათვის მთელ რიგ საკონსტიტუციო დებულებებს კიდევ ერთხელ დაუბრუნდებოდა ხელისუფლება. თუ ეს მოხდა, თურქმენიზაცია-ბელორუსიზაციისაგან არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური ფონი და პოლიტიკური ელიტის კონკრეტული ინტერესი დაგვიცავს, არამედ მთელი რიგი დემოკრატიული ღირებულებების კონსტიტუციური ინსტიტუციონალიზაცია.

# უსაფუძვლო შიში

## ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოტივაცია და არგუმენტები

ეკა კვესიტაძე

გასულ კვირას პრეზიდენტის ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი სიურპრიზად იქცა პოლიტიკური სპექტრისთვის. შეფასება თითქმის ერთგვაროვანი იყო - ლუკაშენკოსა და თურქმენბაშის რეჟიმთან გავლებული ანალოგიები.

სააკაშვილს, როგორც ჩანს, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ჰობად ექცა. თავისი საპრეზიდენტო ვადა მან სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებებით დაიწყო. ქვეყნის ყველაზე მთავარი კანონი მაშინდელ პოლიტიკურ გარემოს მოარგო და ისე გაიზარდა უფლებამოსილება, რომ დიქტატურის დამყარების საფუძვლიანი შიში მაშინ ძალიან ბევრს გაუჩნდა, მათ შორის, პრეზიდენტის დღევანდელი უახლოესი გარემოცვის წევრებსაც.

ამ ცვლილებების შემდეგ ქართულმა კონსტიტუციამ გაურკვეველი ჰიბრიდის სახე მიიღო. ეს ჰიბრიდი კიდევ უფრო უცნაური გახდება იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ცვლილებების ახალ პაკეტსაც დაამტკიცებს.

ცხადია, რომ კონსტიტუციაში ხშირი ცვლილებების შეტანა არასტაბილურობის განცდას ბადებს. შესაბამისად, თითოეული ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გარემოებებიდან წამოსული აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი. ასე რომ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა ახალი ინიციატივის - საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარების შესახებ, დაისვა მთავარი კითხვა - რა ობიექტურმა გარემოებებმა აიძულა პრეზიდენტი, მიეღო ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე კომენტირებისას თავად სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ორი არჩევნების ჩატარებას უამრავი რესურსი სჭირდება, ამიტომ ჯობია, ორის მაგივრად ერთი არჩევნები ჩატარდეს, დაიზოგოს რესურსები და ხალხმა ერდროულად აირჩიოს პრეზიდენტი და მისი გუნდი, რომელიც პარლამენტში მის მიერ არჩეული კურსის გატარებას უზრუნველყოფს. ამ ახალი ინიციატივის განსახორცილებლად კი ის თავისი პრეზიდენტობის ვადიდან 7-8 თვეს გაწირავს.

ერთი შეხედვით საკმაოდ ადვილად გასაგები და მარტივი ლოგიკაა, მაგრამ საკმარისია თუ არა ეს ლოგიკა კონსტიტუციაში კიდევ ერთი რადიკალური ცვლილებების შესატანად და ისეთი ტიპის კონსტიტუციური მოდელის შესაქმნელად, რომელიც არც საპრეზიდენტოში ეწერება და არც საპარლამენტოში.

თუ საკონსტიტუციო ცვლილების გასამართლებლად თქმული არგუმენტები საკმაოდ მარტივი გასაგებია, ბევრად უფრო ძნელი ასახსნელია ის უთქმელი მოტივაცია, რომელსაც პრეზიდენტის ახალი ინიციატივა ემყარება და რომლის ახსნასაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ ოპოზიციის ლიდერები თუ ექსპერტები.

"ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი შეშფოთებულია იმ პროცენტით, რომელიც ოპოზიციამ ჯამში დააგროვა და ახლა ცდილობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში თავის პარტიას გამარჯვებისთვის გარანტიები შეუქმნას," - დაახლოებით ასეთია ოპოზიციური პარტიების მიერ გაკეთებული განცხადებები.

ცოტა ძნელია იმის თქმა, რომ სააკაშვილს ამ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შეშფოთების რეალური საფუძველი აქვს. რა თქმა უნდა, არა აქვს და ობიექტურად ვერც ექნება. ნაციონალური მოძრაობის უპირატესობა ძალიან დიდი იყო ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, თუნდაც მათი პროცენტები ერთად შეიკრიბოს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია - ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით პრეზიდენტი ამოცანას საგრძნობლად იიოლებს.

თეორიულად რაც არ უნდა კარგად ესმოდეთ მიხეილ სააკაშვილს და მისი გუნდის წევრებს, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნების მოგება თუნდაც 2-3 პროცენტის უპირატესობით ტრაგედია არ არის, განცდა, რომ მათი უპირატესობა ძალიან დიდი უნდა იყოს, ფარულ პანიკას მაინც თესავს ნაციონალურ მოძრაობასა და განსაკუთრებით მის ლიდერში, რომელიც "აბსოლუტურ გამარჯვებებს" არის მიჩვეული.

იგივე ფარული შიშით შეიძლება აიხსნას გიგი უგულავას გადაწყვეტილება, კენჭი არ ეყარა თბილისის არც ერთ რაიონში - ვაი თუ მას სასურველი უპირატესობით არ მოეგო ოპოზიციის რომელიმე ლიდერისათვის.

ფაქტია, რომ ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი პირდაპირ სააკაშვილზეა მიბმული. თუ ძალზე მცირე გამონაკლისს არ ჩავთვლით, სამთავრობო პარტიის ყველაზე გამორჩეული სახეები დიდი პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობენ. ასე რომ, პრეზიდენტს სერიოზული გარჯა დასჭირდებოდა საპარლამენტო არჩევნებისთვის. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით კი შესაძლებელია, ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა, ანუ ცხოვრება უფრო კომფორტული გაიხადო.

რაც შეეხება ლუკაშენკოსა და თურქმენბაშთან პარალელების გავლებას, ამ შემთხვევაში ოპოზიციამ ნამდვილად გადაამლაშა. დიქტატურასა და ავტორიტარიზმზე ზოგადი ლაპარაკისას მათ საფრთხეები არ დაუკონკრეტებიათ, რადგან რეალურად ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები არანაირ პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის დემოკრატიას. მაგრამ ამ საფრთხის პოტენციური წყარო შესაძლოა, ხელისუფლების პოლიტიკური ამპარტავნობით გამოწვეული პანიკა გახდეს - იმის შიში, რომ მათ შეიძლება დიდი უპირატესობით ვერ მოუგონ ოპოზიციას. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს უწყინარი შიში მომავალში სახიფათო ინიციატივების საფუძველიც გახდეს.

# www kremlin ru

## ანუ ერთაშორის მეგობრობის ინსტიტუტი

პირველი გვერდიდან

შეიძლება ის ზუსტად ისეთია, როგორსაც გვატყობინებს ВЦИОМ (საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ოფიციალური წყარო), და შეიძლება არა. რადგან, ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრი მხოლოდ მაშინ გამოიკვეთება, როდესაც მოქალაქეებს აქვთ საშუალება გაეცნონ ყველა ალტერნატივას და არა მხოლოდ იმ ერთადერთს, რომელსაც გვთავაზობს კრემლი," - წერს ევგენია ალბაცი.

რაც არ უნდა გასაგები და მისაღები იყოს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი რუსი ჟურნალისტის პოზიცია, არსებობს მაინც ეჭვი იმისა, რომ კრემლი აწვდის მოსახლეობას მოვლენათა ზუსტად ისეთ ინტერპრეტაციას, როგორიც რუსი ერის დიდ უმრავლესობას სურს. ფაქტია, რომ მიუხედავად მართვის უკიდურესად ავტორიტარული სტილისა, დემოკრატიული ინსტიტუტების თითქმის არარსებობისა და კორუფციის ყოვლისმომცველობისა (ჟურნალ Newsweek-ის მონაცემებით, მსოფლიო ბანკმა რუსეთი 208-დან 151-ე ადგილზე დააყენა პოლიტიკური სტაბილურობის, მართვის ეფექტურობის, კანონიერებისა და კორუფციის კონტროლის ნიშნით), პრეზიდენტ პუტინის რეიტინგი უკვე მეექვსე წელია არნახულად მაღალია. არ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ რუსეთში დღევანდელი ხელისუფლების მაღალი რეიტინგი მხოლოდ განპირობებულია ენერგომატარებლებზე არსებული მაღალი ფასით და, შესაბამისად, ცხოვრების დონის შედარებითი ამაღლებით. საქმე ის არის, რომ რუსეთში ყოველთვის ფასობდა დერჟავნიკული აზროვნება და მოსახლეობის ფართო მასები არად დაგიდევდნენ საკუთარი არსებობის უმწეო სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებს, ოღონდ კი ჰქონოდათ შინაგანი შეგრძნება, რომ მათი სახელმწიფო შიშის ზარს სცემს გარეშე სამყაროს. ცხადია, რომ



ხელისუფლებაც ყველა დროში შესაბამისად ირჯებოდა.

აი, რას წერდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ავსტრიელი დიპლომატი ფრიდრიხ ფონ გენტცი: "არანაირი შემკავებელი საწყისები, რომლებიც ზღუდავენ და ჩარჩოებში აქცევენ სხვა მონარქების ქმედებას, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება, კონსტიტუციური ფორმები, საზოგადოებრივი აზრი თუ სხვა, არ არსებობენ რუსეთის იმპერატორისთვის. ის, რაც მას ღამე დაესიზმრება, შეუძლია დილით მოიყვანოს სისრულეში." არც არის გასაკვირი, რომ პუტინისეული მართვის ხანაში საქმე გვაქვს ძალაუფლების აბსოლუტურ პერსონიფიკაციასთან. რუსეთის პრეზიდენტი ახდენს ხელისუფლების სრულ უზურპირებას, მაგრამ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ნუთუ ვინმეს ახსოვს ამ ქვეყნის დემოკრატი მმართველი? (ლიბერალობის გარკვეული ნიშნები შეიმჩნეოდა გორბაჩოვის ხანმოკლე მმართველობისას, მაგრამ ესეც ალბათ საერთაშორისო კონიუნქტურით იყო განპირობებული და თანაც შემკული ისეთი მოვლენებით, როგორიც 9 აპრილი და ვილნიუსის ტელეანძასთან შეკრებილი დემონსტრანტების შტურმია). ნებისმიერი ქვეყნის მმართველს, რომელიც ესოდენ გაიფუჭებდა ურთიერთობას თითქმის ყველა მეზობელთან (ბალტიისპირეთი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, ბელარუსიც კი!), აუცილებლად მოისროდნენ პოლიტიკური ავანსცენიდან, მაგრამ არა რუსეთში, სპეციფიურობით აღსავსე ქვეყანაში.

ხელისუფლებისა და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ერთსულოვნების გათვალისწინებით, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია რაიმე სახის დემოკრატიული პროცესების განვითარება ახლო მომავალში და თუ ვლადიმირ პუტინი აღარ წარადგენს თავის კანდიდატურას 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მის მიერ შერჩეული მემკვიდრის (ამ მომენტისთვის უფრო მისი ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი და დღეს ვიცე-პრემიერი მედვედევი, ვიდრე თავდაცვის მინისტრი ივანოვი), წინასაარჩევნო რიტორიკა არ უნდა გამოირჩეს დიდი ორიგინალობით.

ქვეყნის "ფართო მასებში" არსებული განწყობით აიხსნება რუსეთის ე.წ. დემოკრატიული ძალების სამარცხვინო დუმილიც ანტიქართული ისტერიის პირველ დღეებში. ბორის ნემცოვის СПС-მა მკვეთრი განცხადება მხოლოდ 9 ოქტომბერს გააკეთა, ე.ი. კრიზისის დაწყებიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ. ფაქტობრივად, დუმან ირინა ჰაკამადასა და გრიგორი იავლინსკის პარტიები. სავარაუდოდ, საქართველოსთან მიმართებაში ანტისახელისუფლებო განცხადების გაკეთება იმდენად არაპოპულარულია დღევანდელ რუსეთში, რომ ზემოხსენებული პარტიები ვერც კი ბედავენ ხმის ამოღებას ისედაც არარსებული ელექტორატის დაკარგვის შიშით. რუსეთის ამ უფერულ პოლიტიკურ სივრცეში ცვლილების შემტანად მხოლოდ ყოფილი პრემიერ-მინისტრი მიხაილ კასიანოვი გვესახება. მან არა მხოლოდ პირველმა დაგმო პოლიტიკოსთაგან კრემლის დისკრიმინაციული პოლიტიკა საქართველოს მოქალაქეების მიმართ, არამედ მისი სტატუსიდან გამომდინარე, დიდი სარგებლობის მომტანია, თუკი ის შეიტანს "საქართველოს თემატიკას" თავის წინასაარჩევნო კამპანიაში.

უდავოდ, მიამიტობა იქნება იმის მოლოდინი, რომ მსგავსი ფუნქციონერული წარსულის მქონე პრეტენდენტმა თავის წინასაარჩევნო რიტორიკაში გამოხატოს, ვთქვათ, ლოიალობა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიმართ, მაგრამ მაინც მოსალოდნელია, რომ კასიანოვმა არ "ითამაშოს პუტინის მოედანზე" და უფრო პროდასავლური, დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდაზე ააგოს თავისი სტრატეგია. ამის საფუძველს იძლევა მის ბოლოდროინდელ განცხადებებსა და ინტერვიუებში გამოთქმული მოსაზრებები. კრემლისეული ყოვლისშემძლეობის ფონზე, რა თქმა უნდა, კასიანოვი აუტსაიდერი იქნება პუტინის მიერ დანიშნული მემკვიდრის წინაშე, მაგრამ მისი ე.წ. "მეურნის" იმიჯი და ბუნებრივი ქარიზმა იძლევა იმედის საფუძველს, რომ რუსეთის მოსახლეობა ამ პოლიტიკოსის ხმას უფრო დაუგდებს ყურს, ვიდრე ხელმოცარული და სრულიად უპერსპექტივო "დემოკრატებისას".

# ბურჯანაძე ევროპას დახმარებისკენ მოუწოდებს

## მეორე საპროტესტო ნოტა პუტინს მადრიდის კლუბისგან

*იმ შემთხვევაში, თუ ევროპა სათანადო ზომებს ვერ მიიღებს, არ არის გამორიცხული, რომ ენერგოსანქცია რომელიმე ევროპულ ქვეყანაზეც გავრცელდეს, - განაცხადა მადრიდის კლუბში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.*

გასულ კვირას ესპანეთის დედაქალაქში მადრიდის კლუბის ორდღიანი კონფერენცია და ორგანიზაციის მეხუთე გენერალური ასამბლეა გაიმართა, რომლის ძირითადი თემა ენერგეტიკა და დემოკრატიაზე მისი ზეგავლენა იყო. შეგახსენებთ, მადრიდის კლუბი გავლენიანი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წამყვან მოქმედ და გადამდგარ პოლიტიკოსებს.

გასულ კვირასაც მადრიდში, სენატის სასახლეში მსოფლიოს 130-მდე პოლიტიკოსმა და ექსპერტმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე. აღნიშნულ ასამბლეაზე გამოსვლისას ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი ენერგორესურსებს ზეწოლის ბერკეტად და სადამსჯელო ღონისძიებად იყენებს და იქვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპას მიმართა დახმარებისთვის, რათა მან პატარა სახელმწიფოებს რუსეთის სანქციები თავიდან აიცილებინოს.

ნინო ბურჯანაძის ამ გამოსვლას გარკვეული შედეგი მოჰყვა. ლიტვის, ირლანდიისა და კანადის ყოფილი პრემიერ-მინისტრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვას ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურნენ. მათ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი პატარა ქვეყნებს არ უნდა ჩაგრავდეს.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრებმა რუსეთის პრეზიდენტს ანალოგიური შინაარსის საპროტესტო ნოტაც გაუგზავნეს.

ეს იქნება რიგით მეორე საპროტესტო ნოტა, რომელსაც პუტინი მადრიდის კლუბისგან მიიღებს. რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს ევროკავშირის კომისარი საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა. იგი მიიჩნევს, რომ საჭიროა ორივე მხარის პოზიციის მოსმენა და დიალოგის გამართვა. სოლანა შეხვედრას აპირებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან.

*24 საათი*

# პარლამენტი დეპორტირებულების საკითხს შეისწავლის

საპარლამენტო უმრავლესობა ბიუროს დღევანდელ სხდომაზე რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების საკითხზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვა.

ახალი საპარლამენტო კომისია მოამზადებს საინფორმაციო ბანკს, სადაც რუსეთში ქართველების უფლებების დარღვევის შესახებ მოპოვებული ყველა ინფორმაცია შეგროვდება.

საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებული მასალები ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიას გადაეცემა.

კომისიის შემადგენლობა ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, მასში ყველა საპარლამენტო ფრაქციის წევრი უნდა შევიდეს.

ოპოზიციურ ფრაქციებს უმრავლესობისგან შეთავაზება ჯერ არ მიუღიათ. თუმცა, სამივე ფრაქცია მზად არის, დეპორტირებული ქართველების საქმიანობის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიის მუშაობაში ჩაერთოს.

როგორც ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, დეპორტირებული ქართველების საქმეების შემსწავლელი კომისიის მუშაობაში ისინი მონაწილეობას აუცილებლად მიიღებენ, რადგანაც დეპორტირებულ ქართველებს მათი მხარდაჭერა აუცილებლად ჭირდებათ.

"საპარლამენტო კომისიამ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევის ფაქტები საერთაშორისო დონეზე უნდა გაიტანოს. ამ შემთხვევაში, ყველა პოლიტიკური ძალის ერთიანი პოზიცია აუცილებელია," - აღნიშნა ტყემალაძემ.

კომისიაში მონაწილეობის სურვილი აქვთ "ახალ მემარჯვენეებსაც". თუმცა, მათი წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე ამგვარი კომისიის პარლამენტში არსებობას ნაკლებეფექტურად მიიჩნევს და მის ფუნქციას ბუნდოვანს უწოდებს.

"მემარჯვენეების" აზრით, დეპორტირებულთა საკითხები აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავჯდომარის მოადგილის დავით ზურაბიშვილის განცხადებით კი, ფრაქცია შეთავაზებას უმრავლესობისგან ელოდება და საპარლამენტო კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაერთვება.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### მოსკოვში "კანონიერი" ქურდის შვილი დააკავეს

მოსკოვში, ჩერიომუშკინსკის ბაზრობაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს "ეთნიკური კრიმინალური დაჯგუფების წევრი", ქართველი მამუკა შარიქაძე დააკავეს.

როგორც რადიოსადგური "სიტი FM" იუწყება, კრიმინალურ წრეებში კარგად იცნობდნენ დაკავებულის მამას, ე.წ. კანონიერ ქურდს ომარ შარიქაძეს, რომელიც მოსკოვში 2004 წელს მოკლეს. მამუკა შარიქაძეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაში ედება ბრალი. ჩხრეკის დროს მას ხუთი გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. სპეცოპერაცია მოსკოვში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ჩაატარა. **ინტერპრესნიუსი**

### უცნობებმა მეათეკლასელი მძიმედ დაჭრეს

ფოთიდან ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში გადაყვანილი 16 წლის კობა ხურცილავას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

ხურცილავას 21 ოქტომბერს ოთხმა უცნობმა პირმა გულმკერდის არეში დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა.

ხურცილავას მკურნალი ექიმის შოთა სამხარაძის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა თავდაპირველად ძალიან მძიმე იყო, სასწრაფო ოპერაციის შემდეგ კი მან გამოჯანმრთელება დაიწყო. ხურცილავა ამ დრომდე ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება. **ინტერპრესნიუსი**

### ფინანსური პოლიცია სამშენებლო ფირმაში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე შუამავალ სამშენებლო ფირმა შპს "სატურნის" დირექტორს ზურაბ საყვარელიძეს ეხება. პოლიციის ინფორმაციით, ფირმამ 2001 წელს ამხანაგობა "მედიკოსისგან" ვალდებულება აიღო, ჭაჭავაძის N37-ში მდებარე დაუმთავრებელი შენობისთვის მშენებელთა დაქირავების, მშენებლობის დასრულებისა და შენობის ექსპლუატაციაში შეყვანის პროცესის ზედამხედველობის თაობაზე.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ეს სამუშაოები 18 თვეში უნდა დასრულებულიყო, რისთვისაც ამხანაგობამ 125 ათასი დოლარი საყვარელიძეს გადასცა. გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ შპს "სატურნმა" 819 ათასი დოლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა. რაც შეეხება დარჩენილ 306 ათას დოლარს, სავარაუდოდ, ნაწილი ფირმის ხელმძღვანელობამ მიითვისა, ნაწილი კი გაიფლანგა.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ფინანსურმა პოლიციამ ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურ პოლიციაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, მითვისება-გაფლანგვის მუხლით დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

### "აპოგეას" დირექტორს თანხის მითვისებაში ედავებიან

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე შპს "აპოგეას" დირექტორს ეხება. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მან ერთ-ერთი ბანკიდან ფირმის სახელზე 60 ათასი დოლარის ოდენობის სესხი გამოიტანა და ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ თავად მოიხმარა.

ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით დაიწყო, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

### უკანონო მეწარმეობის საქმის გამოძიება

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველომ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე სამი სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიება დაიწყო.

საქმე ავტომანქანის მძღოლებს სედრაკ ოვანესიანს, ედუარდ კურტანიძეს და გოჩა სუდაძეს ეხება. ისინი "აგარის" შაქრის ქარხნიდან სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით შაქრის ტრანსპორტირებას და რეალიზაციას ახორციელებდნენ. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ამ საქმიანობას ისინი სამეწარმეო რეგისტრაციის გარეშე ახორციელებდნენ. გამოძიება სამივე პირთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით დაიწყო, რაც "უკანონო სამეწარმეო საქმიანობას" გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

### გამოძიება საბაჟო წესის დარღვევაზე

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველომ საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

საქმე იმპორტიორ ფირმა შპს "დამაირს" ეხება, რომელმაც თურქეთიდან დიდი ოდენობით ტანსაცმელი და ქსოვილი შემოიტანა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ფირმის ხელმძღვანელობამ დეკლარაციაში ტვირთის შემცირებული მონაცემები შეიტანა და საბაჟო გადასახადი შეამცირა.

დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ტვირთის ექსპერტიზა უტარდება, ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დამალული საბაჟო გადასახადის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება. **ინტერპრესნიუსი**






# სასტიკად ნაცემი პატიმარი საპყრობილეში

პირველი გვერდიდან

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ "ემპათიას" ექიმებთან ერთად პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში პატიმარი მ. ს. მოინახულეს.

"პაციენტს ფიზიკურად აღენიშნება ზურგის მიდამოს ორი პარალელური ექსკორიაცია, ორივე მუხლის სახსრის მიდამოს დაჟეჟილობა, სისხლნაჟღენთი, შეშუპება, მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა, ორივე ტერფის ძირის ტრავმული დაზიანება, მარცხენა ყურის ნიჟარის სახურავის დაჟეჟილობა სისხლიანი გამონადენით გარეთა სასმენ ხვრელში, მარჯვენა სათესლე ჯირკვლის შეშუპება, მუცლის დახურული ტრავმა, სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა," - ასეთია ექიმ-ექსპერტთა დასკვნა.

როგორც გაირკვა, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან საუბრისას პატიმარმა მ.ს.-მ განაცხადა, რომ ის, დაახლოებით ერთი თვის წინ, თბილისის N5 საპყრობილის კორპუსიდან დაკითხვაზე გაიყვანეს, სადაც მას სამმა, მისთვის უცნობმა პიროვნებამ თავი გამომძიებლად წარუდგინა. ისინი ბრალდებულს აიძულებდნენ, ელიარებინა, თითქოსდა მისი ერთ-ერთი მეზობელი და ყოფილი თანამშრომელი მის მოკვლას ცდილობდა. უარის თქმის შემდეგ პატიმარი სასტიკად სცემეს.

როგორც ომბუდსმენის აპარატში განმარტავენ, პატიმრის გადმოცემით, სამი-ოთხი დღის შემდეგ, ის კვლავ გაიყვანეს საგამოძიებო ოთახში და მათთვის სასურველი ჩვენების დაწერას, ან ხელის მოწერით დადასტურებას აიძულებდნენ.

**"მ.ს.-ს თქმით, მას ურტყამდნენ მუშტითაც და რეზინის ხელკეტითაც, აერთებდნენ დენზე და ყურში საწერკალამს ურჭობდნენ. ჩვენთან საუბრისას ბრალდებულმა ვერ გაიხსენა N5 საპყრობილიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის ზუსტი თარიღი, მას ნაწილობრივ დაკარგული აქვს მეხსიერება და აქვს შიშები. პატიმრის სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებები, სერიოზული სამედიცინო შემოწმების გარეშე, მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითაც აშკარაა. ის კანკალებს, ვერ იხსენებს თავისი საცხოვრებელი სახლის მისამართს და აქვს საპყრობილეში დაბრუნების პანიკური შიში,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, რომლებმაც ნაცემი პატიმარი ორჯერ მოინახულეს.

ექიმ-სპეციალისტთა რეკომენდაციით, პატიმარი პაციენტი კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას, სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზების სასწრაფოდ ჩატარებას საჭიროებს.

როგორც გუშინ ჩვენთვის გახდა ცნობილი, გენერალურმა პროკურატურამ ამ ფაქტის გამოძიება უკვე დაიწყო.

*24 საათი*




*ომბუდსმენის მორიგი ანგარიშიც საკმაოდ კრიტიკული იქნება.*

# რუსეთში კავკასიელები ჩაცხრილეს

რუსეთის ტიუმენის მხარეში დისკოთეკაზე დაწყებული ჩხუბი მასობრივ არეულობაში გადაიზარდა, რომელსაც ხუთი კავკასიელის სიცოცხლე შეეწირა.

ეროვნული უთანხმოების საფუძველზე ამტყდარ შეიარაღებულ კონფლიქტში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. თუმცა, ოფიციალური ვერსიით, 30-კაციანი ჩხუბი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დაიწყო.

კონფლიქტი ბოგანდინსკის დასახლების კულტურის სახლში ადგილობრივ მოსახლეობასა და სომხური დიასპორის წარმომადგენლებს შორის ჩხუბით დაიწყო. თვითმხილველთა თქმით, კავკასიელები შეიარაღებული იყვნენ, თუმცა მათ ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. ჩხუბის მონაწილეები ერთმანეთს მეორე დღეს რკინიგზის სადგურთან კიდევ შეხვდნენ. ამჯერად კავკასიელებს "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატებით შეიარაღებული 200 ადამიანი დაუპირისპირდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კავკასიელების კუთვნილი "05" მარკის ავტომანქანა ჩაცხრილეს, სოფელ კილკის შემოგარენში კი ორი კავკასიელი დაჭრეს.

მოგვიანებით, დასახლების ადმინისტრაციაში ერთ-ერთმა კავკასიელმა დარეკა და განაცხადა, რომ თუკი რეანიმაციაში მყოფი კავკასიელებიდან რომელიმე გარდაიცვლებოდა, უპირველესად, ადგილობრივ მცხოვრებთა ბავშვები დაზარალდებოდნენ. ამ განცხადებამ რაიონში პანიკა გამოიწვია.

რაიონის ორი სკოლა და ორი საბავშვო ბაღი მილიციის თანამშრომლებმა ალყაში მოაქციეს. სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებმა ამ ფაქტთან დაკავშირებით 20 კავკასიელი დააკავეს. "ინტერფაქსის" ცნობით, შინაგან საქმეთა სამმართველო ამტკიცებს, რომ ბოგანდინსკის დასახლებაში სომეხმა და რუსმა ახალგაზრდებმა გოგონას გამო იჩხუბეს და ეროვნული შუღლი არაფერ შუაშია.

*მედიანიუსი*


# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

ფრინველის გრიპის კონტროლის და პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტი

**კრედიტი No 4179-GE**
**გრანტი No: H228-GE**
**იაპონური გრანტი No: TF 056631**

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ფრინველის გრიპის კონტროლის და პანდემიისათვის მზადყოფნისა და მასზე რეაგირების პროექტის ფარგლებში, აცხადებს კონკურს **შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:**

**1. ადამიანის ჯანმრთელობის კომპონენტის კოორდინატორი**

კომპონენტის კოორდინატორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს დახმარება ადამიანების ჯანმრთელობის კომპონენტის მართვის საკითხებში, კერძოდ:

1. უზრუნველყოს პროექტის მენეჯერის დახმარება პროექტის განხორციელების სამოქმედო სახელმძღვანელოს შემუშავებაში;
2. მართოს და კოორდინაცია გაუწიოს კომპონენტის განხორციელების ღონისძიებებს, მათ შორის შესყიდვებს, ანაზღაურებას, ერთობლივი სამუშაო პროგრამების, ბიუჯეტის, სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადებას;
3. შეიმუშავოს კომპონენტის პროგრამის და სამოქმედო პროცედურების გეგმა; უზრუნველყოს კომპონენტის ღონისძიებების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული პროგრამის შესაბამისად;
4. განახორციელოს კომპონენტის შესრულების მონიტორინგი და შეფასება;
5. მონაწილეობა მიიღოს ბანკის შემოწმებებში.

სავალდებულო ცოდნა და უნარ-ჩვევები:

1. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი ჯანდაცვის/საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროში;
2. ორგანიზაციის/პროგრამის/პროექტის მართვის სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება;
3. სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის/ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი;
4. სასურველია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ცოდნა;
5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
6. ქართული და ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა (წერა, მეტყველება);
7. აუცილებელია ძირითადი კომპიუტერული საბაზისო პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, email და პროექტის მართვასთან დაკავშირებული სისტემები);
8. პერიოდულად მინიმალური ზედამხედველობის პირობებში მუშაობის უნარი, ქვეყნის შიგნით და გარეთ ხშირი მოგზაურობის შესაძლებლობა.

**2. საზოგადოების განათლებისა და კომუნიკაციის კომპონენტის კოორდინატორი**

კომპონენტის კოორდინატორი პასუხისმგებელია უზრუნველყოს დახმარება საზოგადოების განათლებისა და კომუნიკაციის კომპონენტის მართვის საკითხებში, კერძოდ:

1. პასუხისმგებელია კომპონენტით გათვალისწინებული ღონისძიებების მზადების, მართვის და ზედამხედველობის განხორციელებაზე;
2. პასუხისმგებელია უზრუნველყოს კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ზედამხედველობა, შეფასება და ანგარიშგება პროექტის მენეჯერის წინაშე;
3. უზრუნველყოს კომპონენტის ღონისძიებების განხორციელება წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად;
4. განახორციელოს კომპონენტის შესრულების მონიტორინგი და შეფასება;
5. დასახული ამოცანების შესრულების პროცესში ცხოველების და ადამიანების ჯანმრთელობის საკითხებში მჭიდროდ ითანამშრომლოს, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და, მეორე მხრივ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

**სავალდებულო ცოდნა და უნარ-ჩვევები:**

1. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი;
2. განათლება საზოგადოებრივი ურთიერთობების/კომუნიკაციის სფეროში;
3. სულ მცირე 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში;
4. დადასტურებული სამუშაო გამოცდილება ინფორმაცია/განათლება/კომუნიკაციის კამპანიის განხორციელებისა და კომუნიკაციების სფეროში;
5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;
6. ქართული და ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა (წერა, მეტყველება);
7. აუცილებელია ძირითადი კომპიუტერული საბაზისო პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, email და პროექტის მართვასთან დაკავშირებული სისტემები);
8. პერიოდულად მინიმალური ზედამხედველობის პირობებში მუშაობის უნარი.

**3. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის (პგჯ) კონსულტანტი**

კონსულტანტმა უნდა (1) გაუწიოს დახმარება პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს პროექტის კოორდინაციის საკითხებში; (2) კომპონენტების მენეჯერებთან, პროექტის საკოორდინაციო ცენტრის და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის პასუხისმგებელ პირებთან ერთად მოიძიოს გზები ეფექტური დაგეგმვის, მონიტორინგის, პროცესების კონტროლისა და მართვის შემუშავების მიზნით; (3) შეიმუშავოს რეკომენდაციები პროექტით წინასწარ განსაზღვრულ გეგმაში ცვლილების აცილების მიზნით.

**სამუშაოს აღწერილობა:**

1. პასუხისმგებელია პროექტის ზედამხედველობის განხორციელებაზე; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს რეგულარული ანგარიშებით პრემიერ-მინისტრი და სხვა შესაბამისი სტრუქტურები;
2. პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების სამოქმედო სახელმძღვანელოს შემუშავებაზე;
3. რაციონალური დაგეგმვისა და ანალიზის მიზნით შეაფასოს პროცესებისა და პროცედურების ადექვატურობა და მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს და დაინტერესებულ პირებს (მაგ. დონორი ორგანიზაციები, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, შესაბამისი სამინისტროები და სხვა);
4. კომპონენტების მენეჯერებთან ერთად გაუწიოს ზედამხედველობა და კოორდინაცია კვარტალური და წლიური გეგმების მომზადების პროცესს და მათ შესაბამისობას დადგემილ მიზნებთან, სტრატეგიებთან და მართვის სახელმძღვანელოებთან მიმართებაში.
5. ფინანსური/შესყიდვების გეგმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ დაიცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

**სავალდებულო ცოდნა და უნარ-ჩვევები:**

1. ორგანიზაციის/პროექტის/პროგრამის მართვის ზედამხედველობის სულ მცირე 5 წლის სამუშაო გამოცდილება;
2. სასურველია ფრინველის გრიპის კონტროლისა და პანდემური გრიპის მზადყოფნისა და რეაგირების სფეროს ცოდნა;
3. სასურველია კრიზისული სიტუაციების მართვის სპეციფიკური გამოცდილება;
4. სამოქმედო სახელმძღვანელოს შემუშავებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებში სპეციფიკური გამოცდილება;
5. დონორების მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფინანსური და შესყიდვების პროცესებისა და ანგარიშგების მოთხოვნილებების ზედმიწევნითი ცოდნა;
6. ეფექტური კომუნიკაციის უნარი მაღალ თანამდებობის პირებთან, დონორ ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან;
7. აუცილებელია ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) და სტანდარტული კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.

კანდიდატების შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "კონსულტანტთა შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 2004 წლის მაისი.

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

დიპლომის ასლი; კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა (CV) ქართულ და ინგლისურ ენებზე; მსგავსი განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალი და სარეკომენდაციო წერილები.

გამარჯვებულ კანდიდატებთან გაფორმდდება ერთწლიანი ხელშეკრულებები (სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ), რომლებიც ექვემდებარება გაგრძელებას პროექტის განხორციელების დასრულებამდე.

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ 2006 წლის **6 ნოემბრის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:**

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331939, 388210; 388220**
**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**

**საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვების კოორდინატორი**

# მზის, ვარდებისა და საპატიო მოქალაქეების ქალაქი

პირველი გვერდიდან

**კოტე ჩოლოყაშვილი**: "მთელი ჩემი ცხოვრება ამ ქალაქს უკავშირდება. აქ დავიბადე და საუკეთესო მოგონებები სწორედ თბილისს უკავშირდება. ჩემთვის ძალიან სასიხარულო და საამაყოა ის ფაქტი, რომ თბილისის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს. ჩემამდე ეს წოდება არაერთ ღირსეულ პიროვნებას მიანიჭეს, ამიტომ ეს დიდ დაფასებად მიმაჩნია. თბილისის გასაღებისა და მედლის გარდა, საჩუქრად შარშან თბილისობაზე დაწურული ღვინოც გადმომცეს. ამ ღვინით ყველა თბილისელის სადღეგრძელოს დავლევ".

ერგუნ ათაბაი ანუ გურამ ქოქოლაძე თურქეთში, ინეგოლის რაიონშია დაბადებული. თუმცა უმაღლესი განათლება საქართველოში აქვს მიღებული და ჩინებულად ფლობს მშობლიურ ენას. იგი სწორედ იმ კომპანიას წარმოადგენს, რომელიც თბილისის ახალ აეროპორტს აშენებს. ერგუნ ათაბაი თურქეთში


კოტე ჩოლოყაშვილი, ერგუნ ათაბაი, ზაზა ბეგაშვილი, ერევნის მერი და გიგი უგულავა.

ქართული კულტურის პროპაგანდასაც ეწევა. მონაწილეობს ქართული ლიტერატურის თურქულად თარგმნისა და გამოცემის საქმეში.

**ერგუნ ათაბაი**: "მე თურქეთში დავიბადე, მაგრამ სისხლით და ხორცით ქართველი ვარ. ამიტომ ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ჩემი ისტორიული სამშობლის დედაქალაქის საპატიო მოქალაქე გავხდი. მეამაყება ისიც, რომ სწორედ ჩემი კომპანია აშენებს თბილისის აეროპორტს. ამით თავადაც ვმონაწილეობ ჩემი სამშობლოს აღმშენებლობაში."

თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება ქართული კულტურისა და საზოგადოების ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლებს 1979 წლიდან გადეცემათ. 1999 წლიდან ამ წოდებას თბილისის მერი თავად ანიჭებს.

თბილისი საპატიო მოქალაქეები არიან: ლადო გუდიაშვილი, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ანა კალანდაძე, გიორგი ცაბაძე, გიორგი დანელია, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გურამ ლორთქიფანიძე და სხვები. ეს წოდება ასევე გადაეცემა იმ უცხოელებსაც, რომელბიც თბილისთან რალაცით მაინც არიან დაკავშირებულნი.

საპატიო მოქალაქეების დაჯილდოებამდე რიყეზე გამართულ სცენაზე ქართული ესტრადის მომღერლებისა და მოცეკვავეების კონცერტი გაიმართა. მათ შორის იყო ნანი ბრეგვაძე, რომელმაც რევაზ ლაღიძის "თბილისო" შეასრულა.

# ქართული ეკლესია ესპანეთში

ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიხსნება წმინდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, სპეციალური შეკვეთით შესრულებულ სინას მაცხოვრის ხატს გემით საბერძნეთიდან ბარსელონაში ჩააბრძანებენ. ხატი ათონის მონასტრის ბერების მიერაა დაწერილი. ხოლო ბარსელონიდან ხატს თბილისში წამოაბრძანებენ. სინას მაცხოვრის ხატი საბოლოოდ სამების საკათედრო ტაძარში დაიდებს ბინას.

ღონისძიებას ქართულ დიასპორასთან ერთად ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი გიორგი ხევიაშვილი დაესწრება. სამინისტროს სახელით გიორგი ხევიაშვილი წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიას ღვთისმშობლის ხატს შესწირავს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ესპანეთში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს ქართულ დიასპორასთან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ხამისყურის ციხესიმაგრე

ხობის რაიონის სოფელ ხამისყურის ციხესიმაგრის გაწმენდისას არქეოლოგიური ნივთები აღმოაჩინეს. როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა ომარ კილაძემ განაცხადა, ხამისყურის ციხეზე გაწმენდით სამუშაოებს, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კლუბი "ტაძარი" ახორციელებს.

"10-დღიან გაწმენდით ექსპედიციაში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და ადგილობრივი ახალგაზრდები მონაწილეობენ. სწორედ ამ სამუშაოების დროს მივაკვლიეთ რამდენიმე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ნივთს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა მრავალი საინტერესო აღმოჩენის წინაშე დაგვაყენებს", - აღნიშნა კილაძემ.

მისივე თქმით, გათხრები აუცილებლად უნდა ჩატარდეს, რათა დადგინდეს ძეგლის არქეოლოგიური ჩარჩოები, ციხე - ქალაქი შესაძლოა, გაცილებით უფრო ადრეული ხანის ნაგებობებზე იყოს გაშენებული.

ხამისყურის ციხე XVI-XVII საუკუნეებში, ლევან II დადიანის დროს აიგო.

*ინტერპრესნიუსი*

# საფლავის ქვა, გასაღები მომავლისთვის

არქაიკა - თემა ხელწერისთვის

*მხოლოდ ერთი დღე და ისიც მხოლოდ რამდენიმე საათი. მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი "მუზა" შაბათ საღამოს ტერასულად გაშლილ ღია სივრცესა და სიმწვანეში მხატვარ-კერამიკოს ნატო ერისთავის პერსონალურ გამოფენას გვთავაზობდა. საინტერესო იყო როგორც გარემო, ისე ექსპოზიცია და მისი მთავარი აქსესუარები. ის, რომ კერამიკის სხვა არაერთი გამოფენის მსგავსი საყვავილეებითა და ფიალებით დამშვენებული გამოფენა არ გველოდა, თავიდანვე ცხადი გახდა - მაშინ, როცა ნაძვების ქვეშ არფა და მისი მუსიკოსი დავინახე და მასთან მიახლოებულებს ზეთისხილით სავსე თასები გამოგვიწოდეს.*

სოფო კილასონია

ღვინო, არფაზე ჩამოშლილი მუსიკა და ზეთისხილი - ერთი არქაული მითის შესავალი თავი გახლდათ. ექსპოზიციის ავტორმა კერამიკული ნამუშევრებით კრეტა-მიკენური მითოლოგიის მიმართულებით შეგვაბრუნა. მოკლედ, წარსულისკენ, ანდა უბრალოდ სიღრმისკენ. ორიგინალური, ხშირად ასიმეტრიული და სიმბოლოებად ქცეული კერამიკული ფორმა და შიგადაშიგ დოკუმენტური ნიშნები მინოტავრის მითის ასოციაციებს წარმოადგენს. ოღონდ ეს ასოციაციური ექსპოზიცია არა კონკრეტულ მითს, არამედ ზოგადად ძველი ხელოვნების რიტუალური განწყობის გარდაცვალებას ეძღვნება. სიკვდილს, საიდანაც დაიწყო ყველაფერი, რასაც ხელოვნება აერთიანებს. სწორედ ამიტომ ოდნავ თხრობით ექსპოზიციას აქვს "გასაღები" ექსპონატი, - საფლავის ქვა, რომელიც ნათელს ჰფენს ავტორისეულ აქცენტებს.

ორი დღის წინ გამართული გამოფენა ღია ცის ქვეშ ნატო ერისთავის პირველი პერსონალური გამოფენა გახლდათ თბილისში. მსგავსი სოლოდებიუტი მან აშშ-ში მუშაობის დროს განახორციელა. მანამდე იყო არაერთი, თუმცა ჯგუფური გამოფენა.

**ნატო ერისთავი**: "აშშ-ში თვენახევრით ვიყავი - გასულ წელს არტკავკასიაში ვიღებდი მონაწილეობას. ეს ყველაფერი ჩემი პედაგოგების შვილისა და თავად ჩემი პედაგოგის, ბატონ გია იაშვილის დამსახურებით მოხდა. ერთ-ერთი ამერიკელ კურატორს ჯონ ვუილსონს მოეწონა ჩემი ნამუშევრები და მივიღე მიწვევა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში...

არქაული თემა - ეს ჩემი ხელწერის ნაწილია. იმისთვის, რომ შევქმნა რაღაც ახალი, მე ინსპირაციის წყაროს ვეძებ ძველში, რადგან ძველი უსაზღვროა და დაუსრულებელი... გარდაცვალება ძველ ცივილიზაციაში ხელოვნების დაბადებით აღინიშნება. ყველაფერი მოდის ვილაცის სარიტუალო ნამუშევრებიდან. ახალი ხელოვნების განვითარებაც ძველი ეგვიპტელების, ჩინელების, ძველი აღმოსავლეთის ხალხების ხელოვნებიდან იწყება. აქაც ავარჩიე ერთი მითი მინოტავრზე. აქ არის გარდაცვალების თემა. მარტივი და ბანალური მითია, რადგან არ მინდოდა აქცენტი გამეკეთებინა სიკვდილზე, როგორც დამთრგუნველ მოვლენაზე. უბრალოდ ვცემ პატივს იმას, რის გარეშეც არ დაიბადებოდა ახალი და არ განვითარდებოდა კულტურა".

# თბილისში იტალიური რესტორანი "პეპერონე" გაიხსნა

ლიკა ჭობაძე

თუ თქვენ იტალიური სამზარეულოს მოყვარული ხართ და არ იცით, სად მიირთვათ ნამდვილი იტალიური კერძები, ამისთვის იტალიაში გამგზავრება უკვე აღარ დაგჭირდებათ. თბილისში იტალიური რესტორანი "პეპერონე" გიმასპინძლებთ.

ახალი იტალიური რესტორანი 19 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მის პრეზენტაციაზე არაერთმა ცნობილმა ადამიანმა მოიყარა თავი. მათ უგემრიელესი იტალიური კერძები დააგემოვნეს და სპეციალურ გათამაშებაშიც კი მიიღეს მონაწილეობა.

იტალიაში დახელოვნებული მზარეულები, რომლებიც რესტორან "პეპერონეში" მუშაობენ, ნებისმიერი სახის იტალიურ კერძსა და მრავალი სახეობის ნამდვილ იტალიურ პიცას შემოგთავაზებთ.



"თბილისში საზოგადოების თავშეყრის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი რესტორანი გაიხსნა. "პეპერონე" ნამდვილი იტალიური სამზარეულოს გაცნობის საშუალებას მოგცემთ. მყუდრო ინტერიერი, იტალიური მუსიკა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უგემრიელესი კერძები. ერთი სიტყვით, "პეპერონეში" მოსულ სტუმრებს ფანტასტიურ გარემოს შევუქმნით. რესტორანი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს. რაც შეეხება ფასებს, აქ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, შემოვიდეს და უგემრიელესი იტალიური კერძები ხელმისაწვდომ ფასებში მიირთვას," - ამბობს რესტორან "პეპერონეს" დიასახლისი ნათია ჩხარტიშვილი.

რესტორან "პეპერონეში" კერძების დაგემოვნებით გართულ ნაცნობ სახეებს შორის ყურადღება მომღერალ მერაბ სეფაშვილზე შევაჩერეთ. "იტალიური სამზარეულო ძალიან მიყვარს და, შესაბამისად, რესტორანი "პეპერონეც" ძალიან მომეწონა. აქ მართლაც შესანიშნავი გარემო, მუსიკა და უგემრიელესი სამზარეულოა. ერთი სიტყვით, თუ იტალიური კერძების მოყვარული ხართ, იტალიაში წასვლა ნამდვილად აღარ დაგჭირდებათ."

ახალი რესტორანი ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილსაც მოეწონა: "ქართულ სინამდვილეში ასეთი რესტორნის გახსნა ძალიან სასიამოვნოა. "პეპერონეში" ყველაფერია იმისთვის, რომ მაქსიმალურად ისიამოვნო. რაც შეეხება კერძებს, მართლაც, ყველაფერი უგემრიელესია".


*ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია დიდი და დადებითი გავლენა მოვახდინოთ მსოფლიოში ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ხართ არასამთავრობო, ეკოლოგიური ორგანიზაციების ან მასმედიის წარმომადგენელი და ამ აზრს იზიარებთ, იხილეთ ეს განცხადება. წინა წლებში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, მოხარულნი ვართ გამოვაცხადოთ*

## საქართველოს მეხუთე ბიომრავალფეროვნების კონკურსი

ეს კონკუსი, რომელიც არის BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის კომპონენტი, მხარს უჭერს სპეციალური ინიციატივების შესრულებას ბიომრავალფეროვნების სფეროში იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებში სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**კონკურსი ორ კატეგორიად იყოფა:**

**1. ბიომრავალფეროვნების პროექტი (კრიტიკული ეკოლოგიური სისტემები, დაცული რეგიონები ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი დაცული სახეობები, ეკოტურიზმი და განათლება გარემოს დაცვის სფეროში)**

**2. მასმედიის მასალები (სტატიები ან ვიდეო მასალა) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.**

**პირველი კატეგორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების პროექტი**

**- კონკურსში მონაწილე პროექტების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს და უნდა შეიცავდეს შემდეგს:**
**- მდგრადი განვითარების ინიციატივებს;**
**- შესრულებისა და წარმატების მაჩვენებლებს;**
**- მყარ მეცნიერულ საფუძველს;**
**- რაციონალურ ბიუჯეტს.**

პირველი კატეგორიის საინტერესო პროექტები მიიღებენ გამამხნევებელ ჯილდოებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურ დაწესებულებებს, ასევე ოფიციალურად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფსაც.

პროქტები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ ფორმას, რომელიც შეიქმნა BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონკურსისთვის. სტანდარტული ფორმების აღება შეიძლება BP-ის ოფისში (საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქართველო).

**მეორე კატეგორია - მასმედია ბიომრავალფეროვნების შესახებ:**

**სტატიები და მედია პროდუქცია ბიომრავალფეროვნების შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**
**- დაბეჭდილი ან გამოცემული უნდა იყოს 2005-2006 წწ.**
**- უნდა იყოს გათვლილი ფართო აუდიტორიაზე (მკითხველზე/მაყურებელზე);**
**- უნდა ჩააბაროს პირადად ავტორმა ან შემოქმედებითმა ჯგუფმა;**
**- ჩაბარებული სტატია არ უნდა აღემატებოდეს 7000 სიმბოლოს;**
**- მედია პროდუქციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.**

მეორე კატეგორიის გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებულია ქვემოთ აღნიშნული ჯილდოები:
**- პირველი ადგილი - ერთი ჯილდო (1000 აშშ დოლარი)**
**- მეორე ადგილი - ერთი ჯილდო (500 აშშ დოლარი)**
**- მესამე ადგილი - ორი ჯილდო (300 აშშ დოლარი თითოეულ გამარჯვეულს)**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 17 ნოემბრამდე. გამარჯვებულები გამოცხადდებიან 2007 წლის იანვრის ბოლოს.**
**პროექტი, რომელიც მოცემულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს არ განიხილება.**

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ბი-პი საქართველოს ოფისს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, ტელ: 59 34 00*


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N77 ჩამოშლილი საყრდენი კედლის მაგივრად ახლის მოწყობის, ნუცუბიძის ქუჩა N215 კორპუსის მიდებარე ფერდის საყრდენი კედლით გამაგრების, ცხვედაძის ქუჩა N60ა-60ბ საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ საყრდენი კედლის მშენებლობის, დრენაჟისა და ეზოს შიდა სანიაღვრე ქსელის მოწყობის, კეკელიძის ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ფერდის საყრდენი კედლით გამაგრების, წყნეთში, კინოთეატრ "მაია"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის, ნუცუბიძის ქუჩა @221 საცხოვრებელი სახლის ეზოდან ნიაღვარის წყლების მოცილების, სანიაღვრე ქსელის მშენებლობის, სასაკლაოს ხევის (ისანი-სამგორის რაიონი) სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 7 პოზიციად (ლოტად):

ლოტი (პოზიცია) N1.: ნუცუბიძის ქუჩა N77 ჩამოშლილი საყრდენი კედლის მაგივრად ახლის მოწყობა;

ლოტი (პოზიცია) N2.:ნუცუბიძის ქუჩა N215 კორპუსის მიდებარე ფერდის საყრდენი კედლით გამაგრება;

ლოტი (პოზიცია) N3.:ცხვედაძის ქუჩა N60ა-60ბ საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ საყრდენი კედლის მშენებლობა, დრენაჟისა და ეზოს შიდა სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

ლოტი (პოზიცია) N4.:კეკელიძის ქუჩა N1 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ფერდის საყრდენი კედლით გამაგრება;

ლოტი (პოზიცია) N5.:წყნეთში, კინოთეატრ "მაია"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

ლოტი (პოზიცია) N6.: ნუცუბიძის ქუჩა @221 საცხოვრებელი სახლის ეზოდან ნიაღვარის წყლების მოცილება, სანიაღვრე ქსელის მშენებლობა;

ლოტი (პოზიცია) N7.: სასაკლაოს ხევის (ისანი-სამგორის რაიონი) სანიაღვრე კოლექტორის აღდგენა-რეკონსტრუქცია.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს საყრდენი კედლის და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა 2006 წლის 29 დეკემბრამდე.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 15 ნოემბრის 12 საათიდან 2006 წლის 15 ნოემბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრის 12 საათიდან 14 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.*ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

*8.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*9.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

## წინასიტყვაობა მასწავლებლის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების პროექტის პუბლიკაციისთვის



ალექსანდრე ლომაია
განათლების და მეცნიერების მინისტრი

დღევანდელი პუბლიკაციით ჩვენ ერთდროულად ვაჯამებთ ერთ მნიშვნელოვან ეტაპს საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის სისტემის მშენებლობაში და, ამავდროულად, ვიწყებთ მზადებას უმნიშვნელოვანესი მოვლენის - მასწავლებელთა ეროვნული სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის, რომელიც 2008 - 2012 წლებში ჩატარდება.

პრეზიდენტის 2006 წლის 26 ივნისის N383 ბრძანებულებით შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიის რეგულირებასა და სტატუსის ამაღლებას, პროფესიული ცოდნის, საქმიანობის მაღალ სტანდარტს, სწავლების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიაა სახელმწიფოში. მასწავლებლები არა მხოლოდ ზრუნავენ ქვეყნის მომავალზე, არამედ თვითონ ქმნიან ამ მომავალს. დიოგენე ამბობდა: "ნებისმიერი სახელმწიფოს საფუძველი არის მისი ახალგაზრდობის განათლება".

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე სისტემური რეფორმები განაპირობებს სახელმწიფოს მომავალ ეკონომიკურ სიძლიერესა და მის კონკურენტუნარიანობას. იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს გლობალურ ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება, აუცილებელია მასწავლებლის პროფესიონალიზმის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა.

თითოეულ ჩვენგანს ახსოვს თავისი მასწავლებელი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ჩვენს ცხოვრებაზე, გაგვიღვივა ინტერესები და დაგვეხმარა, წარმოგვეჩინა საკუთარი შესაძლებლობები. ეს ადამიანები უსაზღვრო სიყვარულსა და მზრუნველობას იჩენდნენ, დიდი მოთმინებითა და რუდუნებით გვასწავლიდნენ, შემოქმედებითად უდგებოდნენ თავიანთ საქმიანობას და მუდმივად იღწვოდნენ განვითარებისათვის, როგორც ერთგული პროფესიონალები.

მოსწავლის წარმატება და წინსვლა მნიშვნელოვანწილად სწორედ მასწავლებლის პროფესიულ ოსტატობაზეა დამოკიდებული. დღევანდელ სწრაფადცვალებად სამყაროში მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმისათვის, რომ მათი პროფესიული ცოდნა თანამედროვე და ახალი ინფორმაციით იყოს გამდიდრებული. მასწავლებელი არ უნდა ჩამორჩეს ახალი ეპოქის მოთხოვნებს, დაეუფლოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და აქტიურად გამოიყენის ისინი სასწავლო პროცესში. პროგრამა "ირმის ნახტომის" განხორციელების შედეგად, უკვე დღეს 600-ზე მეტ ჩვენი სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერებითა და ინტერნეტით, ხოლო 2009 წლისთვის ამ ქსელით ყველა სკოლა დაიფარება. ბუნებრივია, ამ შესაძლებლობებს მოსწავლეები სწრაფად აითვისებენ. ჩვენი განათლების მოდერნიზაციისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მასწავლებლები არათუ არ ჩამორჩნენ თავიანთ მოსწავლეებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, არამედ, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იყვნენ.

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია შედეგებზე და ამ შედეგების დემონსტრირებაზე. მოსწავლემ არა მარტო უნდა შეძლოს აჩვენოს ის, რომ გარკვეულ ცოდნას და უნარებს ფლობს, არამედ ისიც, რომ შეუძლია მათი ეფექტურად და ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით გამოყენება. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სწავლისა და აღზრდის ერთიანობას, ორიენტირებულია ყველა მოსწავლის წინსვლასა და მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ეს მოთხოვნები მასწავლებლებისაგან დიდ შრომას, შემოქმედუნარიანობას, პროფესიულ კვლევაძიებასა და მუდმივ პროფესიულ განვითარებას მოითხოვს.

პროფესიული განვითარება დინამიური და უწყვეტი პროცესია. ის იწყება პროფესიის არჩევის დღიდან და მთელი სიცოცხლე გრძელდება. არსებობს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა გზები. მათგან ყველაზე ნაყოფიერია კოლეგებთან თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და საკუთარი პრაქტიკის კრიტიკული კვლევა და ანალიზი. მასწავლებელი თითოეული მოსწავლის წარუმატებლობის მიზეზს საკუთარ პრაქტიკაში ეძებს, იკვლევს, აანალიზებს, პოულობს პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზებს და თავის მიღწევებსა თუ აღმოჩენებს უზიარებს კოლეგებს. ამგვარი პროფესიული ურთიერთობები ხელს უწყობს სკოლაში ღია, თანამშრომლობაზე ორიენტირებული სკოლის კულტურის, ანუ ეთოსის ჩამოყალიბებას და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

დღეს, საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოგიდგენთ თავისი შინაარსითა და დანიშნულებით სრულიად ახალ დოკუმენტებს - მასწავლებლის პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს. პროფესიული სტანდარტი წარმოადგენს პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ერთობლიობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი. ეთიკურ სტანდარტში მოცემულია ის ღირებულებები, ზნეობრივი პრინციპები და დამოკიდებულებები, რომლითაც მასწავლებელი ხელმძღვანელობს ყოველდღიურ საქმიანობაში. სტანდარტები ასახავს საზოგადოების მაღალ მოლოდინებს მასწავლებლის პროფესიის მიმართ, საფუძვლად დაედება პროფესიის რეგულირებას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თითოეული მასწავლებლის პროფესიულ ცხოვრებაში.

ამ მიზეზით, და, კიდევ, იმის გამო, რომ გვჯერა იმის, რომ ყველა ცვლილება სიცოცხლისუნარიანი მხოლოდ მაშინ არის, როდესაც მის გააზრებასა და დაგეგმვაში ისინი მონაწილეობენ, ვისაც ეს ცვლილებები პირველ რიგში შეეხება, აუცილებლად მივიჩნიეთ მასწავლებლების მონაწილეობა ამ დოკუმენტების შექმნაში. ამ მუშაობაში ასევე მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, როგორც მასწავლებლის საქმიანობის მთავარი შემფასებლები.

ამ მიზნით შეირჩა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული ტიპის 31 სკოლა, აქედან 13 საპილოტე. საპილოტე სკოლების აქტიური ჩართვა მიზნად ისახავდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მოთხოვნების ასახვას მასწავლებლის პროფესიულ და ეთიკის სტანდარტებში. მთლიანად პროცესში მონაწილეობა 713 მასწავლებელმა, 930 მოსწავლემ და 775 მშობელმა მიიღო.

სხვადასხვა სკოლაში მოსწავლეებისა და მშობლების მიერ გამოთქმული მრავალი მოსაზრება დაემთხვა ერთმანეთს. ბევრი მოსწავლე მიიჩნევს, რომ მასწავლებელი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლის პიროვნებას, უყვარდეს ის, იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი, პატიოსანი და განათლებული, შეეძლოს საინტერესო გაკვეთილების ჩატარება და მოსწავლეთა დაინტერესება.

მშობლების დიდი ნაწილის აზრით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლე ხარისხიანი განათლებით და შეუქმნას მას უსაფრთხო სასწავლო გარემო, ითანამშრომლოს მშობლებთან და იზრუნოს თითოეული მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, პედაგოგიურ საქმიანობას მაღალი მოთხოვნები წაუყენეს თვით მასწავლებლებმა. საკუთარი პროფესიული კომპეტენციები სამ ასპექტად ჩამოაყალიბეს: პროფესიული ცოდნა, პროფესიული უნარ-ჩვევები და პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები. ყველა სკოლის, მათ შორის არაქართულენოვანი სკოლების, პედაგოგების აზრით, მასწავლებელი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და იცნობდეს პროფესიასთან დაკავშირებულ ძირითად ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას; კოლეგებთან თანამშრომლობით მუდმივად ზრუნავდეს სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების გაუმჯობესებაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების საერთო აზრით, მასწავლებელი თავისი კეთილსინდისიერებით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით, მაღალი ზნეობით, ქცევის კულტურითა და გარეგნული იერსახით სამაგალითო უნდა იყოს თავისი მოსწავლეებისა და თემისათვის.

თითოეულმა მონაწილე სკოლამ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის საკუთარი "ვერსია" შექმნა. მოპოვებული მასალის შეჯერებისა და სპეციალისტების მიერ საფუძვლიანი დამუშავების შედეგად შეიქმნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის სამუშაო დოკუმენტები, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ.

მასწავლებლის პროფესიული და ეთიკური სტანდარტების განვითარების პროცესი ღია და გამჭვირვალეა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სკოლები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ განხილვაში, კონსტრუქციული წინადადებებით თავის წვლილს შეიტანენ მათ სრულყოფასა და განვითარებაში და გახდებიან ამ დოკუმენტების სრულუფლებიანი თანაავტორები. განხილვებში ასევე ვიწვევთ ფართო საზოგადოებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროფესიულ ასოციაციებსა, ყველა დაინტერესებულ პირს.

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის მინდა მადლობა გადავუხადო ამ საქმის ინიციატორსა და ორგანიზატორს - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, ხელმძღვანელი - მარინა ჟვანია, და, აგრეთვე ყველა იმ მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს, ვინც მონაწილეობდა სტანდარტების პროექტის მომზადებაში.

# მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
## (პროექტი)

**1. პროფესიული ცოდნა**

**1.1. ეროვნული სასწავლო გეგმა**

1.1.1. მასწავლებლებს აქვთ დაწყებითი, საბაზო და/ან საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ცოდნა

■ *საფუძვლიანად ფლობენ საგანს/საგნობრივ ჯგუფს, რომელსაც ასწავლიან და შეუძლიათ მისი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;*
■ *იციან, როგორ დაუკავშირონ ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნები მოსწავლეთა სწავლის საჭიროებებს;*
■ *იციან, როგორ მოიძიონ და გამოიყენონ სწავლებისა და სწავლისთვის საჭირო მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა მოტივაციას;*
■ *ეცნობიან თავიანთი საქმიანობის სფეროში უახლეს ცვლილებებს და იციან, როგორ ასახონ ისინი სწავლების პრაქტიკაში;*

1.1.2. მასწავლებლებმა იციან, როგორ განუვითარონ მოსწავლეებს წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება, ასწავლონ ცხოვრების ჯანსაღი წესი და თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ხელი შეუწყონ მათ პიროვნულ და სოციალურ განვითარებას მათი ასაკისა და განვითარების საფეხურის შესაბამისად

■ *იციან, როგორ შეუწყონ ხელი მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, კეთილდღეობასა და თვითდამკვიდრებას. შეუძლიათ ჩამოუყალიბონ მათ საკუთარი თავის რწმენა და სხვათა შესაძლებლობების შეფასებისა და აღიარების უნარი;*
■ *იციან, როგორ განუვითარონ მოსწავლეებს წიგნიერება და რაოდენობრივი აზროვნება მათი ასაკისა და განვითარების საფეხურის შესაბამისად;*
■ *იციან, როგორ შეუწყონ ხელი ბავშვის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას, გადასცენ მოსწავლეებს ცოდნა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ჩამოუყალიბონ შრომითი უნარ-ჩვევები და აუმაღლონ ამ საკითხებზე ცნობიერება მათი ასაკისა და განვითარების საფეხურის შესაბამისად;*
■ *იციან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სკოლაში გამოყენების გზები;*

**1.1.3. მასწავლებლებს ესმით ეროვნული სასწავლო გეგმის არსი**

■ *იციან ეროვნული სასწავლო გეგმების სტრუქტურა, მოცულობა და განვითარების დინამიკა;*
■ *აცნობიერებენ ეროვნულ სასწავლო გეგმებში მიმდინარე ცვლილებისა და განვითარების პროცესებს;*
■ *შეუძლიათ შეადარონ და გააანალიზონ სწავლების სხვადასხვა საფეხურის სასწავლო გეგმები;*
■ *იციან, მასალის დაგეგმვის დროს როგორ გამოიყენონ კავშირი სხვა საგნებისა და საფეხურების სასწავლო პროგრამებთან.*

1.1.4. მასწავლებლებმა იციან, როგორ ჩამოუყალიბონ მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმებით განსაზღვრული ღირებულებები და უნარ-ჩვევები.

■ *მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებაზე, მათთვის ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და მათ აღზრდაზე პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად*

**1.2. განათლების სისტემა და პროფესიული ვალდებულებები**

1.2.1. მასწავლებლები იცნობენ საქართველოს განათლების სისტემას, იციან საგანმანათლებლო პოლიტიკა და აცნობიერებენ მასში საკუთარ როლს

■ *აცნობიერებენ განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს საკუთარ საქმიანობასთან მიმართებაში;*
■ *იცნობენ მათი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას;*
■ *აცნობიერებენ სოციალური თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებს და უზრუნველყოფენ მათ დაცვას საგანმანათლებლო საქმიანობაში;*
■ ფლობენ სახელმწიფო ენას.

1.2.2. მასწავლებლები იცნობენ სასკოლო გარემოს, რომელშიც მუშაობენ, აცნობიერებენ მასში საკუთარ როლს, ადგილსა და პროფესიულ ვალდებულებებს

■ *იციან თავიანთი სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის სტრატეგიები, სკოლის განვითარების პერსპექტივები, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
■ *იცნობენ კონტრაქტით გათვალისწინებულ იურიდიულ ვალდებულებებს;*
■ *აცნობიერებენ ვალდებულებას სკოლაში სწავლისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად;*
■ *იციან მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტიანი გზები;*
■ *აცნობიერებენ თანამშრომლობის მნიშვნელობას სკოლასა და იმ თემს (უბანს, ქალაქს, დაბას და სოფელს) შორის, რომელსაც ისინი ემსახურებიან;*
■ *აცნობიერებენ მშობლების ინფორმირების მნიშვნელობას მოსწავლეების აკადემიური მოსწრებისა და ზოგადი განვითარების შესახებ და მათთან ბავშვის პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარების საკითხებზე მსჯელობის საჭიროებას.*

**1.3. პედაგოგიური ცოდნისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი**

1.3.1. მასწავლებლები აცნობიერებენ პედაგოგიური ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთკავშირის აუცილებლობას

■ *იციან ბავშვის განვითარების ეტაპები და აქვთ უნარი, ეს ცოდნა გამოიყენონ მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად;*
■ *იციან მოსწავლეთა მიღწევების შემოწმებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები.*
■ *იციან სწავლის ძირითადი თეორიები და ამ ცოდნის საფუძველზე სწავლებისა და სწავლის პროცესის დაგეგმვა;*

1.3.2. მასწავლებლებმა იციან საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის კვლევისა და კრიტიკულად შეფასების მეთოდები და შეუძლიათ მისი შეცვლა და განვითარება ადაპტაციითა და ანალიტიკური მიდგომით.

■ *იციან საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის კვლევა და მისი ანალიზის შედეგად სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესება;*
■ *იციან, როგორ დაუკავშირონ კვლევის შედეგები საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობას;*

**2. პროფესიული უნარ-ჩვევები**

**2.1. სწავლება და სწავლა**

2.1.1. მასწავლებლებს აქვთ უნარი, შეადგინონ თანმიმდევრული და განვითარებადი სასწავლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა სწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს

■ *მასწავლებლები მიზანმიმართულად გეგმავენ სწავლების პროცესს, ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, შედეგებზე ორიენტირებული სწავლებისათვის;*
■ *აქვთ სათანადო ცოდნა და უნარი, დაასაბუთონ საკუთარი სწავლების შინაარსისა და სტილის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნებსა და მოსწავლეთა სწავლის საჭიროებებთან.*

2.1.2. მასწავლებლებს აქვთ უნარი, გამოიყენონ კომუნიკაციის მრავალფეროვანი სტრატეგიები ცალკეულ მოსწავლეებთან და მოსწავლეთა ჯგუფებთან წარმატებული ურთიერთობისათვის

■ *მასწავლებლები მოსწავლეების მოტივაციისათვის იყენებენ კომუნიკაციის მრავალფეროვან ხერხებს;*
■ *შეუძლიათ მოსწავლეებისათვის გასაგებად, მათი განვითარების დონეებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მოსწავლეთა დაინტერესებისა და მაქსიმალური ჩართულობის მიღწევა;*
■ *თითოეულ მოსწავლესთან ურთიერთობისას ითვალისწინებენ მის პიროვნულ თვისებებს, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებს;*
■ *ყურადღებით აკვირდებიან ურთიერთობის საკუთარი სტილის გავლენას მოსწავლეებზე.*

2.1.3. მასწავლებლებს აქვთ უნარი, გამოიყენონ სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები და რესურსები ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნებისა და მოსწავლეთა სწავლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად

■ *მასწავლებლები მიზანმიმართულად არჩევენ სწავლებისა და სწავლის ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც უკეთ შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის საჭიროებებსა და საგნობრივი პროგრამების მოთხოვნებს;*
■ *აქვთ უნარი, მიზანმიმართულად შეარჩიონ და გამოიყენონ საგანმანათლებლო რესურსების ფართო სპექტრი, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;*
■ *აქვთ უნარი, მოსწავლეებს მისცენ სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ბავშვების გამოცდილებასთან, გაკვეთილის თემატიკასა და რეალურ ცხოვრებასთან;*
■ *უნარი შესწევთ, შეაფასონ და დაასაბუთონ მათ მიერ გამოყენებული სწავლების მიდგომები, განსაზღვრონ მათი გავლენა მოსწავლეთა სწავლაზე და საჭიროების შემთხვევაში, იზრუნონ ამ მიდგომების გაუმჯობესებისათვის.*

2.1.4. მასწავლებლებს აქვთ უნარი, დაადგინონ მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმუმი და განსაზღვრონ თითოეული მოსწავლისათვის შესაბამისი მოთხოვნები

■ *უნარი შესწევთ, განსაზღვრონ თითოეული მოსწავლის მაქსიმალური შესაძლებლობები და დაუსახონ მათ რეალური, მიღწევადი ამოცანები;*
■ *აქვთ უნარი, შეურჩიონ მოსწავლეებს გააზრებული, მრავალფეროვანი და დიფერენცირებული დავალებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა საკუთარი თავის რწმენის განმტკიცებას და ყველა მოსწავლის, მათ შორის, განსაკუთრებული სწავლის საჭიროებების მქონე მოსწავლეთა წინსვლას;*
■ *აქვთ უნარი, რაციონალურად განსაზღვრონ მოსწავლეებისათვის მიცემული დავალებების შესასრულებლად საჭირო დრო, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;*
■ *აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად მათი სქესისა, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული, განსხვავებებისა და ფიზიკური შესაძლებლობებისა;*
■ *ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინიციატივებსა და დამოუკიდებელი სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.*

**2.2. კლასის ორგანიზება და მართვა**

2.2.1. მასწავლებლებს შეუძლიათ სწავლისათვის უსაფრთხო, მიმზიდველი გარემოს შექმნა, კლასის მართვა და ორგანიზება, საგანმანათლებლო რესურსების მიზანმიმართულად გამოყენება

■ *ქმნიან მოსწავლისათვის უსაფრთხო, ვიზუალურად მიმზიდველ და წამახალისებელ გარემოს, რომელშიც ეფექტურადაა წარმოჩენილი მოსწავლეთა ნამუშევრები;*
■ *შეუძლიათ დაგეგმონ და ორგანიზება გაუკეთონ მთელი კლასის, ჯგუფების თუ ინდივიდუალურ მუშაობას და წაახალისონ დამოუკიდებელი სწავლა;*
■ *ეფექტიანად იყენებენ კლასში, სკოლასა და სკოლის გარეთ არსებულ რესურსებს სწავლებისა და სწავლის პროცესის უკეთ ორგანიზებისათვის;*
■ *იცნობენ და იცავენ უსაფრთხოების წესებს.*

2.2.2. მასწავლებლებს აქვთ უნარი მართონ მოსწავლეების ქცევა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით, გონივრულად იყენებენ წახალისებისა და დასჯის ფორმებს და საჭიროების შემთხვევაში რჩევისათვის მიმართავენ კოლეგებს

■ *ეფექტიანად და მიზანმიმართულად იყენებენ წახალისების მრავალფეროვან მეთოდებს მოსწავლეთა პოზიტიური ქცევის დასამკვიდრებლად;*
■ *ხელს უწყობენ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ქცევის წესების დაცვას კლასში;*
■ *კლასში მოსწავლეების მიერ ურთიერთჩაგვრის თავიდან აცილების მიზნით იყენებენ შესაფერის სტრატეგიებს;*
■ *მოსწავლეების მიერ დისციპლინის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში კოლეგებს მიმართავენ რჩევისათვის და მათთან ერთად ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას ღებულობენ მოსწავლეთა ინტერესების სასარგებლოდ;*
■ *კრიტიკულად განიხილავენ და ასაბუთებენ იმ მიდგომებს, რომლებსაც იყენებენ მოსწავლეთა ქცევის მართვისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, ზრუნავენ ამ მიდგომების დასახვეწად.*

**2.3. მონიტორინგი, შემოწმება და შეფასება**

2.3.1. მასწავლებლებს აქვთ უნარი განახორციელონ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, აწარმოონ ჩანაწერები და შეფასების შედეგები გააცნონ მშობლებს

■ *მასწავლებლები იყენებენ მიმდინარე შეფასებას მოსწავლეთა მოსწრების შემოწმებისა და სწავლების პროცესის შემდგომი დაგეგმვისათვის და შემაჯამებელ შეფასებას - სწავლების პროცესის ანალიზისათვის და მოსწავლეების პროგრესის გასაზომად;*
■ *აქვთ უნარი, ცალკეული მოსწავლეების, ჯგუფებისა და მთელი კლასის მოსწრების დონის დასადგენად, გამოიყენონ შემოწმებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები;*
■ *აწარმოებენ კარგად ორგანიზებულ, ზუსტ ჩანაწერებს მოსწავლეთა მოსწრების შესახებ;*
■ *აქვთ უნარი, მშობლებს პოზიტიური ფორმით მიაწოდონ დროული და ობიექტური ინფორმაცია მოსწავლეთა მოსწრების შესახებ.*

2.3.2. მასწავლებლები იყენებენ შეფასების შედეგებს სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად

■ *მასწავლებლებს აქვთ უნარი, ეროვნულ სასწავლო გეგმებსა და საგნობრივ პროგრამებთან მიმართებაში შეამოწმონ მოსწავლეთა სწავლის შედეგები და დასახონ მიზნები სწავლის შემდგომი ეტაპებისათვის;*
■ *მოსწავლეებს აძლევენ რჩევებს სწავლაში გამოვლენილი სირთულეების დასაძლევად;*
■ *მოსწავლეებს აწვდიან ობიექტურ ინფორმაციას შეფასების შედეგების შესახებ პოზიტიური და წამახალისებელი ფორმით;*
■

გაგრძელება A7 გვერდზე

# მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი
## (პროექტი)

A6 გვერდიდან

*ინდივიდუალურად განიხილავენ თითოეულ მოსწავლესთან მათი მოსწრების შედეგებს, უვითარებენ თვითშეფასების უნარს და ეხმარებიან რეალური, მიღწევადი მიზნების დასახვაში;*

■ *იყენებენ შეფასების შედეგებს კლასისათვის მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და მიღწევაში;*

■ *შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ავლენენ მოსწავლეთა სწავლაში წარმოქმნილ დაბრკოლებებს და კოლეგებთან ერთად სახავენ გზებს ამ დაბრკოლებების დასაძლევად.*

**2.4. პროფესიული კვლევა და პროფესიული ურთიერთობა**

2.4.1. მასწავლებლები სწავლობენ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე, ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე და ჩართულნი არიან პროფესიულ განხილვებში

■ *აქვთ უნარი, კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი სწავლების პრაქტიკა და იზრუნონ მის გაუმჯობესებაზე;*

■ *აქტიურად მონაწილეობენ პროფესიულ განხილვებში, ჩართულნი არიან, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაში, ასევე სკოლის განვითარების დაგეგმვა-განხორციელებაში;*

■ *მონაწილეობენ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და აწარმოებენ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში ასახვის ჩანაწერებს;*

■ *გამოცდილების გაზიარებით ეხმარებიან კოლეგებს და თავადაც სწავლობენ მათგან.*

**3. პროფესიული ღირებულებები და ვალდებულებები**

3.1. მასწავლებლები ყოველდღიურ პრაქტიკაში იცავენ სოციალური სამართლიანობისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს

■ *პატივს სცემენ მოსწავლის პიროვნებასა და მის ღირსებას;*

■ *პატივს სცემენ და იცავენ ბავშვთა უფლებებს*

■ *ყოველდღიურ პრაქტიკაში იცავენ თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს, ახორციელებენ ანტიდისკრიმინაციულ მიდგომებს ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად მათი სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა, ასაკისა, რელიგიური, კულტურული, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობისა;*

■ *აცნობიერებენ პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე;*

■ *მოსწავლეებთან თანამშრომლობისას იცავენ სამართლიანობისა და თანაბარი ურთიერთობის პრინციპებს და მაგალითს აძლევენ ერთმანეთთან მსგავსი ურთიერთობების დასამყარებლად.*

3.2. მასწავლებლები ვალდებულნი არიან, იზრუნონ საკუთარ პროფესიულ განათლებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

■ *აცნობიერებენ თვითშეფასებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას გამოცდილების გამდიდრებასა და პროფესიონალიზმის ამაღლებაში;*

■ *იყენებენ პროფესიულ სტანდარტს ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმის შესადგენად;*

■ *აცნობიერებენ საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის კოლეგებთან პროფესიული თანამშრომლობისა და ურთიერთსწავლების მნიშვნელობას;*

■ *კონსტრუქციული შენიშვნებითა და წინადადებებით თავიანთი წვლილი შეაქვთ განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებში.*

3.3. მასწავლებლები აქტიური წევრები არიან იმ საზოგადოებისა და თემისა, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ

■ *პოზიტიურ ურთიერთობას ამყარებენ და თანამშრომლობენ კოლეგებთან, სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან;*

■ *იცნობენ გარემოს დაცვის საკითხებს და მოსწავლეებს გარემოსადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებენ;*

■ *იცნობენ ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებს. მოწოდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას მოსწავლეებში;*

■ *აცნობიერებენ მოქალაქეობრივ უფლება-მოვალეობებს და ხელს უწყობენ მოსწავლეების ჩამოყალიბებას აქტიურ, პასუხისმგებლობის მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეებად.*

# მასწავლებლის პროფესიული ეთიკა
## (პროექტი)

**პროფესიული კომპეტენტურობა**

პედაგოგიური კარიერის მანძილზე, მასწავლებლები უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ კვალიფიკაციის მაღალ დონეს ზოგადად განათლების სფეროში და კონკრეტულად იმ დისციპლინებში, რომელსაც ასწავლიან. განათლების სისტემაში მიმდინარე უწყვეტი ცვლილებები, კერძოდ, სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება, დანერგვა და განახლება მასწავლებლებისგან მოითხოვს პროფესიონალიზმის მუდმივ ამაღლებას.

**კოლეგიალობა**

ეფექტიანი სწავლება მოითხოვს კოლეგიალობის მაღალ დონეს და ამიტომაც, მასწავლებლებმა ხალისით, ძალდაუტანებლად უნდა ითანამშრომლონ კოლეგებთან, მშობლებთან და საგანმანათლებლო სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და წარმომადგენლებთან. მასწავლებლებმა უნდა გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები, ცოდნა და გამოცდილება და ეცადონ ჩამოაყალიბონ ისეთი პროფესიული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სოციალურ, ინტელექტუალურ, სულიერ, მორალურ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას.

**თანაბარი შესაძლებლობები**

მასწავლებლებმა თავიანთი საქმიანობითა და თანამშრომლობით უნდა უზრუნველყონ თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვა ადამიანის უფლებების ფუძემდებლური საერთაშორისო აქტების შესაბამისად.

**ვალდებულებები**

მასწავლებელთა უმთავრესი მოვალეობაა მოსწავლეთა განათლება, აღზრდა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა. მასწავლებლები ვალდებულნი არიან მზრუნველობით, პასუხისმგებლობით, პატივისცემითა და სიფრთხილით მიუდგნენ მოსწავლეებს, მშობლებსა და კოლეგებს, ნდობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით.

**სამართლებრივი ჩარჩო**

მასწავლებლებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ის სამართლებრივი გარემო, რომელშიც უწევთ საქმიანობა აღმზრდელობითი და ადმინისტრაციული ვალდებულებების გათვალისწინებით. მათ უნდა დაიცვან სახელმწიფოში მოქმედი კანონები და პროფესიის შესაბამისი ეთიკური კოდექსი, მიუხედავად იმისა მითითებულია თუ არა ისინი მათ შრომით ხელშეკრულებაში.

**მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირება**

მასწავლებელი უნდა იყოს გულისხმიერი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისადმი და უნდა ექნეს მოსწავლეთა ჩართვის გზები იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიერ მათი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი განათლების მიღებას.

**პროფესიული ურთიერთობები**

ინდივიდუალური თუ კოლექტიური პრობლემის წამოჭრისას მასწავლებელმა, უნდა ექნეს პრობლემის გადაჭრის გზები შესაბამისი პროცედურული ნორმების გათვალისწინებით.

**პროფესიული პატიოსნება**

მასწავლებლის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. ამავე დროს, მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ მისი ადამიანური ღირსებები, სულიერი და სამოქალაქო ფასეულობები მისაბაძი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის. მასწავლებლის ქმედება ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების ქცევაზე როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის გარეთ. მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის უნდა არსებობდეს ჯანსაღი თანამშრომლობის ურთიერთობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# სამინისტროს საქმიანობა
### აგვისტო-სექტემბერი 2006
## საინფორმაციო ბიულეტენი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ: 996 000, ფაქსი: 969 831 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

| | |
|---|---|
| 01.08 | გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №735 "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. |
| 02.08 | საქართველოს მთავრობამ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებს სახელფასო დაფინანსება 1 მილიონი ლარით გაუზარდა, რის შედეგად მეცნიერ-ტანამშრომლის ხელფასი საშუალოდ 60 ლარიდან 160 ლარალმდე გაიზარდა. |
| 03.08 | ალექსანდრე ლომაიამ მესტიის სკოლებს პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში კომპიუტერები გადასცა. მინისტრი ეწვია პროფესიული განათლების ცენტრს, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაობები მიმდინარეობს, მესტიის მეორე საჯარო სკოლას, სადაც მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. |
| 04.08 | ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსდა ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტის შედეგები. |
| 08.08 | პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური ინიციატივის საგანმანათლებლო კომპონენტის "პროფესიული განათლება - დასაქმებისთვის" განსახორციელების ფარგლებში საქართველოში გრძელვადიანი ვიზიტით ჩამოვიდა პროფესიული განათლების აშშ ოკლაჰომის შტატის ტექნოლოგიური განათლების დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფი. პროგრამა ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) მხარდაჭერით. |
| 14-15.08 | ალექსანდრე ლომაია ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებს ესტუმრა, შეხვდა რაიონის პედაგოგებს და მიმდინარე რეფორმები და სიახლეები გააცნო. ახალქალაქის მე-4 სკოლაში პედაგოგიურ საზოგადოებასთან და აბიტურიენტებთან შეხვედრაზე მინისტრმა დაადასტურა, რომ წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ახალქალაქელ და ნინოწმინდელ აბიტურიენტებს შარშანდელზე უკეთესი მაჩვენებელი აქვთ. მინისტრმა რეგიონის პედაგოგიურ საზოგადოებას აცნობა, რომ ვაუჩერული დაფინანსება 2007 წლიდან კიდევ გაიზრდება. მინისტრმა მოინახულა თსუ ჯავახეთის ფილიალი და ადგილობრივ ხელისუფლებას ფილიალის განვითარების პერსპექტივები გააცნო. |
| 16.08 | სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია უკვე 1500-ზე მეტ მეცნიერ-თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებელს დაენიშნა. |
| 17.08 | პრეზიდენტის ახალი ეკონომიკურ ინიციატივას ქართველი მეწარმეები გამოეხმაურნენ. ამერიკელ ექსპერტებთან ერთად რუსთავის პროფესიულ ცენტრში მასწავლებლებსა და სამშენებლო ბიზნესისი წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ალექსანდრე ლომაიამ აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეასრულებენ მეწარმეთა დაკვეთას, რის შედეგადაც ათასობით მაღალკვალიფიციური ადამიანი დასაქმდება. |
| 17.08 | ამერიკელმა ექსპერტებმა სოფ. კაჭრეთის პროფესიული განათლების ცენტრი მოინახულეს. |
| 21-22 | პრეზიდენტის ახალი ეკონომიკური ინიციატივის საგანმანათლებლო კომპონენტის "პროფესიული განათლება - დასაქმებისთვის" განსახორციელების ფარგლებში დაიწყო 11 პროფესიული ცენტრის დირექტორის და 50-ზე მეტი მასწავლებლის გადამზადება. ტრენინგ - სემინარებს უძღვებიან ამერიკელი ექსპერტები. |
| 24.08 | ოზურგეთში პირველი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი გაიხსნა. განათლების განყოფილებებისა და საოლქო სამმართველოების ნაცვლად 67 საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი ჩამოყალიბდა. რესურს-ცენტრების დევიზია "ჩვენ ვზრუნავთ სკოლებზე", ხოლო ფუნქციებია: სასწავლო გეგმების დანერგვაში, სკოლების ადმინისტრაციულ და ფინანსურ მართვაში, სასკოლო საბჭოების ფუნქციონირებაში დახმარება, კონსულტაციებისა და რჩევების მიწოდებაა. |
| 27.08 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახორციელებს პროექტს "მეცნიერული ცოდნის გავრცელება და საზოგადოების განათლება მუზეუმში". აღნიშნული პროექტის ფარგლებში 25-31 აგვისტოს დმანისში ეწყობა სასწავლო ცენტრი და საზაფხულო ბანაკი, სადაც 2006 წლის ეროვნულ საგანმანათლებლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ოცდაათამდე ბავშვი დაისვენებს და ისწავლის. მსგავსი ბანაკის და საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებას ეროვნული მუზეუმი უკვე მეორედ ახდენს. |
| 30.08 | სამეურვეო საბჭოს წევრებს 600 საჯარო სკოლის მმართველობისთვის მოამზადებენ. ტრენინგი "თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. |
| 30.08 | ალექსანდრე ლომაიამ და აშშ ელჩმა ჯონ ტეფტმა მარნეულსა და ბოლნისში საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები გახსნეს. 2006-2007 წელს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, რესურს-ცენტრების შენობები რემონტდება და საჭირო ტექნიკით აღიჭურვება. |
| 31.08 | გამოქვეყნდა 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი შედეგები. ჩარიცხვების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტი გახდა 19 158 აბიტურიენტი. წელს აპელაციების რაოდენობამ 765 შეადგინა, რაც ნაწერების საერთო რაოდენობის 1,5% შეადგენს. სახელმწიფო გრანტი 8000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო. პირველადი ჩარიცხვებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჩარიცხვის შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარჩენილ 324 ვაკანტურ ადგილზე დაიწყო მეორადი ჩარიცხვებისათვის განაცხადების მიღება. |
| 01.09 | ალექსანდრე ლომაიამ და თბილისის მერმა გიგი უგულავამ დიდუბე-ჩუღურეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი გახსნეს. ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში განათლების განყოფილებების ნაცვლად 2006-2007 წლებში ყველა რაიონულ ცენტრში ახალი ტერიტორიული სტრუქტურები - რესურს-ცენტრები ამოქმედდებიან. |
| 05.09 | ალექსანდრე ლომაია "პარტნიორი სკოლების კავშირის" სემინარზე 32 საჯარო სკოლის დირექტორს შეხვდა. სემინარზე იმსჯელეს: სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვაზე, შეფასების სისტემაზე, განათლების ხარისხის მართვაზე, მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და სხვ. |
| 07.09 | საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელმა პრეზიდენტის საჩუქარი - 60 000 ახალი ჩანთა და 175 000 სახელმძღვანელო მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით პირველკლასელებს დამატებით 60 000 რვეული გადაეცათ. |
| 09.09 | პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ლაგოდეხში განახლებული №3 საჯარო სკოლა გახსნეს. ამ სკოლის 300 მოსწავლე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებში სწავლობს. მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში სკოლის სრულ რეაბილიტაციას 400 000 ლარი მოხმარდა. სკოლა აღიჭურვა თანამედროვე სასკოლო მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით. |
| 12.09 | პრემიერ მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი გახსნეს და ქუთაისის მე-40-ე და მე-13-ე სკოლებს ახალ კომპიუტერები გადასცეს. პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში 2006 წლის ზაფხულში ქუთაისის 38-მა სკოლამ 337 კომპიუტერი მიიღო. |
| 14.09 | ალექსანდრე ლომაიამ გარდაბანში საგანმანათლებლო რესურსცენტრი გახსნა და პედაგოგიურ საზოგადოებას შეხვდა. |
| 17.09 | სამინისტროში 117 დასახელების ახალი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ახალი სახელმძღვანელოები წელს პირველ, მეშვიდე და მეათე კლასებისთვისაა განსაზღვრული. |
| 17.09 | პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ გორისა და საგარეჯოს განახლებული სკოლები გახსნეს. საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის 500, ხოლო გორის მესამე საჯარო სკოლის 1000 მოსწავლე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებში ისწავლის. მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას 550 000 ლარზე მეტი, ხოლო გორის №3 სკოლის სრულ რეაბილიტაციას 1მლნ ლარზე მეტი მოხმარდა. |
| 18.09 | გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №816 "ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შსახებ. |
| 18.09 | გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №810 "2006-2007 სასწავლო წლისათვის საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების, სასწავლო დღეებისა და არდადეგების მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ" |
| 18.09 | დაიწყო ახალი სასწავლო წელი. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ თბილისის 189-ე საჯარო სკოლა და ზუგდიდის პირველი საჯარო განახლებული სკოლები გახსნეს. 140 წლის წინ დაფუძნებული ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის 1000-ზე მეტი და თბილისის 189-ე საჯარო სკოლის 1900-მდე მოსწავლე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პირობებში ისწავლის. მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას 1 900 000 ლარზე მეტი მოხმარდა, ხოლო თბილისის 189-ე საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 1მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში თბილისის 189-ე საჯარო სკოლა 30, ხოლო ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა 15 უახლესი კომპიუტერით აღიჭურვა. |
| 21.09 | ალექსანდრე ლომაიამ თიანეთში თანამედროვე სტანდარტების ბავშვზე ზრუნვის პირველი დღის ცენტრი გახსნა და თიანეთის პირველ საჯარო სკოლას საჩუქრად ახალი სასკოლო ავტობუსი და 12 კომპიუტერი გადასცა. ცენტრის მთავარი მიზანია შეაჩეროს ბავშვთა მიტოვება და უზრუნველყოს მაღალი დონის სოციალური სამსახურის განავითარება ადგილობრივ დონეზე. თიანეთის ბავშვთა სახლის დახურვის შედეგად 140 ბავშვი ოჯახში დაბრუნდა. |
| 24.09 | მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძემ განახლებული სკოლები გახსნეს, ქობულეთის რაიონის მუხაესტატეს და გვარას, ხელვაჩაურის რაიონის გონიოს, დაბა ხელვაჩაურის, მახინჯაურის განახლებული სკოლები. განახლებულ სკოლებს პროგრამა ,,ირმის ნახტომის" ფარგლებში 72 ახალი კომპიუტერი გადაეცა. ალექსანდრე ლომაია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 1200-ზე მეტ პედაგოგს შეხვდა და მათ რეფორმის მიმდინარე სიახლეები და უახლოესი გეგმები გააცნო. |
| 25.09 | პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში 3700 ახალი კომპიუტერი 350 საჯარო სკოლაში გადანაწილდა. კომპიუტერული ტექნიკის ეს პარტია "ბრითიშ პეტროლეუმის" 2,8 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტით იქნა შეძენილი. კომპიუტერული ტექნიკის მოცულობით ეს საქართველოში განცხორციელებული ყველაზე მსხვილი შესყიდვაა. |
| 28.09 | მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ დმანისის რაიონის სოფ. ვაკის, გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფის, თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ჩხიკვთას და წალკის რაიონის სოფ. ბაშკოვის სკოლებს ახალი სასკოლო ავტობუსები გადასცა. სულ წლის ბოლომდე მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში სოფლის სკოლებს გადაეცემათ 50 სასკოლო ავტობუსი, რომელიც სოფლის მოსწავლეებს სკოლამდე მისვლას გაუადვილებს. ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრ გახსნა და სკოლებს კომპიუტერები გადასცა |
| 29.09 | სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია 2300-ზე მეტ მეცნიერ-თანამშრომელსა და პროფესორ-მასწავლებელს დაენიშნა. |

## განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM) და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი (CSS) გთავაზობთ **ტრენინგ კურსებისა და კონსულტაციების სერიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალისათვის** შემდეგ მოდულებში

1. **"ECTS - კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემა"** 4-5 ნოემბერი 2006.
2. **"ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სისტემა"** 10-12 ნოემბერი 2006.
3. **"კურიკულუმის შემუშავება"** 18-19 ნოემბერი 2006.
4. **"ინსტიტუციური და აკადემიური კადრების მენეჯმენტი"** 25-26 ნოემბერი 2006
5. **"უწყვეტი განათლება უნივერსიტეტში (UCE) - მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის (LLL) კონტექსტში"** 2-3 დეკემბერი 2006.
6. **"პროექტების შემუშავება"** 9-10 დეკემბერი 2006.
7. **"ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპები"** 16-17 დეკემბერი 2006
8. **"როგორ დავწეროთ სილაბუსი"** 23-24 დეკემბერი 2006.

ტრენინგების ხანგრძლივობა დღეში 6 საათია. მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა 20-30.

**დაგვიკავშირდით და თავად აირჩიეთ თქვენთვის მისაღები ფორმა:**

**სტანდარტული კურსები:** მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს. მიიღება ჯგუფური განაცხადებებიც. ტრენინგ მოდულების თარიღები და თანამიმდევრობა წინასწარ არის განსაზღვრული. Eრთი დღის ღირებულებაა 70 ლარი.

**სპეციალური კურსები:** ტარდება ექსკლუზიურად, ცალკე აღებული უმაღლესი სასწავლებლისათვის. ტრენინგ კურსი (მოდულები, მათი თანამიმდევრობა და თარიღები) იგეგმება დამკვეთი ორგანიზაციის საჭიროებების მიხედვით. სპეციალური კურსის ფასი დგინდება დამკვეთ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

**კონსულტაციები:** ტარდება ექსკლუზიურად ერთი ან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლისათვის. კონსულტაციების ფასი და თემა დგინდება დამკვეთ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად (მათ შორის ტრეინინგ მოდულების სრული აღწერა და ტრენერების მონაცემები) შეგიძლიათ ესტუმროთ განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ვებ გვერდს www.eppm.org.ge, ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონით 232926 და ელექტრონული ფოსტით მისამართზე natia.iashvili@gmail.com. **განაცხადების შემოტანა არაუგვიანეს სამი დღისა მითითებული კურსის დაწყებამდე.**

# "ოლიმპი" ერთპიროვნული ლიდერია

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს მე-18 ეროვნულ ჩემპიონატს აქამდე არნახული ინტრიგა ახლავს. 9 ტურის შემდეგ ერთბაშად შვიდი გუნდი რეალურ პრეტენზიას აცხადებს საპრიზო ადგილებზე. ასეთი სიმჭიდროვე ცხრილის ზედა ნახევარში დიდი იშვიათობაა ქართული რეალობისთვის. რაც მთავარია, თვით აუტსაიდერი გუნდებიც კი ადგილობრივი მნიშვნელობის აღიარებულ ფავორიტებს დიდ წინააღმდეგობას უწევენ და ქულებს, ასე ვთქვათ, ხელგაშლით არ არიგებენ. ყოველ შემთხვევაში, მე-9 ტურში ლიდერებს საკუთარი ქულათა ყულაბის შესავსებად დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ.

ტურის ცენტრალური მატჩი ზესტაფონში გაიმართა -ადგილობრივმა "ზესტაფონმა" თბილისის "ამერს" უმასპინძლა. მატჩამდე გუნდებს შორის ქულათა სხვაობა ხუთი იყო. წარმატების შემთხვევაში ზესტაფონელები მჭიდროდ მიუახლოვდებოდნენ ლიდერებს - "ამერს" და რუსთავის "ოლიმპს". სწორედ ამის გათვალისწინებით ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობა და ტაქტიკა აირჩია. მატჩი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. ზესტაფონელებმა "ამერის" კართან 5-6 საგოლე მომენტი შექმნეს. გოლების გატანა შეეძლოთ იონანიძეს, კვასხვაძეს, ფიფიას, ზესტაფონელთა ბრაზილიელ ახალწვეულ ვიეირას, მაგრამ ფორტუნა სტუმართა მხარეს იყო. მართალია, დედაქალაქელებმა ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი (მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ), მაგრამ მნიშვნელოვანი ქულა წამოიღეს ზესტასფონიდან.

გათამაშების კიდევ ერთმა ლიდერმა რუსთავის "ოლიმპმა" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა და უმძიმეს ბრძოლაში გაიმარჯვა. წინა რვა ტურში რუსთაველებმა საკუთარი კარი უგოლოდ შეინახეს. ეს წარმატებული სერია სწორედ ბათუმელებთან მატჩში, ამირან მუჯირის ულამაზესი გოლის შემდეგ შეწყდა. სწორედ ამ შეხვედრაში დამყარდა საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი ყველაზე სწრაფი გოლის თვალსაზრისით. მასპინძლებმა დაიწყეს თუ არა თამაში, ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან ქებაძეს გადააწოდეს, რომელმაც მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ეს მატჩის მე-16 წამზე (!) მოხდა. თუმცა, ამის შემდეგ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში "ოლიმპის" ფეხბურთელებმა ველარაფრით გამოიჩინეს თავი. შეხვედრის მეორე ნახევარი უკვე ხსენებული გოლით განახლდა - მუჯირმა დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა და ბურთი ზუსტად "ცხრიანში" გაახვია. მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე "ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ თქვა: "სამწუხაროა, რომ ჩვენსთვის უგოლო მატჩების სერია შეწყდა, მაგრამ თუ გოლი მაინც უნდა მიგვეღო, სწორედ მუჯირის ასეთ გოლზე არ მექნებოდა პრეტენზია".

ანგარიში გათანაბრდა, რაც ლიდერს ნამდვილად არ აძლევდა ხელს. კიკნაძემ თავისი ორი კოზირი გამოიყენა - შეცვლები განახორციელა და თამაშში ჩართო ბიწაძე და ხოჯავა. სწორედ ამ ფეხბურთელების აქტიურობამ მოუტანა მასპინძლებს უმნიშვნელოვანესი ქულები. როცა მატჩის დასრულებამდე 4-5 წუთი რჩებოდა, ხოჯავამ გამარჯვების გოლი გაიტანა ზღვისპირელთა კარში.

გაუჭირდა თბილისის "დინამოსაც", თუმცა დაგეგმილი სამი ქულა მაინც მოიპოვა და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ფავორიტი "შევარდენის" სტადიონზე თანაქალაქელ "მერანს" ესტუმრა და 39-ე წუთზე ბობოხიძის გოლით დაწინაურდა. თუმცა, 52-ე წუთზე დათუნაშვილის ჩაწოდებას გემაშვილის თავური მოჰყვა და ანგარიში გათანაბრდა. მართალია, სამ წუთში მერებაშვილმა დააწინაურა "დინამო", მაგრამ დარჩენილ დროში სტუმრებმა მძიმე წუთები გადაიტანა, რადგან "მერანი" ყველა ღონეს ხმარობდა ანგარიშის გასათანაბრებლად და საკმაოდ მწვავედაც უტევდა. სიტუაცია განმუხტა ხუციშვილის გოლმა, რომელმაც მესამედ დალაშქრა მასპინძელთა კარი და "დინამოს" მორიგი გამარჯვება ოფიციალურად გაუფორმა.

**მე-9 ტური**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი - ამერი | 0:0 |
| მერანი - "დინამო (თბ) | 1:3 |
| ოლიმპი - დინამო (ბთ) | 2:1 |
| სიონი - ბორჯომი | 2:0 |
| კახეთი - ტორპედო | 2:3 |
| ლოკომოტივი - დილა | 3:0 |
| ვიტ ჯორჯია - ჩიხურა | 3:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 0 | 23-1 | 25 |
| ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 16-2 | 23 |
| დინამო(თბ) | 9 | 6 | 0 | 3 | 16-7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 12-3 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 17-12 | 18 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10-5 | 18 |
| სიონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-7 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| დინამო (ბთ) | 9 | 2 | 2 | 5 | 9-9 | 8 |
| მერანი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-16 | 8 |
| ჩიხურა | 9 | 1 | 3 | 5 | 6-15 | 6 |
| ბორჯომი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-20 | 5 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 4-25 | 2 |
| კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 9-27 | 1 |

# "საგარეჯო" ევროპის მესამე კლუბია

*კლუბი "საგარეჯო", რომელიც არსებობის მხოლოდ ორ წელს ითვლის, შაბათს ბუდაპეშტში ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობდა. გამგზავრებამდე იმედი იყო, რომ ევროპის ჩემპიონატს ოქროს მედლებით დაასრულებდნენ, მაგრამ "საგარეჯომ" "იავარა ნევასთან" ორი წრის ჯამში წააგო და მესამე ადგილისთვის გააგრძელა ბრძოლა. ერთი სიტყვით, საგარეჯოელები ევროპული საკლუბო ჩემპიონატიდან ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდნენ.*

ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალში საგარეჯოელთა მეტოქე სანქტ-პეტერბურგის "იავარა ნევა" გახლდათ. რუსული კლუბის პრეზიდენტი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინია. ასე რომ, პუტინის კლუბთან დაჭიდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. და კიდევ, რუსებმა საგარეჯოელებს 81 კგ წონაში ერეკლე კოპალიანი დაუპირისპირეს.

პირველი წრე საგარეჯოელთათვის წარმატებული გამოდგა. შოთა ხაბარელმა მსუბუქ წონებში ლეგიონერებზე გააკეთა აქცენტი. ევროპის ჩემპიონმა არმენ ნაზარიანმა (60 კგ.) იპონზე დასცა "იავარა ნევას" ყაზახი ლეგიონერი. სომეხი ლეგიონერისგან ესტაფეტა ჩაიბარა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ირანელმა არაშ მირესმაილმა (66 კგ.), რომელსაც აზერბაიჯანელ მეტოქესთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. საგარეჯოელისა და პეტერბურგელის დაპირისპირება უშედეგოდ დასრულდა. ლეგიონერების შემდეგ ტატამზე გავიდა ზაზა კედელაშვილი (73 კგ.), რომელიც მისთვის უჩვეულო წონაში უკრაინელ გენადი ბილოდიდს დაეჭიდა, მაგრამ მასზე მძიმე მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. გაიმარჯვა უკრაინელმა. "საგარეჯოსა" და "იავარა ნევას" შორის ანგარიში გათანაბრდა - 1:1.

ქართულ და რუსულ კლუბს შორის ქულებში სხვაობა არც 81 კგ წონაში შეცვლილა. გრიგოლ მამრიკიშვილისა და ერეკლე კოპალიანის შეხვედრაც ყაიმით დასრულდა.

გარდამტეხი 90 კგ. გამოდგა. ირაკლი ცირეკიძემ, რომელიც ზურაბ ზვიადაურის ტრავმის გამო ნაკრებში პირველი ნომერი იყო, მასზე დადებული ფსონები კლუბში გაამართლა. მეტოქეს სუფთად მოუგო და "საგარეჯო" დააწინაურა - 2:1. რუსებთან უპირატესობა გაზარდა კიდევ ერთმა ლეგიონერმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა საბერძნეთიდან ჯარჯი ზვიადაურმა. ზვიადაურის გამარჯვება რუსლან გასიმოვთან იმითაა აღსანიშნავი, რომ ქართველი ბერძენი მისთვის უჩვეულო - 100 კგ წონაში ასპარეზობდა.

მძიმე წონაში საგარეჯოელთაგან უზბეკ აბდულო ტანგრიევს ტამერლან ტმენოვის სახით ძლიერი მეტოქე ერგო. რუსმა ტანგრიევს იუკო აართვა, მაგრამ მოგვიანებით გააფრთხილეს და უზბეკი კოკათი დაასაჩუქრეს. შეხვედრა ტმენოვის, ხოლო პირველი წრე საგარეჯოელთა გამარჯვებით - 3:2 დასრულდა.

მეორე წრეში საგარეჯოში საქმეები აირია. უფრო სწორად, ლეგიონერებმა ვერ ივარგეს. არადა, ბევრი რამ სწორედ მათზე იყო დამოკიდებული. ნაზარიანმა ევგენი სტანევთან თანაბარ ბრძოლაში კოკათი წააგო. შოთა ხაბარელმა 66 კგ წონითი კატეგორია კვლავ ანდო არაშ მირესმაილს, მაგრამ მან მაგომედ ჯაფაროვთან ჭიდაობისას საშინელი შეცდომა დაუშვა და იპონით დამარცხდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც "იავარა ნევა" დაწინაურდა - 3:4. სტატუს კვოს აღსადგენად მთელი ყურადღება კედელაშვილისკენ იყო მიპყრობილი. მეტოქემ კედელაშვილი კონტრილეთზე დაიჭირა და იპონი აართვა.

ერთი სიტყვით, მეორე წრის პირველი სამი შეხვედრა საგარეჯოელებმა წააგეს. ხაბარელმა მამრიკიშვილის ნაცვლად ტატამზე უკრაინელი ლეგიონერი, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი რომან გონტიუკი შეუშვა. რუსებმა საგარეჯოს უკრაინელ ლეგიონერს კოპალიანი დაუპირისპირეს. გონტიუკმა პეტერბურგელ ქართველს მოსვენება არ მისცა. ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ კი იპონით დასცა მეტოქე.

ცირეკიძისა და პერშინის დაპირისპირებაში პეტერბურგელი აშკარად პასიურობდა. გვეგონა, ქართველის მეტოქეს გააფრთხილებდნენ, მაგრამ შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

პირველ წრეში გასიმოვთან სუფთად მოგების შემდეგ ჯარჯი ზვიადაური მეორე წრეში დამარცხდა.

აბდულო ტანგრიევმა ვერც მეორე წრეში ივარგა და სუფთად წააგო, "საგარეჯო" კი 1:4 დამარცხდა.

საუბარი იმაზე, რომ "საგარეჯო" ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ავტომატურად დაუშვეს და კლუბის მწვრთნელს საკვალიფიკაციო ეტაპებზე ლეგიონერები საქმეში არ უნახავსო, ზედმეტი უნდა იყოს, რადგან ყოველი მათგანი საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტია, რაც მათი ტიტულებიდანაც ჩანს.

ერთი სიტყვით, "საგარეჯომ" მესამე ადგილისთვის ბრძოლა თურქეთის "ისტანბულთან" გააგრძელა და 8:2 მოიგო. "იავარა ნევა" კი, თავის მხრივ, გერმანულ "აბენსბერგთან" დამარცხდა.

არ გაუშვათ ბოლო შანსი!

EKO GEORGIA

შპს „ეკო ჯორჯია" აცხადებს ტენდერს გაყიდვაზე.

იყიდება 4020 მ² მიწის ფართობი, მდებარე ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-8 სართული, შპს „ეკო ჯორჯია"
ტელ: 29 23 64; 25 15 07; 25 18 67
საკონტაქტო პირი: ლიკა ფირანიშვილი მობ. 877 41 43 72




ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

## ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერების ტრენინგის განცხადება

**1. შესავალი**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ფინანსურ დაცვას და ჯანმრთელობის სერვისების მაქსიმალურ მისადაგებას მოსახლეობის მოთხოვნებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის და სერვისების უტილიზაციის გაზრდით მთელი მოსახლეობისათვის (და განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის), მომსახურების ხარისხის, სერვისების წარმოების ეფექტურობის და ასევე მომხმარებლის და მიმწოდებლის კმაყოფილების მიღწევით.

საჭირო ადამიანური რესურსების გადამზადების ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ჯანმრთელობის სერვისის მენეჯერების კონტინგენტის შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მართვაზე თანამედროვე მენეჯერული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროექტი, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი დახმარებას უწევს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ამ მიმართულებით. რეფორმის პროცესის ტექნიკური დახმარების სხვა ელემენტებთან ერთად ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის სერვისის მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამას.

ტრენინგს კოორდინაციას გაუწევს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ტრენინგის უნარ-ჩვევების თანმიმდევრული გადაცემის საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს პროგრამის საქართველოს რეალობასთან უკეთ ადაპტაციას.

**2. მიზანი**

კურსი მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები ჯანმრთელობის სერვისებში მენეჯმენტის თეორიების, მცნებების, მიდგომების და ტექნიკის გამოყენების უნარით საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის კონტექსტში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

**3. შინაარსი**

მენეჯმენტის კურსი შედგება 600 საათისაგან (20 კვირა). პირველი სეგმენტი დაფარავს ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. ეს სეგმენტი საერთო იქნება ყველა მონაწილესათვის. მეორე და მესამე სეგმენტები მიზნად ისახავს პირველ სეგმენტში განხილული საკითხების შემდგომ განვითარებას და დახვეწას. მეორე და მესამე სეგმენტის პროგრამა განსხვავებული იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების, საავადმყოფოების და სამთავრობო დაწესებულებების მენეჯერებისათვის. პირველად ჩატარდება 1 სეგმენტი (6 კვირა) და პროგრამის დანარჩენი ნაწილი მიწოდებული იქნება მოგვიანებით.

**4. ტრენინგის თარიღი და ადგილი**

ტრენინგის პირველი ფაზა (სეგმენტი 1) დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

ადგილი: ტრენინგი ჩატარდება თბილისში

სამიზნე რეგიონები: ტრენინგის პირველი ფაზა გამიზნული იქნება აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებისათვის. სხვა რეგიონების მოცვა მოხდება შემდეგ ტრენინგებში.

**5. განაცხადის შემოტანა**

დაინტერესებულ კანდიდატებს მოეთხოვებათ აპლიკაციის გამოგზავნა (გთხოვთ შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან იხილოთ ვებ-გვერდები: www.opm.ge; www.jobs.ge; www.humanresource.ge):

მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამა, OPM
ოთახი 209, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო
30, გამსახურდიას (პეკინის) გამზირი,
0160, თბილისი
ფაქსი: 995 32 387904
ელ-ფოსტა: mtraining@opm.ge
განაცხადების შემოტანა ასევე შეიძლება პირადად ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2006 წლის 29 ოქტომბერი**

აპლიკაციები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

***ა. განათლება***

ა.1 დიპლომი მენეჯმენტში, ეკონომიკაში ან მედიცინაში
ა.2 სასურველია დიპლომის შემდგომი სპეციალიზაცია
ა.3 სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

***ბ. გამოცდილება***

ბ.1 საქართველოში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება
ბ.2 სასურველია კახეთის, იმერეთის ან აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

**გ. არაპროფესიული მოთხოვნები**

გ.1 ასაკობრივი შეზღუდვა 55 წელი
გ.2 კახეთის, იმერეთის ან აჭარის მცხოვრები (სურვილი გაქვთ მოთხოვნის შესაბამისად ტრენინგის დასრულების შემდგომ იმუშავოთ ამ რეგიონებში)
გ.3 ცვლილებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, მოქნილობა, ადაპტაციის უნარი, და ინიციატივის და ინტერესის დემონსტრირება
გ.4 გუნდში მუშაობის სურვილი
გთხოვთ თან დაურთოთ აპლიკაციაში მოთხოვნილი დიპლომების ასლები.

**6. შერჩევის პროცესი**

აპლიკაციების გადარჩევა მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად

■ დოკუმენტაციის მიმოხილვა და კანდიდატების გამოცდილება განსაზღვრავს მათ შესაძლო დაშვებას შემდგომ ეტაპზე
■ ინტერვიუზე და ტესტირებაზე მოსაწვევად შეირჩევა 40 კანდიდატი. (ინტერვიუს ადგილი და თარიღი ეცნობებათ კანდიდატებს აპლიკაციაში მითითებულ ტელეფონზე ან ელ-ფოსტაზე)
■ 20 შერჩეული კანდიდატის სია გამოქვეყნდება OPM-ის ვებ-გვერდზე

აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, მიეცემათ 1 კვირიანი ვადა დასაბუთებული საჩივრის შემოსატანად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 995 32 387904
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განცხადებები არ იქნება განხილული.

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე
სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს
ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Philips-მა მობილური ტელეფონების ბიზნესი გაყიდა

ელექტრონიკის ევროპულმა მწარმოებელმა Royal Philips Electronics-მა თავისი მობილური ტელეფონების ბიზნესის დარჩენილი ნაწილი ჩინურ კომპანია China Electronics Corporatin (CEC)-ს მიჰყიდა. გარიგების მიხედვით, რომლის ფინანსური მხარე ჯერჯერობით კონფიდენციალურია, CEC-მა ხელში ჩაიგდო Philips-ის მობილური ტელეფონების მთელი ბიზნესი და ამ მარკის 5 წლის განმავლობაში გამოყენების უფლებაც გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მობილური ტელეფონების ბაზარზე Philips-ის პოზიციები ძლიერ შერყეული იყო და წამყვან მწარმოებლებს კონკურენციას ვერანაირად ვერ უწევდა. ასე რომ, კომპანიამ პრობლემატური აქტივი თავიდან მოიშორა და ახლა შეუძლია აქცენტი მომგებიან მიმართულებებზე გააკეთოს. საინტერესოა, რომ გაბანკროტების პირას არიან Benq Mobile (ყოფილი Siemens Mobile) და Sagem.



### Aston Martin-ის ყიდვას ორი მილიარდერი აპირებს

ევროპელი მილიარდერები, ფრანგი ბერნარ არნო და ბელგიელი ალბერტ ფრერი კომპანია Ford-ისათვის მისი ევროპული განყოფილების, Aston Martin-ის შეძენის თაობაზე წინადადებით მიმართვის საკითხს განიხილავენ. როგორც ცნობილი გახდა, კონცერნ LVMH-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი არნო და კომპანია Groupe Bruxelles Lambert-ის თავკაცი ფრერი ერთობლივი საინვესტიციო ჯგუფის შექმნას აპირებენ, რომელსაც Aston Martin-ის შესაძენად გამოიყენებენ. სავარაუდოდ, მისი ღირებულება 1 მილიარდ ევროზე (1,25 მილიარდი დოლარი) მეტი იქნება.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3245 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9958 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4747 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7435 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8141 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1257 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2953 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2010 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4068 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3353 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1975 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1473 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2724 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1894 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2565 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4083 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5469 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1078 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3331 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3208 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2615 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5703 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6266 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0649 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1096 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4567 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5146 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4151 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4504 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8377 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0295 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1364 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4452 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3860 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0777 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2207 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2239 |




# ქართული ოქრო

## ბუნდოვანი და ძვირფასი სახელმწიფო ქონება

### როგორ ივსება ბიუჯეტი ამ ძვირფასი ლითონის საშუალებით?

ეთერ მამულაშვილი

*საქართველოდან ექსპორტირებული ოქროს მოცულობა წელს, შარშანდელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ახლო მომავალში მოსალოდნელია ამ პროდუქტის ექსპორტის კიდევ უფრო ზრდა. ბუნებრივია, ამას საერთაშორისო ბაზარზე ქართულ ოქროზე გაზრდილი მოთხოვნა განაპირობებს. როგორია ამ ბუნებრივი რესურსის მოპოვება-წარმოების ტენდენცია უკანასკნელი წლების განმავლობაში და რას ღებულობს ბიუჯეტი აქედან? "24 საათი" ამ და სხვა საკითხებით დაინტერესდა.*

საქართველოდან ექსპორტირებული სპილენძისა და ოქროს მოცულობა (ათასი აშშ დოლარებში)

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 8 თვე |
|---|---|---|---|---|---|
| სპილენძის მადანი და კონცენტრატები | 13.160 | 23.440 | 31.825 | 36.386 | – |
| დაუმუშავებელი და ნახევრად დაუმუშავებული ოქრო | 28.580 | 20.330 | 18.830 | 34.743 | 30.274 |
| ნაკეთობები ძვირფასი ლითონებისაგან | 80 | 1.052 | 2.488 | 3.972 | 2.488 |



B2

# ჯიპიაი ჰოლდინგი

## მოსახლეობას ახალი ტიპის სადაზღვევო მომსახურებებს სთავაზობს

*ჯიპიაი ჰოლდინგი (საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი), უკვე 5 წელია, მოღვაწეობს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. კომპანია დღეს ბაზრის ლიდერია - შვილობილ კომპანია ირაოსთან ერთად ჯიპიაი ჰოლდინგზე მოდის ბაზრის უმსხვილესი წილი საქართველოს სადაზღვევო სივრცეში. ჯიპიაი ჰოლდინგი ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი ევროპული სადაზღვევო ჯგუფის - Vienna Insurance Group წევრია; ჯიპიაი ჰოლდინგის დამფუძნებელია თიბისი ბანკი - საქართველოს საბანკო სივრცის ლიდერი. კომპანიაში დღეისათვის დაზღვეულია 100000-ზე მეტი ადამიანი.*

- პოლისი - მინი ავტო
- პოლისი - კომუნალური
- პოლისი - ანდერძი
- პოლისი - საპენსიო
- პოლისი - ბიზნესი

ჯი პი აი ჰოლდინგი GPI HOLDING

B2

# ენერგეტიკამ, კომუნიზმის მსგავსად, დასავლეთი ვერ უნდა გახლიჩოს

თორნიკე შარაშენიძე
*ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### ოპეკის "საერთო საქმე" ჩავარდნილია

*გასულ კვირას ოპეკმა (ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია) ნავთობმოპოვების დღეში 1,2 მილიონი ბარელით შემცირება გადაწყვიტა. ოპეკის სამიტის გამართვას მსოფლიო ბირჟები ნერვიულად ელოდნენ და, ერთი პერიოდი, საწვავის ფასმა საგრძნობლად აიწია კიდეც, რადგან ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ორგანიზაცია ნავთობმოპოვებას შეამცირებდა. მაგრამ როგორცკი ეს ფაქტი მოხდა, ფასი დავარდა. საერთოდ, ნავთობის ფასის პროგნოზირება რთული საქმეა, მაგრამ ამ კურიოზის ახსნა მაინც საკმაოდ მარტივად შეიძლება - ფასის აწევა ნერვიულობამ და გაურკვევლობამ გამოიწვია. ხოლო, როცა ყველაფერი გაირკვა, ფასი დავარდა. წესით იგი არ უნდა დავარდნილიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბირჟებზე, დიდი ხანია, იციან ერთი ჭეშმარიტება: ოპეკის ბევრი წევრი-სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ კვოტებს არ იცავს და, მალულად, დადგენილზე მეტ ნავთობს მოიპოვებს.*



B3

## საბაჟო პროცედურების გამარტივებამ საქართველოში იმპორტის მოცულობა გაზარდა

მომავალ წელს ექსპორტ-იმპორტს შორის უარყოფითი ბალანსი გაიზრდება. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, 2007 წელს იმპორტის ზრდის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 40%, ხოლო ექპორტის - 34% იქნება. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ცნობით, 2006 წლის 6 თვეში გრძელდებოდა საქონლის იმპორტის წინმსწრები ტემპით ზრდის ტენდენცია. ექსპორტის მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 58%-ით, ხოლო პირველი ნახევრის მონაცემთან შედარებით, 50,1%-ით გაიზარდა. მხოლოდ ნავთობპროდუქტებისა და გაზის წილი მთლიანი იმპორტის 1/5-ს შეადგენს. "პარალელურად გაიზარდა სხვა საქონლის, მათ შორის, მსუბუქი ავტომობილების იმპორტის მოცულობა. ავტომობილების შემოყვანა, 2005 წელთან შედარებით, 2,1-ჯერ გაიზარდა, იმპორტირებული რადიო და ტელეაპარატურის კი - 1,8-ჯერ. როგორც ექსპერტები აცხადებენ, იმპორტის ზრდა საბაჟო პროცედურის გამარტივებით აიხსნება. **(GBC)**

## საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზარდა

უცხოეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები შარშანდელთან შედარებით 107 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. 2006 წლის იანვარ-სექტემბერში უცხოეთიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემებით (ვესტერნ იუნიონის, მანიგრამის, ანელიკის, კავკასუს ექსპრესის...) 381 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც 2005 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 107 მლნ აშშ დოლარით, 39,1%-ით აღემატება.

2006 წლის ცხრა თვის განმავლობაში საქართველოში უცხოური არხებით შემოსული თანხებიდან ყველაზე მეტი - 261 მლნ აშშ დოლარი (68,5%) რუსეთის ფედერაციიდან, 37 მლნ აშშ დოლარი (9,7%) აშ-დან, 11.5 მლნ აშშ დოლარი (3%) საბერძნეთიდან გადმოირიცხა. **(GBC)**

## 2007 წელს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის 700 მილიონი დაიხარჯება

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმაში გაწერილი პარამეტრების მიხედვით, მომავალ წელს საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის, სხვადასხვა მიმართულებით, დაახლოებით 700 მილიონი დაიხარჯება.

როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, აღნიშნულ თანხაში გზების რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულია 550 მილიონი და ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაციისათვის - 100 მილიონი.

აღსანიშნავია, რომ მთავრობამ 2007 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მოიწონა და მას ამჟამად პარლამენტი განიხილავს.

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები 3 მილიარდ 900 მილიონი ლარით განისაზღვრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## წლის ბოლომდე მთლიანი შიდა პროდუქტი 13 მილიარდს გადააჭარბებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, წელს, 2005 წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 7,5 პროცენტით გაიზრდება და ნომინალურ გამოხატულებაში 13 მილიარდს გადააჭარბებს.

ამასთან, სამინისტროს ინფორმაციით, 2006 წელს, 2005 წელთან შედარებით, მთლიანი ინვესტიციების მოსალოდნელი რეალური მოცულობა 24,5 პროცენტით გაიზრდება და მშპ-ს 31,0 პროცენტს გაუტოლდება.

სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საშუალოვადიან პერიოდის გეგმის მიხედვით, რომელიც 2007-2010 წლებს მოიცავს, აღნიშნული მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 6-7 პროცენტის ფარგლებში იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლუკოილი" ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების გაზრდას გეგმავს

2016 წლამდე კომპანია "ლუკოილი" ნავთობგადამამუშავებელი სიმძლავრეების მნიშვნელოვან გაზრდას გეგმავს როგორც რუსეთში, ასევე სხვა ქვეყნებშიც.

არსებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გაფართოებითა და ახალი ქარხნების შესყიდვით "ლუკოილი" ნავთობგადამუშავებას დაახლოებით 70%-ით გაზრდის და მისი წარმოება, სავარაუდოდ, წელიწადში 100 მლნ ტონამდე გაიზრდება.

იმავდროულად, მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილების სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, "ლუკოილი" ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მოდერნიზაციას განაგრძობს. ამ სფეროში ძირითად სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის ღირებულების ზრდა. 2016 წლისთვის კომპანია გეგმავს მხოლოდ მაღალი ოქტანობის ბენზინის გამოშვებას, ხოლო პროდუქცია ევრო-5-ის სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოსთვის ირანული გაზის მოწოდების საკითხს საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრები არკვევენ

რუსეთიდან ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევაში, გახდება თუ არა ირანი საქართველოსთვის გაზის მოწოდების ალტერნატიული წყარო, თეირანში გადაწყდება.

ირანის დედაქალაქში დღეიდან მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრები აწარმოებენ. გელა ბეჟუაშვილი და ნიკა გილაური თეირანში წუხელ გაემგზავრნენ. რამდენიმე განსახილველ საკითხს შორის პრიორიტეტული სწორედ ბუნებრივი აირით საქართველოს მომარაგების თემაა.

საკითხის დადებითად გადაწყვეტა თეირანის მხრიდან შემოთავაზებული ბუნებრივი აირის საფასურზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდებაზე რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ხელშეკრულება 2006 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ამ შეთანხმებით, რუსული "გაზპრომი" საქართველოს 1000 კუბ.მ. აირს 110 დოლარად აწვდის. **ინტერპრესნიუსი**

# ჯიპიაი ჰოლდინგი მოსახლეობას ახალი ტიპის სადაზღვევო მომსახურებებს სთავაზობს

პირველი გვერდიდან

2006 წლის ოქტომბრიდან კომპანია თვისობრივად ახალი ტიპის სადაზღვევო მომსახურებას სთავაზობს ბაზარს. ეს პროდუქტები მაქსიმალურადაა მორგებული მოსახლეობის საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტზე და მისი სპეციფიური რისკებისგან დაცვას ემსახურება. ჯიპიაი ჰოლდინგის ახალი საპროდუქტო ხაზი - "პოლისი" - არის თქვენი ქონების, სიცოცხლის, კერძო ბიზნეს-საქმიანობის მყარი გარანტია და დაცვა სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან, რომლებიც, სამწუხაროდ, ხშირად იჩენენ თავს ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში. თქვენ მარტივად და ხელმისაწვდომად შეგიძლიათ შეიძინოთ ეს სადაზღვევო პროდუქტები.

### პოლისი - მინი ავტო

ავტომობილით მგზავრობა ანგარიშგასაწევ საფრთხეებთან არის დაკავშირებული: ქურდობა, ავარია, უბედური შემთხვევა - ეს რისკები ყველა ავტომფლობელს აქვს და მათი წარმოქმნა სერიოზულ ფინანსურ თუ სხვა სახის პრობლემებს უკავშირდება. **პოლისი - მინი ავტო** ხელმისაწვდომად და მარტივად დაგაზღვევთ ამგავრი პრობლემებისგან. თუ თქვენ ფლობთ ავტომობილს და უკვე ხართ 21 წლის, თვეში 10 აშშ დოლარად შეგიძლიათ შეიძინოთ **პოლისი - მინი ავტო**, რომელიც აგინაზღაურებთ ავტომანქანის დაზიანებით ან დაკარგვით გამოწვეული ხარჯების 90%-ს - 1000 აშშ დოლარის ფარგლებში. ამ დაზღვევის შეძენა განსაკუთრებით ხელსაყრელია იმ პირებისთვის, რომელთა ავტომობილის ღირებულება 3000 აშშ დოლარს არ აღემატება.

### პოლისი - კომუნალური

თითოეული ადამიანისთვის განსაკუთრებით ძვირფასია პირადი ქონება და სახლი. თუმცა, აქაც არავინაა დაცული იმ მოულოდნელობებისაგან, რომლებმაც შეიძლება ჩვენს საკუთრებას სერიოზული ზიანი მიაყენოს. სწორედ ამგვარი პრობლემებისგან დასაზღვევად არსებობს პოლისი კომუნალური: ეს დაზღვევა საშუალებას მოგცემთ, თავიდან აიცილოთ თქვენი ბინისათვის აუცილებელი წვრილმანი და მსხვილი შეკეთების ხარჯები. თვეში მხოლოდ 8 ლარად **"პოლისი - კომუნალური"** აანაზღაურებს თქვენს ხარჯებს 8000 ლარის ფარგლებში, შემდეგი შემთხვევების დროს:

■ თქვენს ბინაში კანალიზაციის, წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და გაზგაყვანილობის სისტემების დაზიანება;

■ მეზობლის მიერ წყლის ჩამოშვების შედეგად თქვენი ბინის შიდა მოპირკეთების დაზიანება;

■ თქვენს მიერ უნებლიეთ მეზობელი ბინის წყლით ან კვამლით დაზიანება;

■ თქვენს ბინაში არსებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობების დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა;

■ თქვენს ბინაში ხანძრით ან აფეთქებით გამოწვეული დაზიანებები და სხვა.

### პოლისი - ანდერძი

ადამიანი ბევრს შრომობს და მოღვაწეობს იმისათვის, რომ შეძლოს ოჯახისა და შვილებისთვის ღირსეული მომავლის შექმნა.

პოლისი ანდერძი გაძლევთ საშუალებას, თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნებისმიერ სხვა პირს უანდერძოთ იმაზე **10-ჯერ მეტი** თანხა, ვიდრე თქვენ გაქვთ: თქვენ უანდერძებთ მემკვიდრეებს 1000, 5000, 10000 ან 20000 ლარს (ანდა სხვა თანხას) მხოლოდ ამ თანხის **10%-ის** ერთჯერადი შენატანით სპეციალურ სადაზღვევო ანგარიშზე; **"პოლისი - ანდერძი"** უვადოა და შესაძლებელია მისი განახლება ყოველ 3 წელიწადში. თუ საჭირო არ იქნება ნაანდერძევის გაცემა, თქვენ დაგიბრუნდებათ გადახდილი თანხის **100%.** შეტანილი თანხის დაბრუნება შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

### პოლისი - საპენსიო

საპენსიო დაზღვევა ჯიპიაი ჰოლდინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. დაზღვევის ეს სახეობა განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომლებიც ზრუნავენ საკუთარ მომავალზე და სურთ ჰქონდეთ ღირსეული და უზრუნველყოფილი საპენსიო ასაკი. პოლისი - საპენსიოს შეძენით თქვენ ქმნით თქვენს საკუთარ საპენსიო ფონდს, რომელსაც თავად აკონტროლებთ: საპენსიო ფონდში თქვენს მიერ რეგულარულად შეტანილ თანხებს ყოველკვარტალურად ემატება სარგებელი და ამგვარად საპენსიო ასაკისთვის თქვენს ფონდში გროვდება სოლიდური თანხა. საპენსიო ფონდში გაწევრიანებით თქვენ ასევე ხდებით უბედური შემთხვევის და სიცოცხლის დაზღვევის მფლობელი.

### პოლისი - ბიზნესი

სპეციალურად მცირე და საშუალო ზომის მეწარმეთათვის ჯიპიაი ჰოლდინგმა შეიმუშავა პოლისი ბიზნესი. ეს პოლისი დაიცავს თქვენს საწარმოს იმ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული ფინანსური ზარალი მოგაყენონ. პროდუქტი ითვალისწინებს თქვენი ქონების დაზღვევას 50000 ლარის ფარგლებში - თვეში 15 ლარად. პოლისი აანაზღაურებს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია დაზიანებული ან განადგურებული ქონების აღდგენასთან ან ახლით ჩანაცვლებასთან. ჩვენი პოლისით სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

■ გასაყიდი პროდუქციის ქურდობა და ნაღდი ფულის გატაცება ყაჩაღობის შედეგად.

■ ხანძრის შედეგად შენობის შიდა მოპირკეთების, პროდუქციის, ავეჯის, ელექტროტექნიკის და მოწყობილობების დაზიანება/განადგურება;

■ სხვადასხვა სტიქიური უბედურებებით გამოწვეული, შენობის შიდა მოპირკეთების, პროდუქციის, ავეჯის, ელექტროტექნიკის და მოწყობილობების დაზიანება/განადგურება;

■ წყალგაყვანილობის, ელექტროგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემების დაზიანებით გამოწვეული, შენობის შიდა მოპირკეთების, პროდუქციის, ავეჯის, ელექტროტექნიკის და მოწყობილობების დაზიანება/განადგურება.

■ ქონების განადგურებით გამოწვეული, საქმიანობის შეფერხებისას - ბიზნესის შეფერხების დროს მიუღებელ მოგებას თვეში 5000 ლარის ოდენობით;

■ მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებით, შენობის შიდა მოპირკეთების, პროდუქციის, ავეჯის, ელექტროტექნიკის და მოწყობილობების დაზიანება/განადგურება;

**ჯიპიაი ჰოლდინგის პოლისების შეძენის პროცედურა ძალიან მარტივია: დაუკავშირდით სადაზღვევო კომპანიას ნომერზე 505 111 და თქვენ ადგილზე გამოგიგზავნიან სადაზღვევო აგენტს, რომელიც მოგაწვდით ამომწურავ ინფორმაციას თქვენთვის საინტერესო მომსახურებასთან დაკავშირებით და გამოგიწერთ პოლისს.**

# კახა ბენდუქიძე: "რუსეთის მხრიდან ეკონომიკურ ბლოკადას რეფორმებით უნდა ვუპასუხოთ"

სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის მიზეზით საქართველოს მშპ-ს ზრდის ტემპის 1,5-1, 7%-ით შემცირებას პროგნოზირებს. 2007 წლის ბიუჯეტის პროექტით მშპ-ს 7,5%-იანი - 15,9 მლრდ. ლარამდე ზრდა არის დაგეგმილი.



"ენერგომატარებლების 1 აშშ დოლარით გაძვირება 0,25%-ით ამცირებს ქვეყნის მშპ ზრდას. რუსეთის ბლოკადა გუშინ არ დაწყებულა, ეს პროცესი სათავეს სავიზო რეჟიმის შემოღებიდან იღებს. ეკონომიკურ ბლოკადაზე ყველაზე ოპტიმალური პასუხი რეფორმების განხირციელებაა," - განაცხადა კახა ბენდუქიძემ. მინისტრი აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ ერთ წელზე გათვლილი, საქართველოს განადგურების გეგმა უშედეგო აღმოჩნდა. გარე შოკების პირობებში ხანგრძლივვადიანი რეფორმატორული პოლიტიკის შენარჩუნება ქვეყნის მთავრობის სწორ პოლიტიკაზე მიუთითებს. მისი განცხადებით, ამ პირობებში აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნება ბევრ ქვეყანას გაუჭირდებოდა. ბენდუქიძე 2009 წლისთვის მშპ-ს 12%-დე ზრდის თაობაზე, ფინანსთა მინისტრის დაპირების დარღვევას სამართლიანად მიიჩნევს. ახალი სტრატეგიით 2009 წლისათვის მშპ-ს 5,5%-იანი ზრდაა დაგეგმილი. ფინანსთა მინისტრს ამ დაპირების შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლადო პაპავამ შეახსენა. კახა ბენდუქიძის განცხადებით, "მშპ-ს 5,5%-ით ზრდა კონსერვატიული მაჩვენებელია და რეალურ გათვლებს ეყრდნობა. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის სტრატეგიას 2007 წლის ბიუჯეტის პროექტი სავსებით აკმაყოფილებს".

**(GBC)**

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი სექტემბერში

საქართველოში 2006 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 99,6 პროცენტი შეადგინა. 2006 წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის ფასების საერთო დონე შემცირდა სამთომოპოვებით მრეწველობაში 11,9 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე - 0,1 პროცენტით. მწარმოებელთა ფასების 2,0-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელ მრეწველობაში. სექტემბერში, აგვისტოს თვესთან შედარებით, მწარმოებელთა ფასების კლება განაპირობა ფერადი ლითონების მადნების მოპოვებაზე ფასების 19,3 პროცენტით შემცირებამ. ფასები გაიზარდა საკვები პროდუქტების წარმოებაზე სასმელების ჩათვლით 2,7 პროცენტით, მათ შორის მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოებაზე 42,8 პროცენტით და საფქველ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქტების წარმოებაზე 5,3 პროცენტით. 2006 წლის სექტემბერში, 2005 წლის დეკემბერთან შედარებით, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსმა 112,2 პროცენტი შეადგინა. სამთომოპოვებით მრეწველობაზე ფასები გაიზარდა 63,2 პროცენტით, დამამუშავებელ მრეწველობაზე - 8,4 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებასა და განაწილებაზე - 6,2 პროცენტით.

**24 საათი**

## 2 ობიექტის პრივატიზაციიდან 1 მილიონ 30 ათასი აშშ დოლარის მობილიზება იგეგმება

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 26 ოქტომბერს, პრივატიზაციის მიზნით, 2 მსხვილ ობიექტს გაიტანს. ორივე ობიექტიდან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 1 მილიონ 30 ათასი აშშ დოლარის მობილიზებას გეგმავს.

გასაყიდად გატანილ ობიექტთა ნუსხაშია ბათუმში, ჟორდანიას ქუჩაზე შპს "გონი", რომლის ასივე პროცენტი სახელმწიფოს კუთვნილებაა და მისი საწესდებო კაპიტალი 30 970 ლარს შეადგენს. ობიექტის მიწის ნაკვეთის ფართი 520,5 კვადრატული მეტრია და საწყისი გასაყიდი ფასი 600 000 აშშ. დოლარს შეადგენს. ასევე 26 ოქტომბერს გასაყიდ ობიექტთა ნუსხაშია შპს "ბათუმის სახლმშენებელი კომბინატი", რომლის საწესდებო კაპიტალში 100%-იანი წილი სახელმწიფოს კუთვნილებაა.

ქონების ჩამონათვალში შედის ადმინისტრაციული შენობა 3034.4 კვ.მ, საწყობი 316.2 კვ.მ, რკინა-ბეტონის ქარხანა 18212.3 კვ.მ, სანტექნიკური საამქრო 628.5 კვ.მ, რკინიგზა 1817 გრძივი მეტრი და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობები. საწარმოს ერიცხება 65287 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 337 810 ლარს, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი 430 000 აშშ. დოლარია. აღსანიშნავია, რომ საწარმოს გააჩნია 844 585 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქობულეთის ცენტრალური უნივერმაღის შენობა 120 ათას აშშ დოლარად შეფასდა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 26 ოქტომბერს, პრივატიზაციის მიზნით, აუქციონზე ქობულეთში, აბაშიძის, ქუჩა N10-ში მდებარე შპს "ქობულეთის კურორტვაჭრობას" გაიტანს. ობიექტის საწესდებო კაპიტალი მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილებაა და იგი 47 090 ლარს შეადგენს.

ობიექტის ქონების ჩამონათვალშია: სამსართულიანი ცენტრალური უნივერმაღის შენობის ფართი 1726.6 კვ.მ. ასევე გააჩნია სხვენი 17.6 კვ.მ. საწარმოზე რეგისტრირებულია 1090 კვმ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. გასაყიდად გატანილ ობიექტს გააჩნია კრედიტორული დავალიანება 76 514 ლარი და დებიტორული დავალიანება 8 851 ლარის ოდენობით. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 120 000 აშშ. დოლარია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბანკნოტების სკანდალი

ყაზახეთის დეპუტატები ეროვნული ბანკისგან ეროვნული ვალუტის - ტენგეს შეცდომით დაბეჭდვის ანაზღაურებას მოითხოვენ.

შეგახსენებთ, რომ ყაზახეთის ეროვნულმა ბანკმა ახალი დიზაინის 2000 და 5000-იანი კუპიურები გამოუშვა. ახალი კუპიურები, კი რომლებსაც მანამდე არსებული კუპიურები უნდა შეეცვალა, გრამატიკული შეცდომებით არის შესრულებული. ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ შეცდომა ბანკნოტების ბეჭდვისას დანადგარის კომპიუტერულმა გაუმართაობამ გამოიწვია. კუპიურაზე ერთი ბგერის არარსებობა ძალიან გვიან, ანუ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ქარხანას უკვე ახალი ტენგების მთელი სერია ჰქონდა გამოშვებული. ნაციონალურმა ბანკმა საკუთარი სახელწოდებაც კი ვერ დაწერა გამართულად. ყაზახეთის ეროვნულმა ბანკმა შეცდომა აღიარა, თუმცა მოითხოვა, რომ ახალი, უშეცდომო ვარიანტის დაბეჭდვამდე ბრუნვაში "გრამატიკულად მცდარი" კუპიურები გაეშვათ, რაზეც დეპუტატებმა კატეგორიული უარი განაცხადეს. დეპუტატების თქმით, ასეთი კუპიურების ბრუნვაში გაშვება დივერსიის ტოლფასია. "ეს ბანკნოტები ნუმიზმატებს უნდა მივყიდოთ, რათა ფულის გამოშვებაზე დახარჯული თანხები ჰაერში გადაყრილი არ აღმოჩნდეს. ბანკის ხელმძღვანელებს, ვინც კუპიურების ბეჭდვის ხარისხზე პასუხს აგებენ, ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვთ. ისინი ვალდებულნი არიან, აანაზღაურონ ზარალი. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ბრალს დიდი რაოდენობის ფულის მიტაცების მუხლით წავუყენებთ," - აცხადებს ყაზახი დეპუტატი ერასილ აბილკასიმოვი. თუ რა თანხები დაიხარჯა ახალი კუპიურების დასამზადებლად, ამაზე ეროვნულ ბანკში არ საუბრობენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კუპიურების ორი მესამედი შვეიცარიაში, დანარჩენი კი ყაზახეთში დაიბეჭდა.

## ინდური Tata Steel ბრიტანულ Corus-ს ყიდულობს

ინდური მეტალურგიული კონცერნი Tata Steel ბრიტანულ კომპანია Corus-ს 8,1 მილიარდ ყიდულობს, რაც ინდური კომპანიის მიერ უცხოეთში განხორციელებული სარეკორდო ინვესტიციაა. აღსანიშნავია, თუ Corus-ის აქციონერებმა აღნიშნულ გარიგებას მხარი დაუჭირეს, Tata Steel, რომელიც ამ დროისათვის მეტალურგიული სექტორის სიდიდით 56-ე კომპანიაა, მეხუთე ადგილზე აინაცვლებს.

სავარაუდოდ, Corus-ის, რომელიც 1999 წელს British Steel-ის და ჰოლანდიური Hoogovens-ის შერწყმის შედეგად წარმოიშვა, აქციონერები Tata Steel-ის წინადადების წინააღმდეგ არ უნდა წავიდნენ, მაგრამ, შესაძლოა, საქმეში რუსული "სევერსტალი" ჩაერიოს. მოგეხსენებათ, ალექსეი მორდაშოვის კომპანიამ წელს ევროპული Arcelor-ისათვის ბრძოლა ლაკშმი მიტალის Mittal Steel-თან უკვე წააგო და პოზიციების გამყარებას სწორედ Corus-ის შთანთქმით აპირებდა.

## News Corp-მა Fairfax-ის აქციების 7,5 პროცენტი შეიძინა

განთქმული ავსტრალიელი მედია-მაგნატის, რუპერტ მერდოკის პირმშომ, ამერიკულმა კომპანია News Corp-მა განაცხადა, რომ ავსტრალიური გამომცემლობა John Fairfax Holdings LTD-ს აქციების 7,5 პროცენტი შეიძინა. აღნიშნული გარიგების ღირებულებამ, რომელსაც News Corp-ის წარმომადგენელმა "სრულიად მეგობრული ინვესტიცია" უწოდა, აქციაზე საბაზრო ფასზე 10 პროცენტით მეტი, 5,2 ავსტრალიური დოლარი, მთლიანობაში კი 360 მილიონი ავსტრალიური დოლარი (272 ამერიკული დოლარი) შეადგინა.

## კოსმეტიკური სასამართლო

კოსმეტიკური პროდუქციისა და პირადი ჰიგიენის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია Johnson & Johnson-ი ასევე პოპულარულ კომპანია Loreal-ს უჩივის. Johnson & Johnson-ის შვილობილი კომპანია Neutrogena, რომელიც კანის მოვლის საშუალებებს აწარმოებს, ფრანგული კონკურენტის ამერიკულ ფილიალს მომხმარებლების მოტყუებაში ადანაშაულებს. საქმე ეხება LOreal Anthenilos SX - მზის დამცავ საშუალებას, რომელიც კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან იცავს.

კომპანია Johnson & Johnson-ის ბრალდება იმაში მდგომარეობს, რომ ფრანგული კომპანია Anthnelios SX-ი რეკლამაში აცხადებს, რომ მისი პროდუქცია ახალი ფორმულის მეშვეობით უკეთ იცავს კანს, ვიდრე კომპანია Neutrogena-ს პროდუქცია. ლაბორატორიულმა ტესტებმა კი დაამტკიცა, რომ Neutrogena-ს პროდუქცია ბევრად უფრო ეფექტური და ხარისხიანია, ვიდრე LOreal-ის.

კომპანია J&J სასამართლოს გზით კომპანია LOreal-ისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას და აფიორული სარეკლამო კამპანიის დაუყოვნებლივ აღკვეთას მოითხოვს. ფრანგულ პარფიუმერულ კომპანიაში კი ბრალდების შესახებ არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.

## ჩინეთი ევროპას აკოტრებს

ჩინეთმა ევროკავშირი კონტრაბანდის ახალი ფორმებით გააოცა. ევროპა დარწმუნდა, რომ ჩინეთის მიერ ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგელურად შემოტანილი ნიორი მათ ბიუჯეტს მილიონიან ზარალს აყენებს. გაირკვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ევროკავშირში ტონობით ნიორი საბაჟო გადასახადების გვერდის ავლით შეაქვს. ევროკავშირი ჩინეთის უკანონო კონტრაბანდული სავაჭრო პოლიტიკით აღშფოთებულია. ევროკავშირის თაღლითობასთან ბრძოლის ბიუროს ინფორმაციით, ჩინეთიდან ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე შეტანილი კონტრაბანდული ნივრის წყალობით, ევროკავშირის ნაციონალური ბიუჯეტი ყოველწლიურად 60 მილიონ დოლარს კარგავს. თაღლითების წინააღმდეგ მებრძოლმა ევროპულმა უწყებამ (OLAF) არა მარტო ბიუჯეტის დანაკარგი, არამედ ჩინეთის მოგებაც გამოითვალა. თითო კონტეინერიდან, რომლითაც ჩინეთიდან ევროპის ტერიტორიაზე 20 ტონა ნიორი შემოდის და არანაირ საბაჟო გადასახადს არ იხდიან, კონტრაბანდისტებს, სუფთა მოგების სახით, 24 ათასი ევრო რჩებათ.

# ენერგეტიკამ, კომუნიზმის მსგავსად, დასავლეთი ვერ უნდა გახლიჩოს

პირველი გვერდიდან



ალან გრინსპენი.

ოპეკის ზოგიერთი წევრის ამგვარი საქციელი რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. ჯერ ერთი, მათი შემოსავლის ძირითად წყაროს ნავთობი წარმოადგენს და შემოსავლის შემცირება ხელს არავის აძლევს. ამიტომ, როცა ორგანიზაცია საერთო საქმისათვის იკრიბება და საერთო საქმისათვის ნავთობმოპოვებას ამცირებს (რათა "შავ ოქროზე" ფასები გაზარდოს), ოპეკის ზოგიერთი წევრი ცდილობს, ეს საერთო საქმე სხვებს აჰკიდოს - დაე, ფასი სხვების მიერ ნავთობმოპოვების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს, თვითონ კი საწვავს ძველებური რაოდენობით აწარმოებს. ამ ორგანიზაციაში ამგვარი წევრები ბევრია და საერთო საქმე, პრაქტიკულად, აღარ კეთდება.

არის კიდევ ერთი ფაქტორი - როცა თავის დროზე ნავთობის ფასები ძალიან დაბალი იყო და ოპეკი ამ ვითარების გამოსწორებისათვის ნავთობმოპოვებას რეგულარულად ამცირებდა, რუსეთი სწორედ მაშინ ზრდიდა ნავთობმოპოვებას და, ამგვარად, ბაზარზე გამოთავისუფლებულ ნიშას იკავებდა. მართალია, ახლა რუსეთის ნავთობმრეწველობა სრული დატვირთვით მუშაობს და ამიტომ იგი ველარანაირ ნიშებს ველარ აითვისებს, მაგრამ წარსულის მწარე გამოცდილება ოპეკის ბევრ წევრს კარგად ახსოვს.

მოკლედ, ფასები ეცემა. ბირჟებზე უკვე შეეგუენ არასტაბილურ ერაყს, რასაც ირანის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის ჩაცხრომაც ემატება. მაგრამ, ამის მიუხედავად, დასავლეთში კვლავაც სერიოზულად გრძელდება მუშაობა ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაზე. მუშაობა ორი მიმართულებით მიდის - ერთი გრძელვადიანია, მეორე კი უფრო მოკლევადიანი.

### ევროპული სტრატეგია და პერსპექტივები

გრძელვადიანი ენერგოუსაფრთხოება გამოიხატება მომწოდებელთა დივერსიფიკაციასა და ენერგომოხმარების ეფექტიანობის ამაღლებაში. დივერსიფიკაციის მხრივ უპირველესად აღსანიშნავია პროექტი "ნაბუკო," რომლის მეშვეობითაც შუა აზიის გაზი რუსეთის გვერდის ავლით ევროპაში გავა. ხოლო რაც შეეხება ენერგომოხმარების ეფექტიანობას, ამ მხრივ აღსანიშნავია ევროკავშირის ახალი ინიციატივა, რომელიც 2020 წლისათვის ენერგომოხმარების 20%-ით შემცირებას ითვალისწინებს. ამ იდეის მიხედვით, ევროკავშირის მასშტაბით მყარდება სტანდარტები საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, როგორიცაა ტელევიზორი, კომპიუტერი, კონდიციონერი, სარეცხი მანქანა თუ სხვა. ევროკავშირის 480 მილიონ მომხმარებლამდე ამიერიდან ასეთი ტიპის საქონელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივა, თუკი ისინი ელექტროენერგიას ეკონომიურად მოიხმარენ.

ევროკავშირის კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სტანდარტებს ახალ შენობა-ნაგებობებში ენერგიის ეკონომიური მოხმარებისათვის და ავტომანქანების მიერ გამონაბოლქვების მოცულობისათვის. მოკლედ, ევროპა ემზადება. ენერგეტიკა და საწვავი, ასე თუ ისე, მაინც სამრეწველო ეპოქის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს. თუკი განვითარებული მსოფლიო ამ ეპოქას გასცდა და საინფორმაციო ეპოქაში გადავიდა, მაშინ საწვავზე დამოკიდებულება უნდა შემცირდეს. 70-იანი წლების ბოლოს სწორედ გაძვირებულმა საწვავმა მისცა სტიმული დასავლეთს ალტერნატივის ძიებისათვის და სწორედ მაშინ დაიწყო საინფორმაციო ბუმი და განვითარდა კომპიუტერული ტექნოლოგია. ხოლო ის ქვეყანა, რომელიც გაძვირებული ნავთობის წყალობით მაშინ დიდ მოგებას ნახულობდა, ახლა საერთოდ აღარ არსებობს. ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირი ერქვა.

რაც შეეხება ენერგოუსაფრთხოების მოკლევადიან პერსპექტივას, იგი მეტად პროზაულია - რუსეთთან საერთო ენის გამონახვა. რუსულ გაზზე დამოკიდებულება დიდად განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ევროპელი ლიდერი მოსკოვის დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკას ერიდება. კრიტიკისათვის კი საკმარისზე მეტი საფუძველი არსებობს - ადამიანის უფლებათა დარღვევა, მედიის შევიწროება თუ მეზობელ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევა... ამ დელიკატურ ვითარებაში ევროპა ცდილობს, რუსეთი იმაზე მაინც დაიყოლიოს, რომ ენერგოსფეროში მაინც შეუერთდეს საერთო თამაშის წესებს. ამ წესებს ენერგეტიკული ქარტია ეწოდება, რომლის შესახებაც ფინეთში გამართულ ევროკავშირის სამიტზე პრეზიდენტ პუტინს კიდევ ერთხელ შეახსენეს და რომლის რატიფიკაციაზეც მან კიდევ ერთხელ განაცხადა უარი.

პუტინი აქამდე არაერთხელ გამოჩენილა დასავლურ სამიტებზე, მაგრამ ფინეთის შეხვედრა, ალბათ, ყველაზე მეტად გამოირჩეოდა უხერხულობითა და დაძაბულობით. წინა დღეს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ "შურს" თავისი ისრაელელი კოლეგის, რომელსაც ქალების გაუპატიურებაში ადანაშაულებენ. ასეთი "ხუმრობის" შემდეგ პუტინთან სირაქლემის პოზიციაში ყოფნას უკვე ისინიც მოერიდნენ, რომლებიც რუსულ გაზზე დამოკიდებულების გამო კრემლის ახლანდელ გამგებელს ყველაფერზე თავს უქნევდნენ. მით უმეტეს, რომ პუტინს ამ "ხუმრობის" გარეშეც არ ელოდა მთლად კარგი დახვედრა: დასავლურ ნავთობკომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარღვევა და მათი გამოძევება (საუბარია იმ უპრეცედენტო პრობლებემზე, რომლებიც სახალინზე "შელსა" და "ექსონმობილს" შეექმნათ), საქართველოსთან ურთიერთობები, რუსეთში ჟურნალისტების დევნა და ლიკვიდაცია... თემები საკმარისზე მეტია, მაგრამ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც, ალბათ, უნდა დასრულებულიყო - სახალინზე დასავლური კომპანიები გარემოს უსაფრთხოების ნორმებს არ იცავენ, საქართველო კი ცუდად იქცევა. ასეთი შინაარსის იყო რუსეთის პრეზიდენტის პასუხები.

ფინეთის პრეზიდენტის მატი ვინჰანენის თქმით, ევროკავშირის ლიდერებმა მოახერხეს გაერთიანება და რუსეთის ლიდერისათვის ერთიანი პოზიციის დაფიქსირება. ევროკომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ კი განაცხადა: "ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ენერგეტიკამ ისე გახლიჩოს ევროპა, როგორც გახლიჩა იგი ოდესღაც კომუნიზმმა."

ევროპული ეკონომიკა ახლა აღმავლობას განიცდის. გერმანიისა და საფრანგეთის - ევროზონის ამ ორი უდიდესი მოთამაშის - მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა წელს 2%-ს გადააჭარბებს, რაც ნამდვილად სერიოზული წინსვლაა. ერთადერთი სატკივარი, რაც ძველ კონტინენტს შეიძლება აწუხებდეს, ეს ისევ ენერგეტიკაა. მაგრამ, ამავე დროს, იქ კარგად ესმით, რომ რუსეთიც ისევეა დამოკიდებული ევროპაზე, როგორც ევროპა რუსეთზე. მართალია, ნებისმიერი უთანხმოების გაჩენის შემთხვევაში კრემლი იმუქრება, რომ თავის გაზს ჩინეთისკენ გადაუშვებს, მაგრამ ეს უკვე გრძელვადიანი პერსპექტივაა. ამ პერსპექტივაში კი, ევროპული სტრატეგიის მიხედვით, რუსეთს არც ისე დიდი ადგილი უჭირავს. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ჩინეთის მიმართულებით გაზსადენის მშენებლობა მთელ რიგ ტექნიკურ სირთულეებთანაა დაკავშირებული. გაზსადენი "ალტაი," რომლის აგებაც მარტში პუტინის ჩინეთში ვიზიტის დროს გადაწყდა, ბუნების დამცველთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. გაზსადენმა ან სერიოზულად უნდა დააზარალოს ადგილები, რომლებიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, ან ტურისტულ კურორტებზე უნდა გაიაროს. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ამ ვითარებიდან გამოსავალს როგორმე მოძებნის, მაგრამ გასარკვევი რჩება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხი - რამდენს გადაიხდის ჩინეთი რუსულ გაზში? არც ისე დიდი ხნის კოვიქტინის საბადოდან ჩინეთის მიერ გაზის შესყიდვის თაობაზე მოლაპარაკებები ჩავარდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პეკინი 1000 კუბომეტრში მხოლოდ 40 დოლარის გადახდაზე იყო თანახმა (ასე იაფად რუსულ გაზს თავის დროზე უკრაინაც არ იღებდა). ჩინეთს კიდევ დიდი ხნით ეყოფა თავისი ნახშირი და, ამიტომ, გაზზე მაღალი ფასის გადახდას არ აპირებს. მოკლედ, ჩინეთი ევროპაზე გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელი პარტნიორია.

### გიგანტიზმისა და ჰოლანდიური სენის პერსპექტივა

პუტინმა ევროპელების ყველა კითხვას თავისებური პასუხი გასცა და თავაწეული წავიდა. მის ქვეყანას კიდევ რამდენიმე წელი აქვს - რამდენიმე წლის განმავლობაში, სანამ ევროპა რუსულ გაზზე სერიოზულადაა დამოკიდებული, იგი კვლავაც მონახავს პასუხებს ყველანაირ უხერხულ კითხვაზე. მაგრამ რა მოხდება, როცა ევროპა თავის გრძელვადიან სტრატეგიას განახორციელებს და რუსულ ენერგოწყაროებზე დამოკიდებულება შემცირდება? თუკი იმ დროისათვის რუსეთის ეკონომიკის მთავარი მიმართულება კვლავაც ენერგორესურსები იქნება, ქვეყანას არც ისე სახარბიელო პერსპექტივა ელის. ამ პერსპექტივას ცნობილმა ეკონომისტმა, აშშ-ს ფედერალური რეზერვის (ანუ, იქაური ცენტრალური ბანკის) ყოფილმა თავმჯდომარემ ალან გრინსპენმა "გიგანტიზმი და ჰოლანდიური სენი" უწოდა. გიგანტიზმი სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებაში მთელი დარგების მოქცევას გულისხმობს. ამის პრეცედენტი უკვე არსებობს და მას "გაზპრომი" ეწოდება. მომავალში ამგვარი ფენომენები გაჩნდება ალუმინის გიგანტის სახით ("რუსალასა" და "სუალას" გაერთიანების გზით). იგივე ხდება ნავთობის სფეროში, სადაც "როსნეფტი" დღითიდღე იზრდება ზომებში (ძირითადად, "იუკოსის" აქტივების ხარჯზე). არაა გამორიცხული, "როსნეფტი" "ლუკოილის" ხარჯზეც გაიზარდოს, რომლის საქმიანობითაც გასულ კვირას სამართალდამცავები დაინტერესდნენ. რუსეთში ამგვარი დაინტერესება შემთხვევითი არ არის ხოლმე - მის უკან, როგორც წესი, პოლიტიკა დგას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ამგვარი გიგანტები ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან. მათ მეტოქე არ ჰყავთ შიდა ბაზარზე და, შედეგად, მეტოქეობა უჭირთ გარე ბაზარზეც. გიგანტებს, როგორც წესი, ეფექტიანობის ნაკლებობა ახასიათებთ, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკაზე მათ დაქვემდებარებას, ჩვეულებრივ, წმინდა კომერციული თვალსაზრისით, არც ისე დიდი მოგება მოაქვს. თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ხდება გიგანტების ინტერესის გამტარებელი და უკვე სახელმწიფო პოლიტიკა აგებს ხოლმე. ან კიდევ, ორივე გარემოებას ერთდროულად აქვს ადგილი. ამის თვალსაჩინო მაგალითი "გაზპრომისა" და კრემლის საგარეო პოლიტიკის ჰარმონიული ქმედებაა. როცა კრემლს რომელიმე ქვეყნის დასჯა სურს, "გაზპრომი" ამ ქვეყანას გაზს უძვირებს. ამავე დროს, "გაზპრომს" მუდამ აქვს გაზის გაძვირების ცდუნება და მუდამ იმას ელის, როდის მიიღებს კრემლისგან საამისოდ სანქციას. ერთი შეხედვით, მშვენიერი ჰარმონიაა, მაგრამ კარგად თუ დავუკვირდებით, მას საბოლოო ჯამში არც კრემლისათვის მოაქვს დიდი მოგება და არც "გაზპრომისათვის." საბოლოო ჯამში, კრემლი თავისი "გაზის კუნთებით" პარტნიორებს იმდენად აფრთხობს, რომ ყველა მისი გავლენიდან თავის დაღწევას და გაზის ალტერნატიული მომწოდებლის მონახვას ცდილობს. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითი ლუკაშენკოა, რომლის მსგავსი მეგობარი მოსკოვს თითქოს არ ჰყავდა, მაგრამ კრემლი-"გაზპრომის" დუეტმა აქაც გადაამლაშა - ბელარუსმა მთელი რიგი ულტიმატუმები მიიღო, დაწყებული ევროპაში მიმავალ გაზსადენის ბელორუსულ მონაკვეთზე უფლებების დათმობით და რუსეთთან ანშლიუზით (მიერთებით) დასრულებული. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ლუკაშენკომ პუტინი სტალინს შეადარა და ახალი პარტნიორების (მათ შორის, ენერგოპარტნიორების) ძებნა დაიწყო. პუტინთან სტალინის შედარება არც ისე უადგილოა. ოდესღაც, როცა ბელადს მოახსენეს, ცნობილმა მექალთანე როკოსოვსკიმ ერთ-ერთ გენერალს ცოლი წაართვა და რა ვქნათო, ბელადმა უპასუხა: რა უნდა ვქნათ და, უნდა გვშურდეს როკოსოვსკისო.

რაც შეეხება ჰოლანდიურ სენს, აქ ყველაფერი გასაგებია. არადივერსიფიცირებული ეკონომიკა დიდ შემოსავალს ვერ ითვისებს. ასეთ დროს სტანდარტული გამოსავალი უცხოური ვალუტის დიდი რაოდენობით შესყიდვაა. ამას რუსეთი ისედაც აკეთებს, მაგრამ განუვითარებელი ფინანსური ინსტიტუტების გამოისობით, რუბლებში ეფექტურ ფინანსურ ინსტუმენტებს ვერ ქმნის, - აღნიშნა გრინსპენმა.

ლეგენდარულ ამერიკელ ფინანსისტს ისიც ჰკითხეს: გახდება თუ არა რუბლი მსოფლიოს სარეზერვო ვალუტა. "ამისათვის საჭიროა, რუსეთში კერძო საკუთრებას პატივი სცენ. სწორედ ეს არის მთავარი პირობა. ამერიკული ვალუტა, აშშ-ს ეკონომიკისათვის ყველაზე რთულ პირობებშიც კი, მთელი მსოფლიოსათვის მაინც ყველაზე საიმედო ვალუტად რჩება. მიზეზი კი ისაა, რომ, უკვე 200 წელია, აშშ-ში კერძო საკუთრებას (როგორც საკუთარს, ასევე უცხოურს) იცავენ.

## ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება აშშ-ს ბირჟაზე










გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის შემცირებამ, კორპორაციულმა და მაკროეკონომიკურმა სიახლეებმა. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ს ეკონომიკური ზრდის ტემპის და მესამე კვარტალში ქვეყნის შიდა პროდუქტის 2 პროცენტით შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,08 პროცენტით, 12.002,37 პუნქტამდე შემცირდა. 0,06 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.342,30 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,12 პროცენტით, 1.368,60 პუნქტამდე მოიმატა. სულ, გასული კვირის განმავლობაში Dow Jones Index 0,4 პროცენტით გაიზარდა, Nasdaq Index 0,6 პროცენტით შემცირდა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,2 პროცენტით მოიმატა.

## Light-ის მარკის ნავთობის ფასი 57 დოლარი/ბარელს ჩამოსცდა

პარასკევს, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,7 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 56,82 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა, რაც 2005 წლის ივნისის შემდეგ

დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. სულ, გასული კვირის განმავლობაში Brent-ის მარკის ნავთობი 1,6 პროცენტით, Light-ის მარკის ნავთობი კი 3 პროცენტით გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმა კი კვლავ მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,241 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი რვა კვირის განმავლობაში დაფისირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. სულ, გასულ კვირაში ბუნებრივი აირი 28 პროცენტით გაძვირდა, რაც მოახლოებულმა ზამთავრმა და ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ პარასკევს ოპეკის მიერ მიღებულმა ოფიციალურმა გადაწყვეტილებამ 1 ნოემბრიდან ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში 1 მილიონი ბარელით შემცირების შესახებ, ბაზარზე სიტუაცია ვერ შეცვალა. საქმე იმაშია, რომ, ტრეიდერებს არ სჯერათ, რომ ეს აშშ-ში "შავი ოქროს" მარაგის მოცულობაზე და საერთოდ, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე არსებულ ვითარებაზე გავლენას ვერ მოახდენს. აღსანიშნავია, რომ ოპეკმა ამგვარი შესაძლებლობაც გაითვალისწინა და შემდეგი სხდომა 14 დეკემბერს დანიშნა, სადაც დღე-ღამური მოპოვების კიდევ 500 ათასი ბარელით შემცირებაზე იმსჯელებს.

## ძვირფასი ლითონები გაიაფდა

პარასკევს, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროს და სხვა ძვირფასი ლიფონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1 პროცენტით მოიმატა და 596,4 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 1,6 პროცენტით, 11,965 დოლარი/უნციამდე, პლატინა 1,2 პროცენტით, 1082,1 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 2 პროცენტით, 330,5 დოლარი/უნციამდე გაიაფდა. სულ, გასული კვირის განმავლობაში ოქრო 0,6 პროცენტით, ვერცხლი 2,4 პროცენტით, პალადიუმი 4,6 პროცენტით გაძვირდა, ხოლო პლატინა 0,1 პროცენტით გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაიაფების მიზეზი ნავთობის ფასის კლება და მოგების ფიქსაცია იყო. რომ არა ინდოეთში ქორწინებათა სეზონი და ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ არსებული დაძაბულობა, ძვირფასი ლითონების ფასი ალბათ კიდევ უფრო მოიკლებდა.

## იტალია უმსხვილეს ავიაკომპანიას კარგავს

უმსხვილესი იტალიური ავიაგადამზიდ Alitalia-სთვის 2006 წლის პირველი ნახევარი ფინანსური ზარალის მომტანი აღმოჩნდა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ განაცხადა, რომ კომპანია გაკოტრების ზღვარზეა და ქვეყნის ავიაგადაზიდვების ფინანსური მდგომარეობა, ფაქტობრივად, კონტროლს აღარ ექვემდებარება.

პრემიერ-მინისტრი იმასაც აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა უახლოესი სამი თვის მანძილზე სერიოზულ ზომებს არ მიიღებს, კომპანია გაკოტრდება. “ავიაკომპანია თავის ისტორიაში ყველაზე რთულ პრობლემებს განიცდის. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ სიტუაცია უკონტროლოა და კრიზისიდან თავის დაღწევის შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია,” - აცხადებს პროდი.

კომპანია Alitalia, რომლის აქციების 49 პროცენტს სახელმწიფო ფლობს, ფინანსურ პრობლემებს, წელიწადზე მეტია, განიცდის. 2005 წლის შემდეგ, მაშინ, როცა კომპანიამ 167 მილიონი ევრო დაკარგა, ფინანსების ბალანსირება კომპანიის მენეჯერებისთვის ურთულეს ამოცანად იქცა. კომპანიის შიდა დოკუმენტაციის თანახმად, Alitalia-ს ზარალი 300 მილიონ ევროს აღწევს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია Alitalia AirFrance-სა და KLM-თან გაერთიანების შესაძლებლობებს განიხილავდა, თუმცა ფრანგულ-იტალიური ალიანსი ვერ შედგა. ფრანგულმა მხარემ განაცხადა, რომ იტალიურ კომპანიაში ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე გარიგება არ შედგება.

უახლოეს მომავალში იტალიის პრემიერ-მინისტრისა და კომპანია Alitalia-ს პრეზიდენტის ჟანკარლო ჩიმოლის შეხვედრა იგეგმება, სადაც ისინი კომპანიის სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

ევროკომისიის წარმომადგენლების თქმით, კომპანიის გადარჩენის ერთადერთი გზა მისი რეკონსტრუქციაა და არა მისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება.

# კომპანია "ჰოფმან ლა როში" ძუძუს კიბოს წინააღმდეგ იბრძვის

ლიკა ჯობაძე

შვეიცარულმა კომპანია "ჰოფმან ლა როშმა" ძუძუს კიბოს საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გალერეა "უნივერსში" ფოტო-გამოფენა მოაწყო, რომელშიც მონაწილეობა ცნობილმა ქართველმა ქალბატონებმა მიიღეს.

აქციის მიზანი ქართველი ქალბატონებისთვის ამ ფართოდ გავრცელებული დაავადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლავთ.

ძუძუს კიბო მთელს მსოფლიოში ძალიან გავრცელებული და სწრაფად პროგრესირებადი დაავადებაა. მის შესახებ ინფორმაციას კი ქართველი ქალების უმეტესობა საერთოდ არ ფლობს. დაავადებულ ქალბატონებში დაავადების უვიცობა მის კიდევ უფრო გართულებას უწყობს ხელს. აქციის ორგანიზარტორების თქმით, ასეთი აქციები ევროპაში ძალიან ხშირად იმართება. დაავადების შესახებ ინფორმაციის ფლობა ევროპელ ქალბატონებს კიბოს პირველადი სიმპტომების ამოცნობაში ეხმარება, რაც თავისთავად მკურნალობის პროცესს ამარტივებს.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ძუძუს კიბოთი მსოფლიოში წელიწადში ერთი მილიონი ქალბატონი ავადდება. 2005 წელს საქართველოში ამ დაავადებით 1500 ქალბატონი დაავადდა, აქედან 700 ქალბატონი გარდაიცვალა.

"ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, განსაკუთრებით, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. დაავადების არაგანკურნებად შედეგებამდე მისვლა, ძირითადად, ქალბატონების უცოდინარობის ბრალია. კომპანია "ჰოფმან ლა როშის" ინიციატივით, ჩვენ ქართველი ქალბატონების ინფორმირებას ვიწყებთ, რაშიც საზოგადოებისთვის საყვარელი და ცნობილი ქალბატონები გვეხმარებიან. ყველა ქალმა უნდა იცოდეს ძუძუს კიბოს შესახებ. არსებობს დაავადების სხვადასხვა სტადიები და ტიპები, რომელთა დროულად აღმოჩენის შემთხვევაში დაავადება მკურნალობას ადვილად ექვემდებარება. ჩვენ ამ აქციების მეშვეობით ქალბატონების ინფორმირებას შევეცდებით," - აცხადებს "ჰოფმან ლა როშის" წარმომადგენელი ნინო გოჩიტაშვილი.

აქციას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ფრუიძეც დაესწრო. მისი თქმით, ამგვარი საინფორმაციო სახის აქციები უმნიშვნელოვანესი პრობლემის - უცოდინარობის დაძლევის საუკეთესო საშუალებაა. "ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ძუძუს კიბო ძალიან აქტუალური დაავადებაა. სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე დაავადებულ ქალბატონთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ქალბატონების ინფორმირება კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფილაქტიკური საშუალებაა. დაავადების დროულად აღმოჩენა მას უფრო ადვილად განკურნებადს ხდის. აქციაში პოპულარული ქალბატონების მონაწილეობა ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანი თავის სწორს უფრო ენდობა, ვიდრე ექიმს," - აცხადებს ნიკოლოზ ფრუიძე.

ცისანა სეფიაშვილი, ირმა სოხაძე, ნუკრი კაპანაძე, ნინი ბადურაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, ინგა გრიგოლია, ანა დოლიძე - ეს იმ ქალბატონების არასრული სია გახლავთ, რომლებიც "ძუძუს კიბოს დაძლევის" საინფორმაციო პროგრამას ქართველ ქალბატონებში პოპულარიზაციას გაუწევენ.

"მე გავანათე სიბნელე" - ეს ფრაზა მომღერალ ცისანა სეფიაშვილს ეკუთვნის. "23 წლის ასაკში მე თავად გავხდი ონკოლოგიური საავადმყოფოს პაციენტი. მქონდა კეთილთვისებიანი ფიბროადენომა, რომლის შესახებაც მანამდე არაფერი ვიცოდი. საავადმყოფოში დაწოლა კი ჩემთვის ნამდვილი ტრაგედია იყო. დამჭირდა ფსიქოლოგის დახმარება, რომელმაც გამინათა გონება და მიმახვედრა, რომ მკურნალობა აუცილებელი იყო. დღეს მე სრულიად ჯანმრთელი ვარ. ეს ისტორია კი იმიტომ გავიხსენე, რომ ნებისმიერი პრობლემის დაძლევისთვის მთავარი სწორად ფიქრია. ეს პროგრამა სწორედ ამას ემსახურება."

ფარმაცევტული კომპანია "ჰოფმან ლა როში" 1869 წელს, შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დაარსდა. დღეისათვის იგი ონკოლოგიური პრეპარატების წარმოებასა და ვიროლოგიაში ლიდერი გახლავთ და მსოფლიოს 150 ქვეყანასთან თანამშრომლობს. კომპანიის წლიური ბრუნვა 35,5 მილიარდ შვეიცარულ ფრანკს შეადგენს.

აქციაში მონაწილეობა ევროპის კიბოს ორგანიზაცია - "ევროპა დონამაც" მიიღო. ამ ორგანიზაციაში ევროპის 38 ქვეყანაა გაწევრიანებული, წელს კი საქართველოც შეუერთდა. "ჩვენ ყველანი ძუძუს კიბოს დაავადებას ვებრძვით. ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი - დაავადების შესახებ ინფორმაციის ფლობაა. ყველა ქალმა უნდა გაიგოს ამ დაავადების შესახებ," - აცხადებს "ევროპა დონას" წარმომადგენელი ნინო ქართველიშვილი.

## ამინდი

| | 23/10 | 24/10 | 25/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 16 | 12 |
| რიგა | 13 | 12 | 11 |
| ვილნიუსი | 12 | 11 | 10 |
| მოსკოვი | 12 | 12 | 10 |
| მინსკი | 14 | 13 | 12 |
| პარიზი | 15 | 17 | 16 |
| რომი | 23 | 23 | 24 |
| ლონდონი | 13 | 13 | 15 |
| მადრიდი | 15 | 13 | 20 |
| ბონი | 16 | 15 | 16 |
| ვარშავა | 12 | 12 | 11 |
| ათენი | 25 | 25 | 26 |
| ბერნი | 16 | 20 | 19 |
| ამსტერდამი | 10 | 11 | 13 |
| ოსლო | 9 | 11 | 7 |
| ანკარა | 21 | 19 | 22 |
| ვარნა | 21 | 20 | 21 |
| დელი | 32 | 33 | 32 |
| ტოკიო | 17 | 22 | 21 |
| კოპენჰაგენი | 9 | 5 | 9 |
| ბაქო | 20 | 18 | 18 |
| ერევანი | 22 | 21 | 20 |
| ასტანა | -2 | -3 | 3 |
| ჰელსინკი | 8 | 12 | 7 |
| დუბლინი | 12 | 12 | 11 |
| ლისაბონი | 19 | 18 | 20 |
| პრაღა | 16 | 16 | 14 |
| სოფია | 19 | 21 | 21 |
| ბუდაპეშტი | 20 | 20 | 20 |
| ბუხარესტი | 20 | 22 | 20 |

# ქართული ოქრო ბუნდოვანი და ძვირფასი სახელმწიფო ქონება



(მილიონი ლარი)

| გადასახადები | 2004 | 2005 | 2006 წლის I ნახევარი |
|---|---|---|---|
| გადასახადი წიაღისეულის მოპოვებაზე | 2.4 | 4.7 | 5.8 |
| ადგილობრივი გადასახადები | 2.8 | 5.1 | 6.1 |
| სულ | 13.7 | 22.6 | 22.6 |

| პროდუქციის სახეობა | 2004 | 2005 |
|---|---|---|
| ოქროს შენადნობი "დორე" | 44.129 უნცია | 57.163 უნცია |
| კონცენტრატი | 61.895 ტონა | 52.905 ტონა |
| ოქროს საშუალო შემადგენლობა 1 ტონა კონცენტრატში | 14.73 გრამი | 15.21 გრამი |

(ტონებში)

| მოპოვებული წიაღი | 2003 წელი | 2005 წელი |
|---|---|---|
| სპილენძის კონცენტრატი | 1.434.600 | 52.909 |
| სუფთა სპილენძი | 14.264 | 9.266 |
| ოქრო | 1.913 | 804.959 (კგ) |
| ვერცხლი | - | 1.060 |
| სულ წიაღისეული | 2.338.500 | 1.449.000 |

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ოქრო ის ბუნებრივი რესურსია, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო და არა, რომელიმე კერძო ან იურიდიული პირის საკუთრებას წარმოადგენს, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დიდი ნაწილი გაუმჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა "უზრუნველყოფს".

## ვინ მოიპოვებს და აწარმოებს ოქროს?

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის - სვანეთშიც, 11 ორგანიზაცია ახორციელებს ოქროს საძიებო სამუშაოებს. აქედან ერთი - ბერძნული, ხოლო დანარჩენი - ადგილობრივი კომპანიები არიან. თუმცა დღემდე ქართულ ოქროს მხოლოდ ერთი კომპანია სს "მადნეული" მოიპოვებს, რომელსაც შემდეგ სს "კვარციტი" აწარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ბაზარზე ამ ძვირფას ლითონზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება, საქართველოში მოპოვებული ოქრო მთლიანად ექსპორტზე გადიოდა.

ცნობისათვის: 2005 წლამდე სს "მადნეულის" აქციების 100 პროცენტის და სს "კვარციტის" 49 პროცენტის მესაკუთრე სახელმწიფო იყო. ამ უკანასკნელის აქციების საკონტროლო პაკეტს ავსტრალიური კომპანია ფლობდა. ოქროს მოპოვებაზე ლიცენზია "მადნეულმა" 1994 წელს მიიღო, 20 წლის ვადით. მაშინ კომპანიის ხელმძღვანელობამ ბიუჯეტში, სალიცენზიო მოსაკრებლის სახით, სულ რაღაც, 1200 ლარი გადაიხადა. დღეს ორივე საწარმოს ახალი მფლობელი ჰყავს. გასული წლის დეკემბრის შემდეგ სს "მადნეულისა" და "კვარციტის" აბსოლუტური მფლობელი დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანია Stanton Equities Corporation-ი გახდა, რომლის დამფუძნებელი ცნობილი რუსული ბიზნესჯგუფი Промышленные инвесторы-ია.

იმ ფაქტმა, რომ ამ უკანასკნელი კომპანიის შესახებ ინტერნეტში არც მაშინ და არც დღეს ინფორმაცია არ იძებნება, საზოგადოებაში ლოგიკურად გააჩინა ეჭვი, რომ Stanton Equities Corporation-ი რუსებმა "მადნეულის" პრივატიზაციამდე ცოტა ხნით ადრე, სპეციალურად ამ საწარმოს შესაძენად შექმნეს. სახელდახელოდ შექმნილმა კომპანიამ "მადნეულის" აქციების 97.25 პროცენტში სულ 51 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა, საიდნაც 16 მილიონი კომპანიის კრედიტორებისთვის იყო განკუთვნილი.

ერთი დეტალი: სს "მადნეულში" ახალი სამეთვალყურეო საბჭოს დაკომპლექტება იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდიის ერთ-ერთი რეკომენდაცია, რაც საქართველოს მთავრობამ მალევე გაითვალისწინა და საბჭოს შემადგენლობის შეცვლა "მადნეულის" ახალ მესაკუთრეს გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთი მუხლით დაავალდებულა.

## რას იღებს ბიუჯეტი?

წარსულშიც და ახლაც "მადნეული", ყველა შესაბამის გადასახადთან ერთად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს იხდის, რომლის ოდენობა შესაბამისი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ყოველ გრამ მადანზე კომპანია ბიუჯეტში 0.18 ლარს, ხოლო ერთ გრამ მოპოვებულ ოქროზე 0,9 ლარს უნდა იხდიდეს.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის გადასახადი გადაიხადა გასულ წლებში "მადნეულმა" ბიუჯეტში, ანუ რა მიიღო სახელმწიფომ ამ ბუნებრივი რესურსიდან, ხელმიუწვდომელია. საგადასახადო დეპარტამენტი ამ ინფორმაციის გაცემაზე უარს იმ მოტივით აცხადებს, რომ მას არსებული საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლი გადასახადის გადამხდელის კონფიდენციალურობას ავალდებულებს. თუმცა "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე დავით ნარმანია კოდექსის ხსენებული მუხლის განსხვავებულ ინტერპრეტაციას აკეთებს. **"საგადასახადო დეპარტამენტს არ აქვს უფლება, გასცეს ინფორმაცია ცალ-ცალკე გადახდილი გადასახადების მოცულობის შესახებ, თორემ ნაერთი მაჩვენებელი ღიაა და ყველასთვის ხელმისაწვდომი,"** - უთხრა ნარმანიამ "24 საათს".

საგადასახადო დეპარტამენტისგან განსხვავებით, დასამალი არაფერი აქვს თავად კომპანია "მადნეულს", რომელმაც მის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაცია ოპერატიულად მოგვაწოდა. ირკვევა, რომ 2004 წელს, ანუ როცა საწარმო ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა, ბიუჯეტმა 13 მილიონ 700 ათასი ლარი მიიღო, მათ შორის, 2 მილიონ 400 ათასი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის სახით. 2005 წელს ეს მაჩვენებლები თითქმის ორჯერ გაიზარდა და, შესაბამისად, 22 მილიონ 600 ათასი და 4 მილიონ 700 ათასი შეადგინა. "მადნეულის" ახალი მესაკუთრე წელს გადახდილ გადასახადებს აორმაგებს. არსებული მონაცემებით, 2006 წლის პირველ ნახევარში საწარმომ ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით 6 მილიონზე ცოტა მეტი გადაიხადა, სულ 22 მილიონ 600 ათასი ლარი.

## მოპოვებული წიაღის მოცულობა

"24 საათმა" სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს სთხოვა ქვეყანაში მოპოვებული და წარმოებული ოქროსა და სპილენძის მოცულობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, რაზედაც ამ სახელმწიფო უწყებაში უარი განაცხადეს. მიზეზად "სტატისტიკის შესახებ" კანონის 12-ე მუხლი და 1997 წლით დათარიღებული, მაშინდელი პრეზიდენტის №42-ე ბრძანებულება - "სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა" მოიშველიეს, სადაც ცალსახად ნათქვამია, რომ საქართველოში ოქროს წარმოება ნატურალურ და ფულად გამოსახულებაში არის საიდუმლო.

გაცილებით ლოიალური აღმოჩნდა სს "მადნეული", რომელმაც ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

საწარმოს ახალი ხელმძღვანელობა ამბობს, რომ "მადნეულის" წარმოება მისი პრივატიზაციის მერე დაახლოებით 20 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად თვეში კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქტის (ოქროს, სპილენძის და ვერცხლის) მოცულობა 5000 ტონას აღწევს, ხოლო შარშან იგივე მონაცემი 3000-3200 ტონას არ აღემატებოდა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში "მადნეულმა" დაახლოებით 30 ათასი ტონა პროდუქტი აწარმოა, რომელიც მთლიანად ექსპორტზე გაიტანეს.

გასულ წელს ჯერ კიდევ ძველი მესაკუთრის მფლობელობაში "მადნეულმა" 57 ათას 163 უნცია "დორე" ოქრო აწარმოაა, 2004 წელს კი - 44 ათას 129 უნცია. ცნობისათვის, ერთი უნცია 31.1035 გრამს უდრის.

შარშან "მადნეულის" მიერ მოპოვებული სპილენძის კონცენტრატის მოცულობამ 53 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც სუფთა სპილენძი 10 ათას ტონაზე ნაკლები იყო. 1000 ტონაზე ცოტა მეტი იყო გასულ წელს მოპოვებული ვერცხლის რაოდენობა. სულ 2005 წელს "მადნეულმა" 1 მილიონ 500 ათას ტონა წიაღი მოიპოვა.

ოქროს საშუალო შემადგენლობა 1 ტონა კონცენტრატში შარშან 14.73 გრამიდან 15.21 გრამამდე გაიზარდა.

## სად იყიდება ქართული ოქრო?

სს "მადნეულის" მიერ წარმოებული პროდუქცია დღემდე მთლიანად ექსპორტზე გადის, რომლის ფასი ლონდონის მეტალების ბირჟაზე დადგენილი ფასების მიხედვით დგინდება. ამ პროდუქციის რეალიზაციას "მადნეული" საერთაშორისო ტრეიდერების მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც აკრედიტირებულნი არიან საერთაშორისო ბირჟებზე. **"მათთან ჩვენ გაგვაჩნია გრძელვადიანი კონტრაქტები. პროდუქციის მყიდველები არიან სხვადასხვა ევროპული კომპანიები,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს აკაკი ჩარგეიშვილმა, სს "მადნეულის"კომერციულმა დირექტორმა.

საბოლოო ჯამში, ქართული ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული სახით კანადაში, დიდ ბრიტანეთსა და ავსტრიაში ხვდება. მიმდინარე წლის 8 თვეში ასეთი ოქრო 30 ათას აშშ დოლარის ღირებულების გავიდა საქართველოდან. შარშან მთელი წლის განმავლობაში კი ამ მაჩვენებელმა თითქმის 35 ათასს მიაღწია.

"24 საათის" კითხვაზე, თუ რატომ არ ხდება დღემდე ქართული ოქროს რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე, აკაკი ჩარგეიშვილი ასე პასუხობს: **"მადნეული აწარმოებს ოქროს ორი მეთოდით: ერთი - კონცენტრატის სახით, რომელშიც ოქროს შემადგენლობა საშუალოდ შეადგენს 18-22 გრამს 1 ტონა კონცენტრატზე; ხოლო მეორე - ე.წ. "დორეს" შენადნობის სახით. ორივე მეთოდით დამზადებული ოქრო საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას, რათა მიიღოს საბოლოო, საიუველირო საქმიანობისათვის გამოსადეგი სახე. საქართველოში მსგავსი ტექნოლოგიების დღემდე არარსებობის გამო, კონცენტრატიც და "დორე" შენადნობიც გადის ექსპორტზე შემდგომი გადამუშავებისათვის."**

თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში "მადნეულის" მოპოვებული ოქრო, მთლიანად თუ არა, ნაწილი მაინც საქართველოში დარჩეს. საქმე ის არის, რომ სს "ქართული საიუველირო სახლი" (ძველად "ზარაფხანა") მოლაპარაკებას აწარმოებს "მადნეულთან". როგორც ქარხნის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ზვიად ჩაკვეტაძემ "24 საათს" უთხრა, **"თუკი ორივე მხარისთვის სასურველ ფასზე შევთანხმდით, ჩვენ "მადნეულის" ოქროს ვიყიდით, მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენი ინვესტორების წყალობით ჩვენი ქარხანა მალე თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღიჭურვება."**

"თბილისის საიუველირო ქარხანა" ანუ დღევანდელი "ქართული საიუველირო სახლი" მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიყიდა. ამჟამად კერძო ინვესტორი მის საფუძვლიან რეკონსტრუქციას აწარმოებს, რომლის დასრულება წლის ბოლომდე არის ნავარაუდევი.

**P.S.** ერთი დეტალი: ამ მასალის მომზადების პროცესში სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა გაცილებით რთული და ბიუროკრატიული აღმოჩნდა, ვიდრე თავად სს "მადნეულთან".

## მიმდინარე წელს აჭარაში ციტრუსის 50 ტონამდე მოსავალს ელოდებიან

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო წელს ბევრად მომზადებული ხვდება სეზონს - ამის შესახებ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ გოგუაძემ განაცხადა. "სავაჭრო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებთან ერთად, გადამზიდავ ფირმებთან და დაინტერესებულ პირებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა, დაისვა მთელი რიგი საკითხები, რომლის გადაჭრისთვისაც ჩვენ ვიზრუნებთ. ციტრუსის რეალიზაციას პრობლემა რომ არ შეექმნას, ბათუმის პორტიდან ყოველ კვირაში ბორანი გავა," - განმარტავს გოგუაძე. წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წელს აჭარაში 50 ტონამდე ციტრუსის მოსავალს ელოდებიან. აჭარაში ციტრუსების ორი გადამამუშავებელი საწარმო - ხელვაჩაურის რაიონში "ნარინჯი" და ქობულეთში "ქართული პროდუქტი მოქმედებს. (GBC)

ახალქალაქში კარტოფილის საცავი იხსნება

ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოში კარტოფილის საცავი შეიქმნა, რომელიც რეგიონის ფერმერებს 500 ტონა კარტოფილის ხანგრძლივი დროით შენახვის საშუალებას მისცემს. ახალი საცავი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განხორციელებული, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის AGVANTAGE-ისა და ინდივიდუალური მეწარმის ვალოდია შირინიანის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. თანამედროვე საცავი ძველი დანგრეული სასაწყობე შენობის ადგილას აშენდა. სქელი კედლები, ორმაგი კარები, კარგი ვენტილაცია და სათანადო გადახურვა საცავში სტაბილური ტემპერატურის შენარჩუნებას უწყობს ხელს და კარგად იცავს პროდუქტს ძლიერი ყინვებისგან. საცავის გახსნა 13 ოქტომბერს 14:00 საათზეა დაგეგმილი. საცავის გახსნას დაესწრებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ფერმერები. **(GBC)**

## ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა 10 მილიონი ლარით დაფინანსდება

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამა 2007 წლისთვის, სავარაუდოდ, 10 მილიონი ლარით დაფინანსდება. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" "თბილისის კორპუსში" განუცხადეს. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული თანხით, დაზიანებული ლიფტებისა და სახურავების დიდი ნაწილის აღდგენა მოხერხდება.

2006 წლის დაფინანსებით შეკეთდა და გარემონტდა 604 ლიფტი. 231 კორპუსში გამოიცვალა წყალსაკანალიზაციო სისტემა.

შეგახსენებთ, რომ თბილისში ლიფტებისა და სახურავების შეკეთება ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებით ხდება. კერძოდ: სახურავის შეკეთებისას ამხანაგობა საერთო თანხის 10 პროცენტს იხდის, ხლო ლიფტის შემთხვევაში კი - 15 პროცენტს.

რაც შეეხება შიდა წყალ-კანალიზაციის შეკეთებას, ამხანაგობა მხოლოდ 10 პროცენტს იხდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## 2007 წლის თბილისის ბიუჯეტის პრიორიტეტად ხუთი ძირითადი მიმართულება განისაზღვრა

თბილისის 2007 წლის ბიუჯეტში, რომლის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა თბილისის მთავრობის წევრებს უკვე წარედგინა, განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომლითაც დედაქალაქის მთავრობამ 2007 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას უნდა იხელმძღვანელოს.

2007 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად ხუთი ძირითადი მიმართულება განისაზღვრა, - დედაქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება. საქალაქო მენეჯმენტის სრულყოფა. კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება საბინაო ფონდის გაუმჯობესება და ქალაქის ურბანული განვითარება.

თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებს შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად ერთთვიანი ვადა მიეცათ. **ჯი-ეიჩ-ენი**